

ნატალია სურგულაძე

შესავალი რომანულ ფილოლოგიაში
(სალექციო კურსი)

ბათუმი 2013

სალექციო კურსი შედგენილია მსოფლიოში გამოჩენილ რომანისტ-ლინგვისტა მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების, სტატიების, მოხსენებებისა და სალექციო კურსების მიხედვით.

ავტორისაგან

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
მარინე გიორგაძე

რეცენზენტები:

ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფ. მათა კიკვაძე,
ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფ. ნანა
სტამბოლიშვილი

ISBN 978-9941-409-98-1

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

წინათქმა

რომანული ფილოლოგიის სწავლების მთავარი მიზანია, გააცნოს სტუდენტს რომანული ენების განვითარების პროცესები; რა ცვლილებები განიცადა რომანულმა ენებმა საუკუნეების განმავლობაში და როგორი ზეგავლენა მოახდინა მათ განვითარებაზე ხალხურმა ლათინურმა და სხვადასხვა ისტორიულმა, პოლიტიკურმა, სოციალურმა, ეკონომიურმა თუ კულტურულმა პროცესმა; თეორიული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ მათი სპეციალობის, რომანული ფილოლოგიის ჩამოყალიბების პროცესები, რომანული ენების წარმოშობის მიზეზები და მათი განვითარების საფეხურები; მიმოიხილავენ ცალკეულ რომანულ ენას, ხალხური ლათინურის არსებით ზეგავლენას მათზე; შეისწავლიან ფრანგული ენის განვითარებისა და მისი სალიტერატურო ენად ჩამოყალიბების ეტაპებს; გაეცნობიან გამოჩენილ რომანისტ ლინგვისტთა მოსაზრებებს, ლინგვისტურ თეორიებსა და მათ შრომებს; მიიღებენ სრულ ინფორმაციას ფრანგული ენის თანამედროვე მდგომარეობაზე, თუ რომელ ქვეყნებშია გავრცელებული იგი, რა განვითარება ჰპოვა ფრანგულმა ენამ სხვადასხვა ფრანკოფონულ სახელმწიფოში, ფრანგული ენის რომელი ლოკალური ვარიანტები არსებობს მსოფლიოში, რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა მან და როგორ თანაარსებობს იგი სხვა ენებთან ერთად. მიღებული ცოდნა საფუძველს ჩაუყრის სტუდენტთა ზოგადფილოლოგიურ განათლებასა და ხელს შეუწყობს მათ, რომ ჩამოყალიბდნენ კვალიფიციურ რომანისტ ფილოლოგებად.

*თემა 1. რომანული ენათმეცნიერების ჩამოყალიბება:
პირველი რომანული გამოკვლევები. ზოგადი
ისტორიული მიმოხილვა.*

მეცნიერებს ყოველთვის აინტერესებდათ ენათა წარმოშობის, სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხი. ნებისმიერი ენა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მრავალნაირი სახით წარმოუდგა მკვლევრებს და ამ უკანასკნელთაც არასოდეს გამორჩენიათ კონკრეტული ენის არსებობისა და ქმედების არც ერთი სფერო; ამდენად, ენათმეცნიერება ყოველთვის მოიცავდა გამოკვლევებს, რომლებიც ეხებოდა ენისმიერი ქმედების, ანუ ენის გამოყენების ყველაზე უფრო კონკრეტულ, მატერიალურ გამოხატულების უაღრესად განყენებულ, არამატერიალურ შრეებს თუ დონეებს. ამ მხრივ გამონაკლისს არც რომანული ენები წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ ლათინურ პერიოდში ჩნდება კონკრეტული გამოკვლევები ლათინური ენის ირგვლივ არსებული პრობლემატიკის შესახებ, ხოლო მოგვიანებით, რომანული ენების ჩამოყალიბების შემდეგ, მეცნიერთა კვლევის არეში დადგა ყველა ის პრობლემა, რომელთაც

კონკრეტულ ენათა ფუნქციონირება წარმოშობს; ამავდროულად, აღორძინების ხანაში და მოგვიანებითაც კვლავ საჭირო ხდება ლათინური ენის კვლევა-ძიების გაღრმავება-დაკონკრეტება, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ დაგროვილი საენათმეცნიერო ცოდნის განზოგადება, შესაბამისად საკვლევ ენათა არეალის გაფართოება და ამ არეალზე უკვე განზოგადებული ცოდნის გავრცელება, რაც შედარებით ისტორიულ ენათმეცნიერებას ხვდა წილად.

XVI საუკუნეში კონკრეტულმა რომანულმა ენებმა თითქმის მთლიანად განდევნა ლათინური ენა, რომელიც ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა სახელმწიფო, სამეცნიერო და საეკლესიო სფეროში. მართალია, ეს ლათინური განსხვავდებოდა როგორც კლასიკური, ასევე ხალხური ლათინურისაგან, ეს იყო ე.წ. შუასაუკუნეების ლათინური, აღორძინებული შუასაუკუნეების კლასიკოს მწერალთა, ფილოსოფოსთა და ხელოვანთა მიერ, მაგრამ იგი უკვე მძიმე უღლად აწვა და ყოველნაირად ბორკავდა ეროვნულ ენათა მოქმედების სფეროთა გაფართოებას და შესაბამისად მათ ევოლუციასაც.

ეროვნულ ენათა დაფუძნება-დამკვიდრება ცალკეულ ეროვნებათა ყოველდღიური ცხოვრების ნებისმიერ

სფეროში უკვე სრულიად კონკრეტული ამოცანის გადაჭრას მოითხოვს. განსაზღვრული ენის ნორმათა ცოდნა, რაც გულისხმობს ამ ენის ყოველმხრივი ფუნქციონირების წესების ანალიზს, დადგენას, შეკრებას და მათთვის წერილობითი ფორმის მიცემას, მოკლედ, ენის ხმარების კანონებისა და წესების კრებულთა შექმნა-შედგენას. ასეთი წესების კრებულები რომანულ ენათა გრამატიკის სახით წარმოდგება; თუმცა ისინი ძირითადად დონატის ლათინური ენის გრამატიკას ემყარებოდნენ, რომელიც ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა შუა საუკუნეების სკოლებში, სადაც მოსწავლეებს მხოლოდ ლათინურ ენას ასწავლიდნენ.

XIV ს. ჩნდება დანტეს ტრაქტატი “De Vulgari eloquentia” “ხალხური მჭერმეტყველების შესახებ”, რომელიც პირველი ხოტბაა იტალიური ენისა; დანტე იცავს იტალიური (ხალხური, volgare) ენის პრესტიჟს, აღნიშნავს მის უპირატესობას ლათინურ ენასთან მიმართებაში; იგი პირველი აყენებს სამი რომანული ენის: ფრანგულის, ესპანურისა და იტალიურის საერთო წარმოშობის საკითხს, შემდეგ ეხება მისი თანამედროვე სალიტერატურო იტალიურის საკითხს და საკუთარი

დაკვირვების საფუძველზე გამოყოფს იტალიური ენის 14 დიალექტს.

1492წ. გამოდის ანტონიო დე ნებრიხას ესპანური ენის გრამატიკა, მასვე ეკუთვნის ლათინურ-ესპანური ლექსიკონი და ესპანური ენის მართლწერის წესები; ეს კონკრეტული რომანული ენის (ესპანურის) შესახებ პირველი მეცნიერულ-პრაქტიკული გამოკვლევაა (გრამატიკაში გამოკვლეულია ესპანური ენის მომავალი დროისა და პირობითი კილოს წარმოშობის საკითხები).

XVI ს. იტალიელი გრამატიკოსები იკვლევენ ბოკაჩოს, პეტრარკას და დანტეს ნაწარმოებთა ენას და ქმნიან პირველ გრამატიკულ ტრაქტატებს იტალიური ენის გრამატიკული ფორმების შესახებ. ასეთია ფრანჩესკო ფორტუნოს 1516 წ. გამოსული “Regole grammaticali della volgar lingua” (ხალხური ენის გრამატიკული წესები); უფრო შორს მიდის პიეტრო ბემბო, რომელიც თავის “Prose”-ში (დიალოგის სახით შექმნილი ნაწარმოები-1502-1525) წარმოადგენს როგორც იტალიური ენის გრამატიკას, ასაბუთებს იტალიური ენის ყოველმხრივ უპირატესობას ლათინურთან მიმართებაში, სვამს და ამტკიცებს იტალიური ენის წარმოშობის საკითხებს ლათინურიდან ბარბაროს ენებში აღრევის შედეგად რომის იმპერიის

დაცემის შემდეგ, აღნიშნავს იტალიურ დიალექტთა მრავალფეროვნებას და სალიტერატურო იტალიურ ენად ფლორენციულ (ანუ ტოსკანურ) დიალექტს ასახელებს, ვინაიდან ამ დიალექტზე წერდნენ დანტე, პეტრარკა, ბოკაჩო. ბემბოს დებულებებმა განაპირობა შემდგომი ეპოქების კვლევა-ძიება. ცალკეული რომანული ენების მიმართ. მაგ.: 1623-1643წ. იქმნებოდა ბენედეტო ბუომეტის კაპიტალური ნაშრომი *Della lingua toscana* (ტოსკანური ენის შესახებ), რომელიც ითვლება ახალი იტალიური ენის ღრმა და ამომწურავ გრამატიკად; ამავე ეპოქაში გამალებით იკვლევდნენ ფრანგულ ენასაც საფრანგეთში; 1531წ. ჟაკ დიუბუა, ექიმი-ჰუმანისტი სილვიას სახელით გამოსცემს პირველ ფრანგულ გრამატიკას “*In linguam gallicam isagoga*” (შესავალი გალურ ენაში) სათაურით.

სალიტერატურო ენის წარმოშობა-დამკვიდრების საჭიროებამ განაპირობა სალაპარაკო ენის სწორი ნორმების დადგენა-კვლევის საჭიროება და ლექსიკური ფონდის შემადგენლობის აღრიცხვისა და შესწავლის აუცილებლობა; ამ მოთხოვნილებათა პრაქტიკულად განხორციელების ნიადაგზე წარმოიშვა ენათა ნორმისა და ლექსიკური ფონდის დამდგენი აკადემიები: Académie

Française (1635წ. რიშელიეს მიერ დაარსებული),
Accademia della Crusca (იტალიაში- ფლორენციაში 1532წ.
დაარსებული), Real Academia (1713წ. დაარსებული).

XVI-XVIIIსს. ფილოლოგების დამსახურებაა კონკრეტულ
რომანულ ენათა გრამატიკული ნორმების გამოკვლევა-
დადგენა, შესაბამისად სალიტერატურო ენის
მდგომარეობის დაფიქსირება; რომანულ ენათა
გენეტიკური ევოლუციის აღიარება უპირატესად
ლათინური პირველწყაროდან და სხვა შესაძლო ენათა
გავლენის შედეგად (მაგ.: პედრო ჩიტადინი - Della vera
origine della nostra lingua, 1601წ.; Origine della volgar toscana
favella, 1604წ.; ლუდოვიკო კასტელვეტრო - Contra il
Varchi, 1572).

ესპანეთში 1536წ. ხუან დე ვალდერი წერს ნაშრომს
“Dialogo de las lenguas”(1737) (ენათა დიალოგი), ხოლო
1606წ. ბერნარდო ალდრეტე წერს “Del origen dela lengua
castellana” (კასტილიური ენის შესახებ); ეტიენ პასკიე,
ჟილ მენაჟი (Origines de la langue française), 1650წ., შარლ
დიუ ფრენ დიუ კანჟი (Glossarium mediae et infimae
latinitatis სამ ტომად 1678წ.), პიერ პონაში(აკადემიის
წევრი - Mémoire de littérature tirée des registres de
l’Académie des Inscriptions et Belles Lettres-ში

გამოქვეყნებულია მისი გამოკვლევები 1756 წლის გამოცემაში); რომანულ ენათა დასახელებულ გამოკვლევებში დასმულია და თითქმის თანამედროვე ენათმეცნიერების დონეზეა გადაწყვეტილი-რომანული ენათმეცნიერების თითქმის ყველა ფუძემდებლური დებულება:

ა) რომანული ენების წარმოქმნის შესახებ ლათინური ენის ხალხური, სალაპარაკო ვარიანტიდან.

ბ) რომანულ ენათა ტიპოლოგიური ერთიანობა სტრუქტურის ყველა დონეზე.

გ) ლათინურის გარდა ადგილობრივი და დამპყრობთა ენების (ბარბაროსთა და არაბთა) გავლენა ცალკეულ-კონკრეტულ ენათა ჩამოყალიბების პროცესში;

დ) რომანულ ენათა გავრცელებისა და დიალექტების საკითხები;

ე) რომანულ ენათა გრამატიკულ ნორმათა დადგენა;

ვ) სალიტერატურო ენათა დადგენა და უპირატესობის დასაბუთება ლათინურთან მიმართებაში;

ზ) ლექსიკური ფონდის დადგენა და ეტიმოლოგიურ გამოკვლევათა შექმნა და მათი პრაქტიკული დასრულება ეტიმოლოგიურ ლექსიკონთა სახით და ტექსტოლოგიური კვლევითი ნაშრომებით.

ამ საკითხთა ირგვლივ არსებულ გამოკვლევათა ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს გერმანელი მეცნიერის, კრისტოფ ადელუნგის გამოკვლევა “მითრიდატე” (1806-1809 – *Mitridates oder allgemeine Sprachenkunde*), რომელიც რომანულ ენათა ურთიერთგამოყოფა – განცალკევების ეპოქად XI-XII სს. მიიჩნევს.

რომანული ფილოლოგიის ჩამოყალიბების თარიღად, რომლის შემდეგაც ეს დისციპლინა გამოიყოფა როგორც დამოუკიდებელი დარგი ენათმეცნიერებისა და საუნივერსიტეტო საგანი, მიიჩნევა 1836წ., როცა გამოვიდა ფრიდრიხ დიცის (ბონის უნივერსიტეტის პროფესორი – შუა საუკუნეებისა და ახალი ლიტერატურის მკვლევარი, პროვანსული ენისა და პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი-კლასიკოსი. მისი ნაშრომებია: *Die Poesie der Troubadours* 1825, *Leben und Werke der troubadours* 1829 – (დღესაც სამაგიდო წიგნებია ამ ენის მკვლევართათვის) და “*Grammatik der romanische Sprachen*” I ტომი. მასვე ეკუთვნის ამ წიგნის დანარჩენი 2 ტომი, შემდგომ *Etymologisches Wörterbuch der romanischen Sprachen* 1853 წ., უძველესი რომანული ტექსტების გამოცემა და სხვა თხელტანიანი გამოკვლევანი. დიცი წარმოადგენს პირველ რომანისტ

მკვლევარს, რომლის ლექციების მოსასმენად სხვადასხვა ქვეყნებიდან მოდიან, რომელთა შორის არის გასტონ პარისი, შემდგომ პარიზის უნივერსიტეტის რომანისტი-მკვლევარი.

ფრიდრიხ დიცი თავის სამტომეულში განიხილავს 6 რომანული ენის (ესპანურის, პორტუგალიურის, ფრანგულის, პროვანსულის, იტალიურისა და რუმინულის) ხალხური ლათინურიდან წარმოქმნის საკითხებს.

შესავალში ფ. დიცი ახასიათებს ხალხურ ლათინურს, აღწერს ბერძნული და გერმანიკული ენების გავლენას რომანული ენების ლექსიკური ფონდის ჩამოყალიბების პროცესზე და შემდგომ აღწერს რომანულ ენათა ევოლუციასა და მათ დიალექტურ მრავალფეროვნებას. ფ. დიცი ახასიათებს დასახელებულ რომანულ ენათა ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსური ევოლუციის ისტორიულ-შედარებით სურათს; ამ სურათის შესაქმნელად იგი ეყრდნობა უზარმაზარ მასალას, შეგროვილს უძველესი წერილობითი ძეგლებიდან და დიალექტური ლექსიკონებიდან. დიცის მიერ შეგროვილი და დამუშავებული აურაცხელი მასალა დაედო საფუძვლად მის მიერ შექმნილ ეტიმოლოგიურ

ლექსიკონს. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა რომანული ფილოლოგიის პრობლემებით დაინტერესება-კვლევას: ჯერ ევროპაში, შემდეგ ევროპის გარეთაც; შეიძლება ითქვას, რომ XIXს. მეორე ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს შედარებით-ისტორიული მეთოდის და შესაბამისად, რომანული ფილოლოგიის უკიდურესი აღმავლობის ხანად.

ვინაიდან კვლევის ამ მეთოდიკამ და მიღებულმა შედეგებმა დაამტკიცა მრავალრიცხოვან სამეცნიერო ჰიპოთეზათა სისწორე, ამდენად შედარებით-ისტორიულმა მეთოდმა და მის ნიადაგზე შექმნილმა რომანულმა ენათმეცნიერებამ განაპირობა ამ დისციპლინის საფუძვლიანი დამკვიდრება ფილოლოგიურ მეცნიერებათა შორის და განსაზღვრა მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიების პერსპექტივები. 1872წ. პოლ მეიერი და გასტონ პარისი აარსებენ რომანული ფილოლოგიის პირველ ჟურნალს Romania. მას უსწრებდა ჟურნალი Revue des langues romanes – მონპელიეში, რომელიც მხოლოდ პროვანსული ენისა და ლიტერატურის პრობლემებს სწავლობდა. 1860 წელს იტალიაში იქმნება უძველეს ტექსტთა გამომცემელი კომისია, რომელმაც თავის მრავალფეროვან სერიებში

გამოაქვეყნა ასობით შუასაუკუნეების ხელნაწერი. იტალიაში რომანულ კვლევა-ძიებას ხელმძღვანელობდა გრადაციო ასკოლი, რომელმაც 1872წელს დაარსა ჟურნალი Archivio Glottologico Italiano.

XIX ს. დასასრულს, ახალგაზრდა გრამატიკოსთა მიერ ფონეტიკურ კანონთა და ფონეტიკურ ცვლილებათა და შესაბამისობათა პირველადობის აღიარებას ენათა გენეტიკური და შედარებითი კვლევა-ძიების პროცესში, განეკუთვნება ახალი, შედარებითი გრამატიკების, ეტიმოლოგიური ლექსიკონების და ისტორიულ-შედარებითი გამოკვლევების შექმნა: კოლექტიური ნაშრომი გუსტავ გრიობერის ხელმძღვანელობით (სტრასბურგის პროფესორი) “Grundriß der romanischen philologie 1888წ. მეიერ-ლიუბკეს “Grammatik der romanischen Sprachen” I-III 1890-99წწ. და “Einführung in das studium der romanischen SprachWissenschaft(1901), Romanischis Etymologisches Wörterbuch-1911 წ. ჰუგო შუხარდტის Der Vokalismus des Vulgärlateins I-II, 1866-68, იმავე გრიობერის Vulgärlateinische substract der romanischen wörter (დაიბეჭდა 1884-90წ. ლათინურ ლექსიკოგრაფიულ ჟურნალში). 1899წ. გამოდის მოლის Introduction à la chronologie du latin vulgaire. როგორც

ვხედავთ რომანულ ენათა პარალელურად დიდი ყურადრება ექცევა ხალხური ლათინურის შესწავლასა და კვლევა-ძიებას.

**თემა 2: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ისტორიულ
შედარებითი მეთოდის მიზანი, ფუძე-ენის კვლევა.**

XVI ს-ის იტალიელმა მოგზაურმა ფილიპო სასეტიმ შეამჩნია მსგავსება ინდურ-ლათინურ და იტალიურ სიტყვებს შორის, რაც აღნიშნა კიდევ თავის წერილებში “ინდოეთიდან”, მაგრამ მეცნიერული დასკვნები ამის შესახებ არავის გაუკეთებია. კითხვა ამ ენათა ურთიერთობის შესახებ სწორად დაისვა მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც კალკუტაში დაარსდა აღმოსავლეთის კულტურათა ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თვითონ იყო. უილიამს ჯონსმა სანსკრიტზე შედგენილი ხელნაწერების შესწავლისას და თანამედროვე ინდური ენების გაცნობისას, შენიშნა, სანსკრიტი მიუხედავად თავისი სიმკვლევის ფლობს არაჩვეულებრივ სტრუქტურას, უფრო სრულყოფილს ვიდრე ბერძნული, უფრო მდიდარს ვიდრე ლათინური, უფრო მშვენიერს, ვიდრე რომელიმე მათგანი, მაგრამ იმდენად მსგავსს ამ ორი ენისა, როგორც ზმნათა ფუძეებით, ასევე გრამატიკული ფორმებით, რომ ვერც ერთი ფილოლოგი, რომელიც შეისწავლიდა ამ სამ ენას ვერ უარყოფდა, რომ ისინი წარმოიშვა ერთი საერთო

წყაროდან, რომელიც შესაძლოა დღეს უკვე აღარ არსებობს. ასეთივე საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გოთური და კელტური ენებიც, თუმც სრულიად განსხვავებულნი, ენებთან აღრეულნი იმ წყაროდანვე წარმოიშვა, საიდანაც სანსკრიტი. ენათა ამ ოჯახს შეიძლება ძველი სპარსულიც მივაკუთვნოთ. ამ განცხადებით დაედო საფუძველი შედარებით ენათმეცნიერებას, რომლის შემდგომმა განვითარებამაც დაამტკიცა უ. ჯონსის მოსაზრებათა სისწორე, რომლებიც განზოგადებულად ასე გამოიყურება:

- 1) ფუძეთა და გრამატიკულ ფორმათა მსგავსება არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს;
- 2) ეს მსგავსება ადასტურებს იმ ენათა ნათესაობას, რომლებიც ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს;
- 3) ეს წყარო შეიძლება თანამედროვე ენათა ეპოქაში აღარც არსებობდეს;
- 4) გარდა სანსკრიტისა, ბერძნული და ლათინური ენებისა ენათა ამ ოჯახს მიეკუთვნება გერმანული, კელტური და ირანული ენები.

XX ს-ის დასაწყისში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მრავალმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი ენათა ოჯახებს შორის არსებულ ნათესაურ ურთიერთობათა შესწავლას

და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. ისინი იყვნენ სხვადასხვა ენთმეცნიერულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები, რომლებიც სხვადასახვა ქვეყნებში მოღვაწეობდნენ, შექმნეს ენათა და მათი პირველწყაროების კონკრეტული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი უდიდესი მნიშვნელობის მქონე გამოკვლევები.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მიზანს წარმოადგენს მონათესავე ენების შედარების საშუალებით დაადგინოს მათი განვითარების მიმართულება იმ პერიოდისათვის, რომელიც წინ უსწრებს ენის ისტორიულად დამოწმებულ ფაქტებს და უჩვენოს, თუ როგორი ადგილი, რა როლი ენიჭებათ ამ ფაქტებს ენათა ისტორიული ევოლუციის პროცესში. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიულ-შედარებითი რეკონსტრუქცია. თუკი გამოკვლევის შედეგად დამტკიცებოდა, რომ მონათესავე ენათა სიტყვები, მორფემები და ფონემები ერთი და იგივე წარმოშობისაა და წარმოადგენს ცალკეულ განშტოებათა და ენათა ისტორიული განვითარების შედეგად წარმოშობილ ერთი და იგივე სიტყვის ისტორიულ ვარიანტებს, მაშინ აღადგენდნენ ამ ენობრივი მოვლენის ამოსავალ ფორმას

ანუ არქეფორმას, რომელიც მათ გააჩნდათ განცალკევებამდე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფრიდრიხ დიცის შრომებს. ის რომ ლათინური არქეტიპები, რომლებიც აღადგინა დიცის სკოლამ დამტკიცდა და შემოწმდა ვულგარული ანუ ხალხური ლათინურის ფაქტებით და წერილობითი ძეგლებით. ამგვარად, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით მიღებული მონაცემების რეკონსტრუქცია ფაქტიურად დამტკიცდა. ცხადია, მთლიანად ფუძე-ენის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლოა ფუძე-ენის გრამატიკულ-ფონეტიკური წყობის ნაწილობრივ რეკონსტრუქცია.

რა ძირითადი ცნებები შესძინა ისტორიულ-შედარებითმა მეთოდმა ენათმეცნიერებას.

ორ ენას ეწოდება მონათესავე ენა, თუ ისინი ერთი და იმავე ენის განსხვავებული ევოლუციის შედეგს წარმოადგენს. მონათესავე ენათა ერთობლიობა ქმნის ე.წ. ენათა ოჯახს. შედარებითი გრამატიკის მეთოდი გამოიყენება არა ინდოევროპული ენის აღსადგენად იმ სახით, რომლითაც იგი არსებობდა იმ სავარაუდო დროს, როცა მასზე ლაპარაკობდნენ, არამედ ისტორიულად

დამოწმებულ ენათა შორის არსებულ ურთიერთმიმართებათა განსაზღვრული სისტემის დასადგენად. ამ ურთიერთმიმართებათა სიმრავლეს ეწოდება ინდოევროპული ენა. ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად შეიძლება შედარებული იქნას, როგორც ძირითადი სიტყვათმარაგი, ასევე გრამატიკული ინვენტარი, როგორც სიტყვათწარმოშობის, ასევე სიტყვათცვალეზადობის სფეროში და ფონეტიკური სისტემები. ამგვარად ის განმარტებანი, რომლებიც მოგვცა ინდოევროპული ენების დიდმა სპეციალისტმა ანტუან მეიემ შემდეგია: რა მიზანს ისახავს შედარებითი მეთოდი ანუ ენობრივი რეკონსტრუქციის პრინციპი; რას ეწოდება ფუძე ენა; რა არის მონათესავე ენა; რას ეწოდება ენათა ოჯახი; რას ეწოდება ინდოევროპული ენა.

ბგერათშესიტყვებანი მონათესავე ენებში ყოველი ენის ბგერათა სისტემის განვითარების განსაზღვრულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. მონათესავე ენებში ბგერათა სისტემის განსხვავებანი ქმნის კანონზომიერებებს, ბგერათშესაბამისობათა მთელ სისტემებს.

ენათა ნათესაობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია მათი გრამატიკული წყობის პირველადი ერთობლიობა,

როდესაც განვიხილავთ ცალკეულ ინდოევროპულ ენებს, მათ გრამატიკულ წყობას, რაც უფრო შევხებით მათი ისტორიის ადრეულ ეპოქებს, მათ შორის უფრო მეტი სიახლოვე შეიმჩნევა. თანამედროვე ინდოევროპული ენები ახლა უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე მათი წინამორბედი ენები, ხოლო უფრო ადრეული პერიოდები ამ ენათა ევოლუციისა კიდევ უფრო ნაკლებ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მონათესავე ენათა გრამატიკული წყობის სიახლოვე თავს იჩენს გრამატიკის ნებისმიერ სფეროში, წინადადების სტრუქტურაში, მეტყველების ნაწილებში, სიტყვათწარმოებაში, ლექსიკურ სტრუქტურაში. გრამატიკული წყობის ასეთ სიახლოვეს ტიპოლოგიურ სიახლოვეს უწოდებენ, რაც ძირითადად ნიშნავს მორფო-სინტაქსურ იგივეობას. გრამატიკული წყობის მსგავსება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენათა ნათესაობის დასამტკიცებლად, რადგან გრამატიკულ წყობაში ყველაზე ნაკლებად აღწევს უცხო ელემენტები. ენის გრამატიკული სტრუქტურა ენის სხვა დონეთაგან შედარებით ყველაზე კონსერვატიულია. მორფოლოგიური ტიპის მიხედვით, უძველესი ინდოევროპული ენები ძირითადად ფლექსიურნი იყვნენ,

ასეთ ენებს მეორენაირად სინთეზურ ენებს უწოდებენ. მათ ამგვარად იმიტომ უწოდებენ, რომ გრამატიკულ ცვლილებათა გამომხატველი ძირითადად ფლექსიაა, ე.ი. ხორციელდებოდა სიტყვის ფორმის შინაგანი ცვალებადობა და არა დამხმარე სიტყვების დამატება. რაც უფრო ღრმად შევდივართ ენის ისტორიაში, მით ნაკლები რაოდენობით გვხვდება დამხმარე სიტყვები, წესიერი ფორმები, ძალიან დიდია ფლექსიის და სიტყვის ფუძეთა ჩანაცვლების რაოდენობა და არაწესიერ ფორმათა სიმრავლე, ინდოევროპული ენები, განსხვავებით სხვა მორფოლოგიური ტიპის ენათაგან, ფლექსიად ძირითადად სუფიქსებს იყენებდნენ, რომლებიც უმთავრეს შემთხვევაში ან ფუძის იდენტური იყვნენ ან მის განუყოფელ ნაწილს წამოადგენდნენ. ამიტომ ეწოდება ინდოევროპულ ენებს უპირატესად სუფიქსიან ანუ ასუფიქსირებულ ენებს. შიდა ფლექსიის გარდა ინდო-ევროპულ ენებში ძლიერ გავრცელებული იყო ერთი ფლექსიის დატვირთვა მრავალი გრამატიკული მნიშვნელობით და საერთოდ სიტყვის დაშლა მის შემადგენელ ნაწილებად და ფლექსიათა სეგმენტირება ანუ გამოყოფა.

თემა 3: ენათა ინდოევროპული ოჯახი. ინდოევროპული (უძველესი) გრამატიკული წყობის ზოგადი მიმოხილვა. პირის ნაცვალსახელები ინდოევროპულ ენებში.

ენათა ეს ოჯახი შეიცავს მრავალ განშტოებას, რომელთა ძირი ანუ ფუძე ენები დღეს სალაპარაკოდ არ გამოიყენება, ისინი კონკრეტულ ენათა ისტორიას განეკუთვნება, მაგრამ მათგან წარმოიშვა მრავალი ინდოევროპული ენა, რომელიც დღეს ფრიად სიცოცხლისუნარიანია. ენათა ამ ოჯახიდან ჩვენ დავასახელებთ იმ ენებს, რომლებიც დღეს ყველაზე ცნობილია და რომელთა ყველაზე არქაული პერიოდის მდგომარეობაც საფუძვლიანადაა შესწავლილი.

1. *ინდური ენები*, რომელთა ევოლუციის უძველეს საფეხურს ძველი ინდური ენა ანუ სანსკრიტი წარმოადგენს, ამ ენის ყველაზე არქაული მდგომარეობა შემონახულია ძველ ინდურ რელიგიურ ჰიმნებსა და გამონათქვამებში, რომლებსაც “ვედეები” ეწოდება (IV ს. ძვ. წ. აღ-ით და VII ს. ახ. წ. აღ-ით). ამ კრებულთაგან ყველაზე ძველი “რიგ ვედა” ისეთ მასალას შეიცავს, რომელიც დაახლოებით ქრისტეს დაბადებამდე II ათასწლეულის შუა პერიოდს განეკუთვნება, ამჟამად ძველი ინდური ენა წარმოდგენილია ახალი ინდური ენების

მრავალრიცხოვანი განშტოებით, რომელთაგან ყველაზე ცნობილია: ჰინდი, ბენგალური, ფენჯაბური, გუჯარათი, ტამილური და ა.შ. ჰინდისთან ერთად მეორე სახელმწიფო ენა ბენგალურია.

2. **ირანული ენები.** უძველესი ირანული პერიოდიდან შემონახულია ორი დამწერლობის მქონე ორი ენა, ძველი სპარსული, რომლზედაც შედგენილია აქემენიდთა დინასტიის მეფეთა დარიუს I-სა და მის შთამომავალთა წარწერები, ეს იყო 522-486წწ. ძვ. წ. აღ-ით და ავესტის ენა, რომელიც ძველი ირანული რელიგიის ძირითად ძეგლს წარმოადგენს. ავესტას ყველაზე ძველ ნაწილს წარმოადგენს ჰიმნები, რომლებიც მიეკუთვნება ძვ. წ. აღ-ის I ათასწლეულის I ნახევარს. თანამედროვე ირანული ენებია: ახალი სპარსული (ფარსი), ტაჯიკური, თურქული, ქურთული, ავღანური, ოსური.

3. **სომხური ენა.** ენათმეცნიერები განასხვავებენ სომხური ენის სულ სამ ფორმას:

- **ძველსომხური** (գրաբար - გრაბარ)- ძველსომხური წერილობით ძეგლებში V საუკუნიდან არის დამოწმებული. გრაბარი, ანუ ძველსომხური, როგორც ლიტერატურული ენა, გამოიყენებოდა XIX

საუკუნის ლამის შუა ხანებამდე, საეკლესიო სფეროში კი (მაგ.: ღვთისმსახურებისას) დღესაც გამოიყენებენ. გრაბარზე შემონახულია უაღრესად მდიდარი ლიტერატურა თეოლოგიური თემების, სხვადასხვა ისტორიული მოვლენების, პოეზიისა და ეპიკის შესახებ.

- **აღმოსავლეთსომხური** (Արևելյան հայերեն – არაველდან ჰადერენ). აღმოსავლეთსომხური არის სომხეთის რესპუბლიკის (და თვითაღიარებული მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის) ოფიციალური ენა. აღმოსავლეთსომხურად ლაპარაკობენ ასევე ირანში, საქართველოსა და რუსეთში მცხოვრები სომხები.

- **დასავლეთსომხური** (Արևմտյան հայերեն – არევმტეან ჰადერენ).

დასავლეთსომხური თავდაპირველად ანატოლიაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ოსმალეთის იმპერიაში სომხების გენოციდის შემდეგ ამ ენის გამოყენება შემცირდა, მაგრამ დღევანდელ თურქეთში მცხოვრები ბევრი სომეხი ახერხებს საკუთარი ენის, რელიგიისა და

ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებას. დასავლეთსომხური არის ლიბანისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ გავლენიანი სომხური დიასპორის ენა. სომხურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი დაახლ. 6,7 მილიონს აღწევს (1999 წლის მდგომარეობა), რომელთაგან 3 მილიონი სომხეთში ცხოვრობს.

4. **სლავური ენები.** უძველესი წარმომადგენელი არის ძველი ანუ საეკლესიო სლავური, რომელზედაც ჩვ. წ. აღ-ით IX ს-ში ბერებმა კირილემ და მეთოდემ გადათარგმნეს საეკლესიო ქრისტიანული წიგნები. მათ შექმნეს ორი ანბანი: კირილიცა და გლაგოლიცა. თანამედროვე სლავური ენებია: რუსული, უკრაინული, ჩეხური, ბულგარული, მაკედონური, პოლონური, სერბულ-ხორვატული, ბელორუსული და სხვა.
5. **ბალტური ენები** - დღეს წარმოდგენილია ლიტვური და ლატვური ენებით, რომლებზედაც შედგენილი წერილობითი ძეგლები მიეკუთვნება XVI საუკუნეს. ძველმა პრუსიულმა ენამ, რომელიც ამავე ოჯახში შედის და შეწყვიტა არსებობა XVIII-ში. ამ ენაზე შედგენილი სულ რამდენიმე ტექსტილაა დარჩენილი.

6. *ალბანური ენა* – წერილობითი ძეგლები ამ ენაზე შედგენილი მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ-ით XV საუკუნეს.
7. *ბერძნული ენა* –უძველეს წერილობით ძეგლს ამ ენაზე წარმოადგენს კრეტა-მიკენის წარწერები ძვ. წ. აღ-ით XV-XIII სს. და ჰომეროსის პოემები. ელინისტურ ეპოქაში ყველა ბერძნული დიალექტი შეცვალა ერთმა ბერძნულმა ენამ ე.წ. კლინემ, რომლისგანაც შემდეგ წარმოიშვა თანამედროვე ბერძნული ენა.
8. *გერმანიკული ენები* – ამ ენის ოჯახის ენათა უძველესი მდგომარეობა ასახულია სკანდინავიურ რუნებში (ძვ. გერმანული დამწერლობა) ჩვ. წ. აღ-ით III-IV სს-ში გოთურ ენაში, რომელზედაც ეპისკოპოსმა ბულფილამ ჩვ. წ. აღ-ით IV ს-ში გადათარგმნა ბიბლიის ზოგიერთი ნაწილი. გერმანიკული ენებია: გერმანული, ჰოლანდიური, ინგლისური, ისლანდიური, ნორვეგიული, დანიური, შვედური, ავსტრიული, ფლამანდრიული და სხვა.
9. *იტალიური ენები*, იყოფოდა ორ ჯგუფად: ლათინურ-ფალისკურ და ოსკურ-უმბრიულად. ლათინური ენიდან წარმოიქმნა რომანული ენები: იტალიური, ესპანური, ფრანგული, პორტუგალიური,

პროვანსული, მოლდავური, რუმინული, სარდინიული, კატალანური, რეტო-რომანული და სხვა.

10. **კელტური ენები.** ინდოევროპულ ენათა ეს განშტოება ფართოდ იყო გავრცელებული შუა და სამხრეთ ევროპაში დღევანდელი საფრანგეთის, ბელგიის და ესპანეთის ტერიტორიებზე. დღეს კელტური ენები წარმოდგენილია მცირერიცხოვანი გადმონაშთებით, არსებობს ცოცხალ, კელტურ ენათაგან - **ერთი**, რომელზედაც კუნძულთა მცხოვრებნი ლაპარაკობენ, და **მეორე** - კონტინენტური კელტური. ყველაზე ძველი ტექსტები შემორჩენილია ჩვ. წ. აღ-ით (ლათინური ანბანით) V საუკუნეში ირლანდიურ, ხოლო გალისკურ ანუ კივიურ ენაზე ჩვ. წ. აღ-ით IV-VIII საუკუნეებიდან. ცოცხალი კელტური ენები მხოლოდ კუნძულთა მაცხოვრებლების მიერ გამოიყენება. კონტინენტური კელტური ცნობილია მხოლოდ ფრაგმენტების სახით, მცირერიცხოვანი მოკლე წარწერებით, ტოპონიმებით, საკუთარი სახელებით და ანტიკურ მწერალთა მიერ მოწოდებული ცალკეული ცნობებით, ზემოთ ჩამოთვლილი ენები ეს ის ენებია, რომელთა

საფუძველზე წარმოქმნილი ცოცხალი ენები დღესაც არსებობენ.

ამ ენათა გარდა ინდოევროპულ ენათა ოჯახში არსებობდა ისეთი ენებიც, რომელთაც შეწყვიტეს არსებობა და შემონახულნი არიან მხოლოდ წერილობით ძეგლებში. მრავალი მათგანი მხოლოდ XX საკუნეში იქნა აღმოჩენილი, მაგ: 1904 წელს დასავლეთ ჩინეთში აღმოჩენილი იქნა ჩვ. წ. აღ-ით VI-VII სს-ის ტექსტები, რომლებიც დაწერილი იყო დღემდე უცნობი ინდოევროპული ენის ერთ-ერთ ნაირსახეობაზე. ეს ენა გავრცელებული იყო ინდოევროპულ ენათა გავრცელების ტერიტორიის უკიდურეს აღმოსავლეთში. მას პირობითად ტოხარული ეწოდა. 1915 წელს ჩეხმა მეცნიერმა ბედრჟიხ ჰროზნიმ ამოიკითხა ხეთების მეფეთა არქივების ფირფიტების ლურსმნული დამწერლობა - ბოლაზჟი. ბ. ჰროზნიმ და სხვა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ხეთურ ძეგლებში იეროგლიფურსა და ლურსმნულში რამდენიმე ენა აისახება, რომელთაგან ნესილური, ლუვიური, ფალაური და ე.წ. იეროგლიფური ხეთური ინდოევროპულია. ამათგან ყველაზე მეტი საბუთი მოიპოვება ნესილურ ენაზე, ამიტომ როცა ლაპარაკია ხეთურზე,

მხედველობაში აქვთ ნესილური ენა. ხეთური ძეგლები ეკუთვნის ძვ. წ. აღ-ით 1900-1200წწ. მათგან ყველაზე ძველი ძეგლები საერთოდ ინდოევროპულ ენათა უძველეს ძეგლს წარმოადგენს. როგორც ხეთურ, ასევე ტოხარულ ენებს ბევრი საერთო აქვთ იტალიურ ენასთან. ინდოევროპულ ენათა ზოგიერთი ჯგუფიდან სრულიად უმნიშვნელო ნაშთებიღა დარჩა, მაგ: ილირიულმა ენამ, რომელიც ძლიერ იყო გავრცელებული ადრიატიკის ზღვის ორივე სანაპიროზე და მის ჩრდილოეთით, დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ნაშთები ბერძნულ-იტალიურ საკუთარ სახელებსა და ტოპონიმში.

იტალიის პროვინციებში: კალაბრიასა და აპოლიაში შემორჩენილია მესაპური წარწერები – ერთადერთი ეჭვმიუტანელი ტექსტები ამ ენაზე. ცუდად არის აგრეთვე ცნობილი თრაკიულ-ფრიგიული ენები. ფიქრობენ, რომ ერთი მხრივ ამ ჯგუფთან და მეორე მხრივ ილირიულ ენასთან არის დაკავშირებული თანამედროვე ალბანური ენა. სრულიად დასაშვებია, რომ ზოგიერთი ინდოევროპული ენა ჯერ არ აღმოჩენილა და მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს და მიეკუთვნოს ინდოევროპულ ან სხვა ენათა ოჯახს.

*ინდოევროპული (უძველესი) გრამატიკული წყობის
ზოგადი მიმოხილვა.*

ინდოევროპულ ენათათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო თავისებური ფონეტიკური სისტემა, არამედ მახვილიც, რომელიც თავისუფალი იყო და იგი არ იყო დამოკიდებული არც მარცვლის პოზიციაზე და არც მის სიგრძეზე. მისი ადგილი სიტყვაში მუდმივად არ იყო ფიქსირებული და სრულიად სხვადასხვა მარცვალზე იყო მოსალოდნელი. მახვილს ხშირად გრამატიკული ფუნქციაც ეკისრებოდა იმისდა მიხედვით, თუ ერთსა და იგივე სიტყვას სხვადასხვა გრამატიკულ ფორმაში მახვილი სხვადასხვა მარცვალზე მოსდიოდა. მახვილი მუსიკალური იყო და რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოცემულ მარცვალზე ხმა აიწევდა ხოლმე. მორფოლოგიური ტიპის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ ინდოევროპული ენების ფლექსიურ-სინთეზური ენები იყო, ძლიერ განვითარებული ბრუნვისა და უღლების სისტემით, მეტყველების ყველა ნაწილათათვის და არაწესიერი ფორმების დიდი რაოდენობით.

ამრიგად, ნებისმიერი ინდოევროპული ენის ძირითად სიტყვათმარაგში მოიპოვება სიტყვათა და ფუძეთა საკმაო რაოდენობა, რომელიც საერთოა არა მარტო ერთი

ოჯახის, არამედ სხვადასხვა ოჯახის ენებისათვისაც, მაგ:
ზმნა “ყოფნა” მხ. რ-ის III პირის აწმყო დროში:

ინდური: - asti

ძვ. ირანული: - asti

სომხური: - ē

ძვ. სლავური: - есть

გოთური: - ist

ლათინური: - est

ძვ. ირლანდიური: - is

ტოხარული: - ste

ამ ზმნისთვის დამახასიათებელი ბგერათმონაცვლეობა

მხ. რ-ის III პირში est

და მრ. რ-ის III პირში sunt, გვხვდება:

ძველ ინდურში – santi, ხოლო გოთურში – sind

არსებითი სახელი დედა:

ინდური: - mātā, mātār

ძვ. ირანული: - mātar

ძვ. სლავური: - мати

ალბანური: - motre

გოთური: - muoter

ლათინური: - mater

ძვ. ირლანდიური: - mathir

ტოხარული: - mātar

ზედსართავი სახელი ახალი:

ინდური: - navah

ძვ. ირანული: - nava

სომხური: - nor

ძვ. სლავური: - новъ

ლათინური: - novus

ძვ. ირლანდიური: - nue

ხეთური: - nevas

რიცხვითი სახელი ასი:

ინდური: - satām

ძვ. ირანული: - satam

ძვ. სლავური: - съто

გოთური: - hund

ლათინური: - centum

გალური: - canton

ინდოევროპულ ენებში არსებითი და ზედსართავი სახელები დიფერენცირებული იყო, თუმცა მრავალი სუფიქსი არსებითი და ზედსართავი სახელების სისტემაში ერთმანეთს ემთხვეოდა. ინდოევროპულ ენებში ძალიან გავრცელებული და განვითარებული იყო ბრუნვის სისტემა. საერთოდ ინდოევროპული 8 ბრუნვა

შეიძლება დავასახელოთ: *nominativus*-სახელობითი, *genetivus*-ნათესაობითი, *dativus*-მიცემითი, *acusativus*-ბრალდებითი, *ablativus*-აბლატივი, *instrumentalis*-ინსტრუმენტალური, *locativus*-ადგილმდებარეობითი ბრუნვა, *vocativus*-წოდებითი.

ინდოევროპულში იყო 3 რიცხვი: მხოლობითი, ორობითი და მრავლობითი. ყველაზე უკეთ მხოლობითი რიცხვი იბრუნებოდა. მრავლობითში და ორობითში ბრუნვათა დაბოლოება ხშირად ერთმანეთს ემთხვეოდა: *singularis*, *dualis*, *plularis*. იყო 3 სქესი (*genus*): *femininum*, *masculinum*, *neutrum*. მხოლოდ ხეთური არ ანსხვავებდა მდედრობით და მამრობითს. ვარაუდობენ, რომ ხეთური ენა ასახავდა ინდოევროპულ ენათა ყველაზე არქაულ საფეხურს, რომ არსებობდა ორი სქესი: აქტიური და ინერტული. აქტიური გაიყო მდედრობით და მამრობით სქესად, ხოლო ინერტული დარჩა საშუალო სქესად. საშუალო სქესში სახელობითი ყოველთვის ემთხვეოდა ბრალდებითს, თანხმოვანზე დაბოლოებული სახელები ყოველთვის მამრობითი სქესის იყო, ხმოვანზე დაბოლოებული კი- მდედრობითისა.

პირის ნაცვალსახელები ინდოევროპულ ენებში.

ინდოევროპულ ენებში პირის ნაცვალსახელები არ იცვლება სქესის მიხედვით, დანარჩენი ნაცვალსახელი იცვლება სქესის მიხედვით და ემთხვევა არსებითი სახელის ბრუნებას. პირის ნაცვალსახელი თავისებურად იბრუნვის და მათთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია სუპლექტივიზმი, ე.ი. სხვადასხვა ფორმები სახელობით და სხვა ბრუნვებში, ზმნის სისტემაში წესიერი უღლების ჩამოყალიბება გვიანი მოვლენაა. უძველესი ინდოევროპული ენებისათვის ყველაზე დამახასიათებელი იყო არაწესიერი უღლება. ყველა ზმნა თავისებურ წარმონაქმნს წარმოადგენდა თავისებური ფორმით, რომელიც არ ემორჩილებოდა უღლების კანონზომიერებებს და არ ქმნიდა აგრეთვე მათ. განსხვავება ზმნის ფუძეთა შორის ასპექტური იყო. მაგ.: აწმყო დროის ფუძე თავისთავად დროს არ გამოხატავდა იგი მიუთითებდა მოქმედების ან მდგომარეობის ხაგრძლივობაზე. ზმნის სართები აღნიშნავდნენ სამი ასპექტის ფონზე მოქმედების მიმდინარეობის სხვადასხვა ხასიათს. ინდოევროპულ ენებში 4 კილო არსებობდა: თხრობითი, კავშირებითი, ნებელობის და ბრძანებითი. შედარებით სუსტად იყო

განვითარებული დროის სისტემა; მართალია სხვადასხვა დროის ფორმებს სხვადასხვაგვარი დაბოლოება ჰქონდა, მაგრამ ყველაზე უკეთ განსხვავება არსებობდა თხრობითი კილოს ხანგრძლივი ასპექტის 2 დროს: პრეზენსსა და იმპერფექტს შორის. გვარი ორგვარი იყო: მოქმედებითი და საშუალი. ზმნასაც სამი რიცხვი ჰქონდა: მხოლოებითი, ორობითი და მრავლობითი. ზმნათა დაბოლოება ერთდროულად გამოხატავდა პირს, რიცხვს, გვარს და ნაწილობრივ დროსაც. ამიტომ პირის ნაცვალსახელის გამოყენება ზმნებთან არ იყო საჭირო. უპირო ფორმათაგან ინდოევროპული წარმოშობისაა: მიმღეობა, ხოლო ინფინიტივი უფრო მოგვიანებით წარმოიშვა.

მას შემდეგ რაც ინდოევროპული ენები ცალ-ცალკე ენებად გამოიყო, ისინი ურთიერთისაგან დამოუკიდებელ ევოლუციას განიცდიდნენ იმ ხალხების ისტორიასთან ერთად, რომლებიც ამ ენებზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ მონათესავე ენების განვითარება გარკვეული მიმართულებით მსგავსად მიმდინარეობდა. ინდოევროპულ ენათა ისტორიაში შეიმჩნევა რიგი ისტორიული ეპოქებისა, რაც განვითარების მსგავს პერსპექტივებზე მიუთითებს არსებულ

დიფერენცირებულ ფორმათა ფონზე. მაგ.: ყველა ინდოევროპულ ენაში გაქრა არასრული შევსების ხმოვნები, დაიშალა სონანტთა სისტემა, იმატა თანხმოვანთა და ხმოვანთა დიფერენციაციამ. დიფთონგები მონოფთონგებად იქცა, ან ორ ხმოვნად დაიშალა. მუსიკალური მახვილი, დინამიური მახვილით შეიცვალა და ამან საგრძნობლად შეასუსტა უმახვილო ხმოვნები. გრამატიკული ცვლილებანი იმ მიმართულებით წარიმართა, რომ იმატა დამხმარე სიტყვების როლმა, ბრუნვათა სისტემა შემცირდა და შესაბამისად შესუსტდა სიტყვის ავტონომია წინადადებებაში. სინტაქსში იმატა დაქვემდებარების როლმა და წინადადების წევრები ერთმანეთისაგან უფრო დამოკიდებულნი გახდნენ. ზმნის უღლებაში დამკვიდრდა წესიერი უღლება, მომძლავრდა დროის კატეგორია, ხოლო კილოს, ასპექტის და გვარის კატეგორიები პირიქით გამარტივდა. წარმოიქმნა ახალი დროები და განსაკუთრებით გვარის ახალი ფორმები. ყველა ეს ცვლილება სხავადასხვა ენაში სხვადასხვა დროს ხდებოდა. ცვლილებათა უდიდესი ნაწილი წინა ისტორიული პერიოდიდან მოდის, რომელიც წინ უსწრებდა უძველეს წერილობით ძეგლთა წარმოქმნას.

მაგრამ მრავალი პროცესი ისტორიულ ეპოქაში ხდება და მთავრდება უკვე ჩამოყალიბებული დამწერლობის მქონე ენებში.

ინდოევროპულ ენათა იტალიური შტო.

მრავალი ენა, რომელიც მეორე პირველ ათასწლეულში გავრცელდა იტალიაში და დაიკავა მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, საერთო წარმოშობისაა და განეკუთვნება ინდოევროპულ ენებს, რომლებიც თავისებურად, მაგრამ კანონზომიერად ანვითარებდნენ საერთო ინდოევროპული ენების მემკვიდრეობას. ეს ენები ქმნის ე.წ. იტალიურ განშტოებას ინდოევროპული ენებისა. მიაჩნიათ, რომ ცნება იტალიური ენები ტერიტორიული და ამავე დროს გენეალოგიური ცნებაა. ლაციუმის ოლქი აპენინის ნახევარკუნძულის შუაში გარშემორტყმული იყო იტალიკური და არაიტალიკური ხალხებით. თვით ლაციუმში, ტიბრის მარცხენა ნაპირზე საბინები - იტალიის ყველაზე ძველი ხალხი ცხოვრობდა. ტიბრის მარჯვენა ნაპირზე გალისკების მრავალრიცხოვანი ხალხი ცხოვრობდა. სამხრეთ ფუციინის ტბის ირგვლივ ექვები ცხოვრობდნენ. ტრილის ხეობაში გერნიკები, ხოლო მარსები და ვოლსკები ლირისის ზემო ხეობაში. სამხრეთ-აღმოსავლეთით უმბრია

უმბრიელებით-იტალიის ერთ-ერთი უძველესი ხალხით იყო დასახლებული. აღმოსავლეთ-სამხრეთ კამპანიასა და სამნიაში, ლუკანიაში, აპულიასა და ბრუციაში სამნიტები და ოსკები ცხოვრობდნენ. ყველანი ესენი ქმნიდნენ ე.წ. იტალიელ ხალხებს. ჩრდილოეთით ეტრურია მდებარეობდა, სადაც ეტრუსკები ცხოვრობდნენ. უფრო მცირე ხალხებიც ცხოვრობდნენ აპენინზე. ესენი იყვნენ ჰირპინები, ფრენტანები, პელიგნები, მარუცინები და ვესტინები. ჩრდილოეთ იტალიაში კელტები ანუ გალები ცხოვრობდნენ. ვინაიდან ისინი მდინარე პოს გასწვრივ ცხოვრობდნენ, ამიტომ მათ უწოდებდნენ გამოღმა გალიას ანუ გალია ცის პადანას და გაღმა გალიას ანუ გალია ტრას პადანას. დასავლეთით ლიგურიის ყურის გასწვრივ ლიგურები, კელტების მტრები ცხოვრობდნენ, ხოლო აღმოსავლეთით - ვენეტები. სავარაუდოა, რომ ვენეტები და აქ მცხოვრები ხალხები ილირიელებს ენათესავებოდნენ, რომლებიც ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ აპულიასა და კალაბრიაში იაპიგები ანუ მესაპები ცხოვრობდნენ. ესენიც ილირიული წარმომავლობის იყვნენ. სამხრეთით, სანაპიროს გასწვრივ გაფანტული იყო მრავალი ბერძნული კოლონია - საერთო სახელწოდებით მაგნა გრეცია. ყველა ამ ხალხთაგან,

მოწინავენი და პირველნი ეტრუსკები იყვნენ. ისინი უკვე ცნობილია ძვ. წ. აღ-ით XIV-XII სს-ის ეგვიპტური იეროგლიფებიდან სახელით ტურსა, რამაც შემდეგ მოგვცა ლათინური ტოსკანა ანუ ტუსკუს და ბერძნული ტირენოი ანუ ტირსენოი.

ამგვარად, ინდოევროპული წარმოშობის არა იტალიელი ხალხები იყვნენ ვენეტები, გალები და მესაპები, ხოლო არაინდოევროპელები იყვნენ ლიგურები, კორსიკელები, სარდინიელები, სიკანები.

თემა 4: რომანიზაცია

იტალიის ნახევარკუნძულის დაპყრობა

აპენინის ნახევარკუნძული დასახლებული იყო სხვადასხვა ხალხით: სანაპირო და ცენტრალური ნაწილი დაკავებული იყო იტალიელი ტომებით ლათინებით, სადაც VIII საუკუნეში ძვ. წ. აღ-ით შეიქმნა ქალაქი რომი. ჩრდილოეთში ცხოვრობდნენ ეტრუსკები, რომელთა ენაც მიეკუთვნება ხმელთაშუა ზღვის უძველეს ენებს.

ჩრდილო-დასავლეთში კი ლიგურები ბინადრობდნენ; ჩრდილო-აღმოსავლეთში-ილირიელები, ხოლო ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე განთავსებული იყო ბერძნული კოლონიები.

ძვ.წ.აღ-ით VI ს-მდე ეტრუსკები იკავებდნენ გაბატონებულ მგდომარეობას ნახევარკუნძულზე. მაგრამ VI ს-ის შემდეგ დაიწყო ეტრუსკების დასუსტება. აღსანიშნავია, რომ მათ მყარად განვითარებული სახელმწიფო ჰქონდათ. მაგრამ ინტენსიურმა თავდასხმებმა, ერთი მხრივ ქვეყნის შიგნით უკმაყოფილო ხალხებისა და მეორე მხრივ გარეშე მტრების-კელტებისა, გაანადგურა ეს სახელმწიფო.

რომაელებმა შეძლეს მათი დამარცხება და დაიწყეს ნახევარკუნძულის ხალხების დაპყრობა, რასაც წარმატებით აღწევდნენ კიდევ. ძვ.წ.აღ-ით III ს-ში მათ დაიმორჩილეს

მთელი ნახევარკუნძული, ხოლო I პუნიკურ ომში კართაგენის დამარცხების შემდეგ რომმა ხელში ჩაიგდო სამი დიდი კუნძული: კორსიკა, სიცილია და სარდინია.

ლათინური ენა აღწევდა დაპყრობილ რეგიონებში, მაგრამ ამ დროის ლათინური განიცდიდა ამ ხალხთა დიალექტების ზეგავლენას, ვინაიდან ლიტერატურული ფორმა ამ ენისა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ამიტომაც ეს ზეგავლენა უფრო დიდი იყო, ვიდრე უცხო ენისა.

მაგრამ დაბალი კულტურის მქონე ხალხებმა აითვისეს რომაელთა კულტურა და ენა. რის შედეგადაც მათი კულტურა და დიალექტი მალევე გაქრა, ვიდრე უფრო განვითარებული ნახევარკუნძულის სხვა იტალიელი ხალხებისა.

მაგ.: უმბრიული დიალექტი შენარჩუნდა ძვ.წ.აღ-ით II ს-მდე, ოსკური -ძვ.წ.აღ-ით I ს-მდე, ხოლო ეტრუსკული - ჩვ.წ.აღ-ით I ს-მდე.

ბერძნული ენა არ იხევდა ლათინურის წინაშე, პირიქით რომაელებმა მათი დაპყრობის შემდეგ ბერძნული კულტურა აითვისეს და გაითავისეს - სწორედ ბერძნულის ბაზაზე ჩამოყალიბდა რომაული კულტურა ძვ.წ.აღ-ით II ს-ში.

ამ დროისათვის რომი უძლიერესი სახელმწიფო გახდა, ხოლო ლათინური შეიჭრა დაპყრობილ ხალხთა ლექსიკაში.

უკვე სალიტერატურო ლათინური ჩამოყალიბებულია და მან განიცადა ნორმატიული ზეგავლენა ხალხური მეტყველებისა.

იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობა

იბერიის ნახევარკუნძულის დაპყრობა რომმა დაიწყო ძვ.წ.აღ-ით III ს-ში. ამ ტერიტორიაზე მემატინეთა მიხედვით ცხოვრობდა 500-ზე მეტი სხვადასხვა ტომი - უმეტესად კელტ-იბერიელები. მათი კულტურული დონე განსხვავებული იყო.

მაგრამ სამხრეთი ნაწილი ბერძნებისა და ფინიკიელთა ზეგავლენას განიცდიდა, ამიტომაც ნახევარკუნძულის ეს ნაწილი უფრო განვითარებული იყო.

იბერიელმა ხალხებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს. ამ ტერიტორიის დაუფლებისათვის რომაელებს 200 წელი დასჭირდათ(ძვ.წ.აღ-ით 218-18წწ.).

იბერიული ენებიც უძველეს ენებს მიეკუთვნებოდნენ, ისევე როგორც ეტრუსკული ენა. მიუხედავად ამისა ლათინურმა მაინც შეაღწია მათ მეტყველებაში და დაიმკვიდრა კიდევ მყარი ადგილი მათ ლექსიკონში.

რომანიზაციის ტერმინში იგულისხმება არამარტო რომაული კულტურისა და ლათინურის ათვისება, არამედ სოციალური

წყობის ცვლილებები ამ ხალხებისა და კლანური საზოგადოებიდან მონათმფლობელურში გადასვლა.

რომის პოლიტიკა ნახევარკუნძულზე სხვადასხვა გზით ხორციელდებოდა: სკოლების ჩამოყალიბებით, საკომუნიკაციო გზების მშენებლობით, რომელ პატრიციებზე მამულების დარიგებით, ადგილობრივ მოსახლეობაზე რომის მოქალაქეობის მინიჭებით და სხვა. მაგ.: ცნობილია რომ დიდი რომელი რიტორიკოსი, მჭერმეტყველობის დიდებული პედაგოგი, ანტიკური პედაგოგის კლასიკოსი და ავტორი, ყველაზე სრულყოფილი ანტიკური ხანის ორატორული ხელოვნების წიგნისა: „ორატორის მოძღვრება“, კვინტილიანე იბერიელი იყო.

ჩვ.წ.ად-ით 1 ს-ში იბერიელმა ხალხმა მიიღო რომის მოქალაქეობა. ამ პერიოდში რომის კულტურამ და ლიტერატურამ მიაღწია განვითარების თავის აპოგეას. სალიტერატურო ენა საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ახდენდა ნორმატიულ ზეგავლენას სალაპარაკო მეტყველებაზე.

გალიის რომანიზაცია

ბალკანეთის დაპყრობის შემდეგ, რომმა დამპყრობლური სვლა გააგრძელა დასავლეთისაკენ. შემდეგი კი იყო გალია, რომლის მოსახლეობაც უმთავრესად კელტებს შეადგენდნენ.

გალიის ჩრდილოეთში მდინარე სენამდე ცხოვრობდნენ ბელგიელები, სენის სამხრეთში მდინარე გარონამდე ცხოვრობდნენ კელტები, რომლებსაც რომაელები გალებს ეძახდნენ, პირენეის მთებამდე ცხოვრობდნენ იბერიელი ტომები და აკვიტანელები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთში – ლიგურები.

ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ეკუთვნოდა ბერძნებს (მდ. რონიდან ნიცამდე), სადაც მდებარეობდა ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო მასალია (დღევანდელი მარსელი).

იმ დროს კელტების კულტურული დონე სხვადასხვა იყო: ზოგიერთი ინარჩუნებდა პირველყოფილ სოციალურ მდგომარეობას, ხოლო ზოგი სოლიდურ სახელმწიფოებს ქმნიდა. ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა კელტ ხალხს შორის ბატონობის მოსაპოვებლად, ხელს უშლიდა მათ შეექმნათ ერთიანი სახელმწიფო. ეს იყო მთავარი მიზეზი, რომლის საფუძველზეც გალია სწრაფად იქნა დაპყრობილი რომაელთა მიერ.

ძვ.წ.აღ–ით 154 წელს რომაელები პირველად შევიდნენ გალიაში ბერძნების დასახმარებლად ლიგურთა წინააღმდეგ საბრძოლველად. გამარჯვების მოპოვების შემდეგ რომმა დატოვა გალიის ტერიტორია. მაგრამ ქალაქმა მასალიამ ძვ.წ.აღ–ით 125 წელს კვლავ მიმართა დახმარების თხოვნით

რომს, კელტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლაშიც გამარჯვებს რომაელებმა, მაგრამ ამჯერად ისინი დარჩნენ მასალიაში და შექმნეს თავიანთი კოლონია, რომელსაც უწოდეს ნარბონის პროვინცია. მასალიამ დამოუკიდებლობა დაკარგა და რომის იმპერიის ნაწილი გახდა.

ძვ.წ.აღ-ით 58–51წწ-ში გალიის ცენტრალური და ჩრდილოეთი ნაწილი იულიუს კეისარმა დაიმორჩილა.

ძვ.წ.აღ-ით 52წ. კელტები დროებით გაერთიანდნენ რომაელთა წინააღმდეგ ახალგაზრდა კელტი ბელადის ვერსინჟეტორიქსის მეთაურობით. სამწუხაროდ ეს დიდებული აჯანყება რომაელებმა ჩაახშვეს ძვ.წ.აღ-ით 51 წ. და გალია საბოლოოდ დაიმორჩილეს. იგი დაიყო 3 პროვინციად: ბელგიის, ლიონისა და აკვიტანიის პროვინციებად.

რომანიზაცია ნელ–ნელა აღწევდა დაპყრობილ რეგიონებში, იგი გავრცელდა ბევრად უფრო სწრაფად სამხრეთში, ვიდრე ცენტრსა და ჩრდილოეთში.

უფრო მოგვიანებით სამხრეთელი კელტი ხალხის ისტორიული განვითარება წარიმართა სხვა გზით, განსხვავებით ცენტრალური და ჩრდილოეთის ხალხებისაგან. კერძოდ, სამხრეთ გალიაში წარმოიშვა

პროვანსული ენა, სტრუქტურულად მსგავსი ფრანგულისა, მაგრამ ის მაინც მიიჩნევა ცალკე რომანულ ენად.

რომანიზაცია ცენტრში და ჩრდილოეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო ნელა განხორციელდა. თანდათან კულტურ კულტურას ცვლიდა რომანული, ხოლო ადგილობრივ ენას – ლათინური. მრავალი ქალაქი გახდა რომაული კულტურის ცენტრი, როგორც იყო: ლიონი, არლი, ტულუზა, ბორდო და სხვა. სკოლებმა კი გადამწყვეტი როლი ითამაშეს რომანიზაციის პროცესში. რომის არცერთ პროვინციაში არ ყოფილა იმდენი სკოლა, რამდენიც იყო გალიაში.

სალაპარაკო ლათინური არამარტო ქალაქის მოსახლეობამ აითვისა, არამედ სოფლის მოსახლეობამაც. უზარმაზარი ტერიტორიები ეკუთვნოდა რომაელ მიწათმფლობელებს, მიწას კი ამუშავებდა სხვადასხვა პროვინციებიდან ჩამოყვანილი მონები, ერთანეთთან და პატრონებთან კომუნიკაციისას მათ სჭირდებოდათ ლათინურის შესწავლა. ეს სოფლური ლათინური ანუ „რუსტიკა“ არ განიცდიდა ნორმატიულ ზეგავლენას ლიტერატურული ლათინურისა, ამიტომაც მას უნდა ჰქონოდა გასაკუთრებული და განსხვავებული ნიშნები. მაგრამ ვინაიდან დოკუმენტური მასალა არ მოიპოვება ენის ამ ფორმის შესახებ, ამიტომაც

საჭიროა ისინი ვეძიოთ რომანული ენების სხვადასხვა დიალექტში.

ლათინური ენის ასიმილაცია არ ნიშნავს იმას, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთბაშად დაივიწყა მშობლიური ენა. უამრავი ისტორიული დოკუმენტი ადასტურებს, რომ კელტური ენა, როგორც ცოცხალი ენა, შენარჩუნდა ჩვ.წ.აღ-ის VI საუკუნემდე, ხოლო იბერიული და ლიგურული დიალექტები ბევრად უფრო ადრე გაუჩინარდნენ. გალია გახლდათ ერთ-ერთი რომაული პროვინცია, სადაც რომანიზაცია იყო სრულყოფილი.

ბრიტანეთის დაპყრობა

გალიის დაპყრობის დროს ცეზარმა დაიწყო ბრიტანეთის დამორჩილება. ბრიტანეთის მოსახლეობა, ისევე როგორც გალიისა, დასახლებული იყო კელტებით. მაგრამ მათი კულტურული დონე ფრიად განსხვავებული და დაბალი იყო გალიის კელტებისაგან.

იულიუს კეისარმა ბრიტანეთის დაპყრობა ჩვ. წ. აღ.-მდე 55 წელს დაიწყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ სამშობლოდან გაქცეული გალიის კელტები თავშესაფარს ბრიტანეთში ეძებდნენ. საჭირო გახდა ჭკუა ესწავლებინათ

ბრიტანელებისათვის, რათა მათ არ შეეფარებინათ იმპერიის მტრები.

ზღვისპირა ხალხის დაპყრობის შემდეგ კეისარი გალიაში დაბრუნდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კვლავ განაახლა ბრიტანეთის დაპყრობა; მან შეაღწია ქვეყნის სიღრმეში, მაგრამ არც კეისარი და არც მისი მემკვიდრეები აღარ დაინტერესებულან ამ პროვინციით, ვინაიდან აქ მათი დანახარჯები მნიშვნელოვნად სჭარბობდა შემოსავალს.

მხოლოდ ასი წლის შემდეგ რომმა გადაწყვიტა დაემყარებინა ბრიტანეთში თავისი ძალაუფლება. ეს კამპანია წამოიწყო იმპერატორმა კლავდიუსმა 43 წელს ჩვ. წ. აღ.-ით. ადგილობრივმა მოსახლეობამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია დამპყრობლებს, მაგრამ 83 წელს ჩვ. წ. აღ.-ით რომაელებმა შეძლეს მთელი ბრიტანეთის დამორჩილება, გარდა ჩრ. შოტლანდიისა და ირლანდიისა.

რომანიზაცია ამ ტერიტორიაზე წარიმართა ძალზედ ნელა. ლათინური ენა შეითვისა და რომის კულტურა აითვისა პრივილეგირებულმა ფენამ, ხოლო ხალხურ ლათინურს სოფლის მოსახლეობაში არც შეუღწევია.

ჩვ. წ. აღ.-ით V ს-ში რომმა აღარ მოისურვა ამ შორეული პროვინციის შენახვა და დატოვა ბრიტანეთის ტერიტორია. არისტოკრატთა დიდი ნაწილი რომაელ დამპყრობლებს

გაყვა. რომის კულტურის ზეგავლენა მალე წაიშალა ბრიტანეთში. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ბრიტანეთში მისულ ახალ დამპყრობლებს - გერმანიკულ ტომებს, რომლებმაც დაიპყრეს ეს ტერიტორია, არ შეხვედრიათ არანაირი წინააღმდეგობა არც რომაული კულტურისა და არც ენის მხრივ.

ალპების დაპყრობა და რომანიზაცია

ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნის ბოლოს რომმა დაიპყრო შემდეგი რეგიონები: ჰელვეცია

(დღევანდელი შვეიცარიის დასავლეთი ნაწილი), რეცია (დღევანდელი იტალიის ჩრდილოეთი და შვეიცარიის აღმოსავლეთი), ნორიკია (დღევანდელი ავსტრიის დასავლეთი) და პანონია (დღევანდელი ავსტრიის აღმოსავლეთი და უნგრეთის დასავლეთი). ყველა ეს რეგიონი განიცდიდა ინტენსიურ რომანიზაციას.

ჰელვეციაში მცხოვრებმა კელტებმა სწრაფად აითვისეს რომაელთა ენა და კულტურა.

რეციის კელტები, რომლებიც მეომარ და მთიელ მოსახლეობას წარმოადგენდნენ, არ დამორჩილდნენ დამპყრობლებს. უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებულ იქნა, ხოლო

გადარჩენილებმა ალპებს შეაფარეს თავი. დაპყრობილი ტერიტორია თითქმის უკაცრიელი დარჩა, ამიტომ რომაელებმა იქ იტალიკური ტომები დაასახლეს.

ნორიკის მოსახლეობა ძირითადად ილირიელებისაგან შედგებოდა. რომაელთა დაპყრობის დროს ამ ხალხს განვითარების გარკვეული დონე გააჩნდა; ჰყავდათ მეფე, აწარმოებდნენ ვაჭრობას რომთან და იყვნენ რომაული კულტურის ზეგავლენის ქვეშ. ამიტომაც დაპყრობის შემდეგ ნორიკიამ განიცადა სრული რომანიზაცია.

პანონიის რეგიონი, დასახლებული ილირიელებით, რომაელთა დაპყრობის შემდგომ ერთ-ერთი უმდიდრესი პროვინცია გახდა რომის იმპერიისა, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ. რომანიზაცია აქაც სწრაფი ტემპით განხორციელდა.

ჩვ. წ. აღ.-ით V ს-ში დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონის ბედი განსხვავებული იყო: გერმანიკულმა ტომებმა, რომლებმაც რომაელთა შემდგომ დაიკავეს ჰელვეცია, აითვისეს ადგილობრივთა ე.ი. რომაელთა კულტურა და ლათინური ენა, რამაც გამოიწვია მოგვიანებით ფრანგული ენის ფორმირება მთელ გალიაში.

ალპებში გახიზნულმა რეციელებმა შეძლეს შეენარჩუნებინათ დედაენა, რამაც მოგვიანებით გამოიწვია ახალი რომანული ენის - რეტო-რომანულის ჩამოყალიბება.

ჩვ. წ. აღ-მდე III საუკუნეში რომაელთა მიერ დაპყრობილი ილირიის ზღვისპირა ნაწილი რომიის იმპერიაში დაღმაცის სახელით შევიდა. ეს იყო მდიდარი რეგიონი, ხელსაყრელი სანაოსნო მდგომარეობით, რაც რასაკვირველია იზიდავდა იტალიელ ხალხებს და ამიტომაც იგი მათ მიერ სწრაფად იქნა ათვისებული. მოგვიანებით აქ ჩამოყალიბდა ცალკე რომანული ენა - დაღმატური (ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე), რომელიც დღეს მკვდარი ენაა. შუა საუკუნეებში ეს ენა გავრცელებული იყო მთელ დაღმაციაში, მაგრამ ნელ-ნელა იგი გაძევებული იქნა იტალიური და სლავური ენების მიერ.

ამ ენაზე მოლაპარაკე უკანასკნელი ინდივიდი გარდაიცვალა 1898 წელს.

მაზოასა და დაკიის რომანიზაცია

ჩვ. წ. აღ-მდე I საუკუნის ბოლოს რომალებმა დაიპყრეს მაზოა (თანამედროვე ბულგარეთი). ამ რეგიონის დაუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომაელებისთვის, ვინაიდან

ამ ტერიტორიის დაპყრობის შემდეგ მათ შეეძლოთ დაემორჩილებინათ დაკიის უმდიდრესი რეგიონი.

დაკიის მოსახლეობას შეადგენდა თრაკიელები. მათი კულტურული დონე იმ დროისათვის იყო ძალზედ მაღალი. დაკიელებს ჰყავდათ მეფე და დიდი სამხედრო ძალა. მათი ეკონომიური სიძლიერე განპირობებული იყო კარპატების მთებში ოქროს მოპოვებით.

მიუხედავად მათი წინააღმდეგობისა ჩვ. წ. აღ.-ით 107 წელს დაკია იქნა დაპყრობილი რომაელთა მიერ. რომაელებმა გაანადგურეს ადგილობრივი კულტურა. მაგრამ სწორედ ამ რეგიონის დაპყრობა გახდა უკანასკნელი რომის იმპერიისათვის.

დაკიელთა უმრავლესობა გაჟლიტეს, ხოლო გადარჩენილებმა თავი მთებს შეაფარეს.

ჩვ. წ. აღ.-ით 275 წელს დაიწყო ბარბაროს ტომთა შემოსევები აღმოსავლეთიდან. რომაელებმა ვეღარ შეძლეს დაკიის შენარჩუნება და გაიყვანეს იქედან თავიანთი ლეგიონები. რასაკვირველია პრივილეგირებული ფენა რომაელებს გაჰყვა. მაგრამ ადგილობრივმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ლათინური ენა და იგი მათი დედაენა გახდა. მოგვიანებით ამ რეგიონში ორი რომანული ენა ჩამოყალიბდა: რუმინული და მოლდავური.

ზემოთ მოყვანილმა ისტორიულმა ფაქტებმა გვიჩვენა თუ რამ გამოიწვია სხვადასხვა რომანული ენის შექმნა ყოფილი რომის იმპერიის პროვინციებში.

დასავლეთ რომის იმპერიის აღსასრული

მცირეწლოვანი ჰონორიუსის ტახტზე ასვლის შემდეგ იმპერიის სათავეში ვანდალური წარმოშობის სტილიხონუსი იყო. მის წინაშე ორი ამოცანა იდგა: დაეცვა იტალია ბარბაროსების შემოჭრისგან და აღეკვეთა გალური სეპარატიზმი.

402 წელს გოთების შემოსევა იტალიაში დიდი სირთულით შეაჩერეს. 405 წელს აღმოსავლეთ ალპებიდან შემოიჭრნენ გოთები და ფლორენციამდე მიაღწიეს. აქ მოხერხდა მათი დამარცხება. იმპერიის ისტორიულ დედაქალაქს რომს და იმპერატორის რეზიდენციას - რავენას სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ამ ქალაქების გასამაგრებლად სტილიხონუსმა გადმოიყვანა ჯარები ბრიტანეთიდან და გალიიდან. ამით მან შეასუსტა ამ პროვინციების დაცვა. ამით 407 წელს ისარგებლეს ალანებმა, ვანდალებმა, სვევებმა, რომლებმაც გადმოკვეთეს რაინზე საზღვარი და შეესივნენ გალიას. აქაური არისტოკრატია იძულებული გახდა თვითონ

ეხელმძღვანელა თავდაცვისთვის, ვინაიდან იმპერატორისგან დახმარების იმედი აღარ ჰქონდა.

407 წელს გალიაში არმიამ იმპერატორად კონსტანტინე აღიარა. მან შეძლო ვანდალების განდევნა, რაინის საზღვრის გამაგრება და გალიაში სტაბილურობის აღდგენა. ცენტრალური ხელისუფლების უმოქმედობამ გააძლიერა კონსტანტინეს პოზიციები გალიაში.

რომის აღება ვესტგოთების მიერ

408 წელს სტილიხონუსი მოკლეს. გოთებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დაირღვა, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი ალარიქუსის მეთაურობით შეიჭრნენ იტალიაში. შემოდგომაზე ალარიქუსმა ალყა შემოარტყა რომს. რომის მოსახლეობამ თავის დახსნა მხოლოდ დიდი გამოსასყიდის გადახდის შედეგად შეძლო. ამის შემდეგ ალარიქუსმა სცადა იმპერატორთან მოლაპარაკება ეწარმოებინა, მაგრამ მმართველმა წრეებმა ჩაშალეს მოლაპარაკება. 410 წლის 24 აგვისტოს რომის ჭიშკარი მონებმა გახსნეს და გოთებმა აიღეს ქალაქი. იმ დროინდელი სამყაროსთვის ეს უდიდესი კატასტროფა იყო. რომმა დაცემის შემდეგაც განაგრძო არსებობა, მაგრამ მან დაკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. რომის ფორუმი, სადაც ოდესღაც მთელი

ხმელთაშუაზღვისპირეთის ბედი წყდებოდა, დაცარიელდა და გაპარტახდა. ამ დღიდან დასავლეთ რომის იმპერიის განწირულობა ცხადი გახდა. იმპერიის საბოლოო დაცემა მხოლოდ დროის საკითხი იყო.

ბარბაროსული სახელმწიფოების ჩამოყალიბება

ამ მოვლენების შემდეგ იმპერატორი იძულებული გახდა დათანხმებულიყო იმპერიის ტერიტორიაზე ნახევრად დამოუკიდებელი ბარბაროსული სახელმწიფოების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც იმპერიაში მხოლოდ ფორმალურად შედიოდნენ.

ასე 418 წელს, აკვიტანიაში დასახლებულმა ვესტგოთებმა შექმნეს პირველი ბარბაროსული სახელმწიფო, 429 წელს აფრიკაში გადასახლებულებმა სვევებმა შექმნეს ვანდალური სამეფო. ვესტგოთები ადგილობრივ რომანიზებულ მოსახლეობასთან მშვიდობიან ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ, ხოლო ვანდალები სდევნიდნენ რომაელებს, ანგრევდნენ და ძარცვავდნენ ქალაქებს. 435 წელს ვანდალური სამეფო რომის მოკავშირედ სცნეს, ფორმალურად მათ უნდა დაეცვათ რომის ინტერესები, მაგრამ რეალურად რომმა საბოლოოდ დაკარგა აფრიკული პროვინციები. 443 წელს სამხრეთ გალიაში ბურგუნდიის

სამეფო ჩამოყალიბდა, 451 წელს ბრიტანეთში კი - ანგლოსაქსების სამეფო.

ყველა ეს სამეფო მხოლოდ ფორმალურად ემორჩილებოდა რომის იმპერატორს. ამ პერიოდის განმავლობაში იმპერატორის კარი ყველანაერად ცდილობდა შეენარჩუნებინა იმპერიის არსებობის ილუზია.

ჰუნების შემოსევა

დაუძლურებული იმპერიისთვის ახალი საფრთხე ჰუნების სახით წარმოიშვა. ჰუნების ტომებს სათავეში ატილა ჩაუდგა. იგი ჯერ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში შეიჭრა, ხოლო შემდეგ გალიისკენ გაემართა. იგი საფრთხეს არა მარტო რომანიზირებული არისტოკრატისთვის, არამედ ბარბაროსული სახელმწიფოებისათვისაც წარმოადგენდა. ჰუნების წინააღმდეგ გაერთიანდნენ ალანები, ვესტგოთები, გალები, ბურგუნდები და საქსები. მათ ჯარებს ფლავიუს აზციუსი ხელმძღვანელობდა.

კოალიციის ჯარებსა და ჰუნებს შორის გადამწყვეტი შეტაკება მოხდა კატალაუნის ველზე 451 წლის ივნისში, ეს ბრძოლა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი იყო. ამ ბრძოლაში ჰუნები

დამარცხდნენ, ხოლო ატილას სიკვდილის შემდეგ (453) ჰუნები საფრთხეს უკვე აღარ წარმოადგენდნენ.

რომის აღება ვანდალების მიერ 455 წელს

ჰუნების საშიშროებამ ცოტა ხნით გააერთიანა რომაელები და გერმანული ტომები, მაგრამ კატალაუნის ბრძოლის შემდეგ იმპერიის დაშლის პროცესები უფრო დაჩქარდა. ბარბაროსული სახელმწიფოები იმპერატორს ანგარიშს აღარაფერში აღარ უწევდნენ. ვესტგოთებმა თავისი სახელმწიფო ესპანეთის მიერთებით გააფართოვეს.

ვანდალებმა ამასობაში შექმნეს ფლოტი და დაიწყეს სიცილიაში, სარდინიაში და კორსიკაში შემოსევები. 455 წელს მათ ისარგებლეს რავენის მთავრობის უძლურებით და აიღეს რომი, რომელიც ეკლესიის მეთაურის - რომის პაპის რეზიდენცია იყო. ვანდალები 14 დღე მარცვავენ ქალაქს. მათ ყველაფერი გაანადგურეს, რისი წაღებაც ვერ შეძლეს. მას შემდეგ "ვანდალიზმი" გახდა რბევის და განადგურების აღმნიშნავი სიტყვა.

იმპერიის დასასრული

ამგვარად, ამ დროისთვის ესპანეთი და გალია სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ. გალიის ჩრდილოეთით გადმოსახლდნენ ფრანკები. რავენაში კი, მიუხედავად იმპერიის უძლურებისა, გრძელდებოდა ძალაუფლებისთვის ბრძოლა. იმპერატორები სწრაფად ცვლიდნენ ერთმანეთს და ისინი არანაირ ძალაუფლებას აღარ ფლობდნენ. გამონაკლისი მხოლოდ იულიუს მაიორიანუსი იყო (457-461). მან სცადა იმპერიის კონსოლიდაცია და რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა შესთავაზა. მან მოკლე ხნით მოახერხა გალიაში და ესპანეთში რომის კონტროლის აღდგენა, მაგრამ იმპერიის აღორძინება არც არისტოკრატებს, და მითუმეტეს არც ბარბაროს მეფეებს არ სურდათ, ამიტომ მათ მოაკვლევინეს იმპერატორი და იმპერიის აღორძინების უკანასკნელი იმედიც დასამარდა.

რომულუს ავგუსტუსი, რომის უკანასკნელი იმპერატორი

ამ დროიდან იმპერიის ტახტი ბარბაროსთა მეფეების ხელში სათამაშოდ იქცა. 476 წელს გვარდიის ხელმძღვანელმა ოდოაკრმა ჩამოაგდო 16 წლის რომის უკანასკნელი იმპერატორი, რომელსაც ბედის ირონიით იგივე სახელი ერქვა, რაც რომის ლეგენდარულ დამაარსებელ რომულუსს.

ასე დაასრულა არსებობა მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა
იმპერიამ, რომელიც აერთიანებდა მთელ
ხმელთაშუაზღვისპირეთს და დასავლეთ ევროპას.

თემა 5: უბველესი რომანული პერიოდი; გერმანელთა ლაშქრობები; სლავთა გადაადგილება.

V საუკუნეში რომის იმპერიის დაცემამ და ბარბაროსთა შემოსევებმა შექმნეს სრულიად ახალი პირობები ლათინური ენის განვითარებისა იმ რაიონებში, სადაც ამ ენაზე ლაპარაკობდნენ. პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების გამო კლასიკური რომაული კულტურა ნელ-ნელა მივიდა სრულ კრახამდე.

მაგ.: VII ს-ში გალიაში ხალხურმა მეტყველებამ შეაღწია საზოგადოების ყველა ფენაში, მითუმეტეს რომ სკოლა ამას წინააღმდეგობას ვეღარ უწევდა. რომის თითოეულმა ყოფილმა პროვინციამ განსაკუთრებული პოლიტიკური რეჟიმი დაამყარა, ასე რომ ამ ქვეყნის ხალხი ერთმანეთს აღარ მიმართავდნენ ისე როგორც ეს ხდებოდა რომის იმპერიის დროს. ამის შედეგად რომანიის ცალკეულ ნაწილში დაიწყო დიფერენციაციის პროცესი, რაც მკვეთრად აისახა ენაში (გრამატიკასა და ლექსიკაში). ცალკეული მხარეების განსხვავებულობა უფრო და უფრო იზრდებოდა, რაც ბოლოს დასრულდა სხვადასხვა ენის წარმოქმნით.

გერმანელთა ლაშქრობები.

რომაელები გერმანელებს ერთი წარმოშობის ხალხად მიიჩნევდნენ, რომლებიც ნელ-ნელა, ცალ-ცალკე იკავებდნენ ცენტრალური ევროპის ვრცელ ტერიტორიებს. რომმა მაინც ვერ შეძლო დაემორჩილებინა ისინი, მაგრამ III ს-დან დაიწყო მათი შეკრება და თავიანთი ლეგიონების ნაწილობრივ გერმანელი მეომრებით შევსება. თანდათან ბარბაროსები აღწევდნენ რომის იმპერიაში და სასაზღვრო რაიონებში დასამუშავებელ მიწებს ლეზულობდნენ.

V ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთიდან სლავთა, ჰუნთა და მონგოლთა ურდოების მოწოლის გამო გერმანელები მიემართებოდნენ იმპერიის სიღრმეში.

პირველი ნაკადი გადმოსახლებისა განხორციელდა სუსტი ნებისყოფის მქონე იმპერატორის ჰონორიუსის მმართველობის დროს, მაგრამ მათი სვლა შეჩერებული იქნა ტოსკანიის ველებზე სტილიხონის მიერ.

მეორე ნაკადი, უფრო ძლიერი, შედგებოდა ალემანების სვევების, ვანდალებისა და ბურგუნდიელებისაგან. მათ გადალახეს მდინარეები დუნაი და რეინი 407 წელს და მოეფინენ მთელ გალიას. ამ დროს დაიდრა ვესტ-გუთები და ალარიკის მეთაურობით იტალიაში შეიჭრნენ. მათ ორჯერ

აიღეს და გამარცხეს რომი. დაახლოებით ამ დროს რომაელები ტოვებდნენ დიდ ბრიტანეთს.

ამ ლაშქრობების მიუხედავად ბარბაროსებმა ვერ შეძლეს რომის ფარგლებში დამკვიდრება.

სვევებმა და ვანდალებმა გადალახეს გალია და დაიკავეს იბერიის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი, სადაც შექმნეს საკმაოდ ძლიერი სამეფო. ვანდალებმა დაიკავეს ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და უწოდეს მას ანდალუზია. აქედან ისინი აფრიკაში გადავიდნენ, მისი მთელი ჩრდილოეთი ნაწილი დაიპყრეს და ჰენზერიხის მეთაურობით იქ სამეფო შექმნეს, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში არსებობდა.

ვესტ-გუთებმა ნელ-ნელა მთელი ესპანეთი დაიპყრეს და დედაქალაქად ტოლედო გამოაცხადეს. მათ ძალაუფლება ორი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნეს.

გალიაში ჟენევის ტბის გარშემო და მდ. რონის შუა ნაწილში დამკვიდრდნენ ბურგუნდიელები. ისინი შედარებით მშვიდობიანი ბარბაროსები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ხელობას მისდევდნენ. თავდაპირველად ისინი გალო-რომაელ მიწათმფლობელებთან სახლდებოდნენ როგორც სტუმრები, ხოლო შემდეგ მათი მიწები გაიყვეს და გუნდობადეს დროს (463-516წწ.)სამეფო შექმნეს.

გალიის ჩრდილოეთში რომი მეტნაკლებად ინარჩუნებდა თავის ძალაუფლებას. 451 წელს მათ შეძლეს შეეჩერებინათ კატალონიის ველზე საშინელი მოწოლა ჰუნებისა, ატილას ხელმძღვანელობით. ამ ბრძოლას მეთაურობდა რომაელი მხედართმთავარი ფლავიუს აეციუსი. სენისა და მარნის აუზებში პატრიციის ეგიდით შეიქმნა გალო-რომაული სახელმწიფოს მსგავსი რამ, რომლის მემკვიდრე გახდა მისი ვაჟი – სიაგრი. თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ეს სახელმწიფო დაპყრობილ იქნა სალიკური ფრანკების მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ მდ. შელდეზე დამკვიდრდნენ, ხოლო შემდეგ მდ. სომზე. ერთ-ერთი მათი წინამძღოლი ჰოლოდვიგი, შვილი ჰილდერიკისა, გახდა დამაარსებელი ფრანკთა სახელმწიფოსი. მან ამას მიაღწია გალო-რომაული სამღვდელოების დახმარებით. ჰოლოდვიგმა ჯერ დაამარცხა სიაგრი სუასონთან 486წ., ხოლო შემდეგ დაამარცხა ალემანები 496წ., რომლებიც აღმოსავლეთიდან უტევდნენ. 507 წელს ალარიკთან გამარჯვების შემდეგ ჰოლოდვიგმა ვესტ-გუთები პირენეების გადაღმა გადაისროლა. ამგვარად იგი გახდა პატრონი მთელი გალიისა გარდა ბრეტონისა, ბურგუნდიისა და სეპტიმანიისა. მიიღო რომის საკონსულო ღირსება, ხელში ჩაიგდო მთელი სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლება.

511 წელს ჰოლოდვიგის სიკვდილის შემდეგ ფრანკთა სახელმწიფო დასუსტდა, რადგანაც სახელმწიფო დაინაწილეს მისმა შვილებმა. თუმცა კიდევ ორჯერ გაძლიერდა ფრანკთა სახელმწიფო, პირველად ჰლოტარ I-ის დროს (558-561), ხოლო მეორედ დაგობერ I-ის დროს (628-638).

VI ს-ში დიდი ბრიტანეთიდან გადმოსახლებული კელტები ვაროხის ბელადობით იკავებენ არმორიკის ნახევარკუნძულს ბრეტანში და ხელახლა ავრცელებენ თავიანთ ენას. ამავე საუკუნის დასასრულს პირენეის რაიონებში მცხოვრები ბასკები გავრცელდნენ მდ. ადურიდან სამხრეთისკენ, სადაც მათ შეიტანეს თავიანთი ძველი იბერიული ენა. ამ დროს, ჩრ-ში, ახალი ომების შედეგად, რომლსაც ეწეოდა ორი უზარმაზარი მოქიშპე ქვეყანა - ნეისტრია ცენტრში და ავსტრაზია აღმოსავლეთში, დაგობერის შემდეგ მეროვინგთა დინასტია დასუსტებას განიცდიდა.

VIII ს-ში ავსტრაზიის მაგნატთა ოჯახიდან დაწინაურდა ორი მაიორდომი - პიპინ ჰერინსტალელი და კარლოს მარტელი. ამ უკანასკნელმა გაითქვა სახელი პუატიეში 732 წელს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში და ფაქტიურად გახდა გალიის მმართველი. მისი შვილი პიპინ მოკლე, იკავებს სუსტ მემკვიდრეთა ადგილს მეროვინგთა დინასტიაში, რომელმაც

დაარსა კაროლინგების ახალი დინასტია 752 წელს. პიპინის შვილი - კარლოს დიდი (768-814), აღწევს დიდ ძალაუფლებას ლანგობარდებთან, საქსებთან, ავარებთან და სხვა ტომებთან წინააღმდეგ ომებში გამარჯვების შედეგად. მან გააერთიანა უზარმაზარი ტერიტორია ებროდან ელზამდე, რომლის დედაქალაქად ააპენი გამოაცხადა; ამან მას საშუალება მისცა თავისი თავი დასავლეთ რომის იმპერიის აღმდგენელად ჩაეთვალა. ამ დროიდან დაწყებული “რომანულმა” ენამ მიიღო ეპითეტი “რუსტიკა” ანუ სოფლური და დაიწყო ათვისება იმ ენისა, რომელზეც მეტყველებდა გალიის მოსახლეობა.

როგორც ვიცით იტალია V ს-ში ბევრმა ბარბაროსმა დაარბია. მათზე გაიარა ატილამ, ხოლო 455 წელს გენზერიხმა დაარბია და გამარცვა რომი. 476 წელს ოდოაკრიმ ჩამოაგდო იმპერატორი რომულ-ავგუსტუსი, მაგრამ თვითონ ვერ შეძლო დაეარსებინა მტკიცე სახელმწიფო. პირველი დამპყრობელი იტალიის სამეფოსი იყო ოსტ-გუთელი თეოდორიკი (493-526), რომელმაც ხელში ჩაიგდო გალიის ნარბონის ორივე ნაწილი, მოსთხოვა ანასტასიუს გადაეცა მისთვის საიმპერატორო ძალაუფლების ნიშანი, მაგრამ მისი სუსტი მემკვიდრეების დროს, მთავარსარდლებმა - ველისარიმ და ნარსესმა ხელახლა შეძლეს დაებრუნებინათ

რომი და რავენა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ეგზარხოსისათვის 554 წელს. 568 წელს ლანგობარდების გამოჩენამ კვლავ შეცვალა მდგომარეობა, ისინი ჯერ დასახლდნენ მდ. პოს მიდამოებში, ხოლო შემდეგ შექმნეს 31 საჰერცოგო და VI ს-ის ბოლოს კი დაარსეს ნამდვილი სამეფო. მაგრამ ბიზანტიელები კვლავ ფლობდნენ რავენას და რომს, სადაც ჩამოყალიბდა საპაპო. ძირითადად ლანგობარდების ძალაუფლება ვრცელდებოდა ქვეყნის ჩრ. ნაწილში, რომლის დედაქალაქი პავია იყო.

ამ სამეფომ ბრწყინვალეობას მიაღწია როტარისა და ლუითფრანდეს მეფობის დროს, რომლებმაც გამოსცეს რიგი მნიშვნელოვანი კანონებისა.

თუმცა უთანხმოებამ საპაპოსთან და ფრანკების ჩარევამ 753 წელს პიპინის მიერ და 753 წელს კარლოს დიდის მიერ, ეს სახელმწიფო დაცემამდე მიიყვანა. კარლოს დიდი, რომელიც იბრძოდა დასავლეთ რომის იმპერიის აღსადგენად, მეფედ იქნა კურთხეული რომში 800 წელს.

გერმანიკული ტომების გადაადგილება შეეხო ცენტრალურ ალპებსაც. რომის ლეგიონებმა საბოლოოდ დატოვეს რეცია და ნორიკია დაახლოებით 488 წელს, ხოლო რამოდენიმე წლის შემდეგ კი თეოდორიკმა მოიწვია იქ ჰოლოდვიგის მიერ დამარცხებული ალემანები და დაავალა მათ დაეცვათ

თავიანთი სამეფო საზღვრები. ამის შედეგად ამ მხარის რომანიზებული მოსახლეობა თანდათან შეერია გერმანელებს. თუმცა როგორც ამას მოწმობს “წმ. გალას ცხოვრება”, კონსტანციის ტბასთან ჯერ კიდევ არსებობდა რომაული მოსახლეობა VII ს-ში. ამის სხვა მტკიცებულება მოხსენიებულია VIII ს-ის სიგელებში, სადაც ნახსენებია, რომ რომაელები დამკვიდრდნენ ზალცბურგში მრავალრიცხოვან ჯგუფებად. თანდათანობით ლათინურ ენაზე მოლაპარაკე ეს ნაწილი მოსახლეობისა იძულებული გახდა გადასახლებულიყო მთიან რაიონებში, სადაც მათ შექმნეს სრულიად განსხვავებული ენა - რეტო-რომანული.

სლავთა გადაადგილება

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე ვითარებანი განსაკუთრებული არეულობითა და სირთულით გამოირჩევა. დუნაის სახრეთისაკენ მდებარე პროვინციებმა: დალმაცამ და მაზოამ ძალიან ადრე განიცადეს რომანიზაცია იგივე ბედი ეწია დაკიას, რომელიც დაასახლეს რომის იმპერიიდან გადმოსახლებული ხალხებით. III ს-ის ბოლოს დაახლოებით 270 წელს გუთების არაერთი თავდასხმის შედეგად რომაელები იძულებული გახდნენ გაეყვანათ თავიანთი ლეგიონები დუნაიდან სამხრეთისაკენ.

შემდეგი მიმოქცევა სლავებისა გამოწვეული იყო V ს-ში გადმოსახლებულთა მოძალებული მოწოლით, რამაც სრულიად შეცვალა ამ მოსახლეობის არსებობის პირობები. VI ს-ში სლავები გაემართნენ ბიზანტიის იმპერიისაკენ და დაიწყეს ილირიისა და დალმაციის აოხრება. მაზოაში დაიპყრეს ფრაკიიდან ველისარის მიერ განდევნილი ბულგარები 559 წელს.

ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ VI ს-ში მაზოასა და დაკიაში ჩასახლებული იტალიკური ხალხები მოკვეთილნი დარჩნენ რომის სხვა ნაწილებისაგან. დასაწყისში მათი ურთიერთობა სლავებთან მტრული იყო, მაგრამ VIII ს-ში ეს ურთიერთობა მეგობრული გახდა, განსაკუთრებით ბულგარებთან, რომლებმაც 679 წელს დუნაიდან სამხრეთისაკენ ძლიერი იმპერია შექმნეს. აღმოსავლეთელი რომანები, რომლებიც მიწათმოქმედნი და მესაქონლეები იყვნენ, თანდათანობით სწავლობდნენ სლავთა ხელობებს და ადათ-წესებს.

IX ს-ში კირილესა და მეთოდისა წყალობით მათთან მართლმადიდებლური ქრისტიანობა გავრცელდა. მათ უნდა უმადლოდნენ ისინი ღვთისმსახურებას სლავურ ენაზე და სლავური ანბანის – გლაგოლიცას შექმნას, რომელიც შეიცავდა 22 ასოს (კირილიცას ანბანი კი შედგებოდა 43 ასოსაგან).

ლათურ ენაზე მოსაუბრე ეს მოსახლეობა სავარაუდოდ კვლავ გადასახლდნენ დაკიაში, სადაც ისინი შეერივნენ IX ს-ის ბოლოს კარპატებიდან მოსულ მადიარებს (უნგრელებს), თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მიმოქცევა ჩრდილოეთისაკენ ნელი ტემპით მიმდინარეობდა და არ იყო სრულყოფილი.

976 წელს ბიზანტიელი მემატიანე მოიხსენიებს ვინმე ვალახებს, რომლებიც სამხრეთში მესაქონლეობას მისდევდნენ. ამ ეპოქაში მოხდა რუმინელების ორ დიდ ჯგუფად გაყოფა: ჩრდილოეთში მცხოვრები რუმინელები და სამხრეთში - მაკედონიელი რუმინელები(არომიენელები).

მიუხედავად სლავების შეჭრისა დაღმაციაში, დიდი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობისა მაინც აგრძელებდა ლათინურ ენაზე მეტყველებას, რაც გაგრძელდა შუა საუკუნეებამდე.

XV ს-ს ბოლოს ერთი ქრონიკის ავტორს რაგუზის აღწერისას მოჰყავს ოთხი სიტყვა დაღმატური ენიდან: pen (panis) – პური, teta (pater) – მამა, chesa (domus) – სახლი და fachir (facere) – კეთება. ამ რომანულ ენას, რომელიც მიეკუთვნება იტალო-რუმინულის სისტემას, განვითარების თავისი საკუთარი გზა ჰქონდა. მისი კვალი გვხვდება ვენეციურ და სერბულ-ხორვატიულ დოკუმენტებში XVIII ს-ის დასაწყისში. თანდათან იგი გაქრა, უკანასკნელი

თავშესაფარი ამ ენისა იყო კუნძული ველია, სადაც 1900 წელს მისი არსებობა შეწყდა.

რაც შეეხება ალბანურ ენას, მთელი ადრიატიკის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოსახლეობა სავარაუდოდ ილირიული წარმოშობისაა. ყოველ შემთხვევაში ეს ინდოევროპული ენა გასხვავდება ყველა მის გარშემო არსებული ენებისაგან, რადგანაც იგი მოიცავს უამრავ ლათინიზმებს.

რომანული ენების ჩამოყალიბების ზოგადკანონზომიერებათა დადგენა; ამ საკითხის ირგვლივ არსებული მნიშვნელოვანი თეორიული მოსაზრებების მიმოხილვა.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ძველი რომის იმპერიის ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოები. ყველა ამ ისტორიულმა ფაქტმა შექმნა ახალი პირობები ლათინური ენის შინაგანი განვითარებისათვის. რომის ძველ პროვინციებს შორის კონტაქტები დაიმსხვრა. რომაული კულტურა განიცდიდა დეგრადაციას; სალიტერატურო ლათინური აღარ განიცდიდა ნორმატიულ ზეგავლენას კლასიკური ლათინურისა. ყველა პროვინციაში, სადაც რომანიზაცია არ იყო

ძლიერი, მაგალითად დიდ ბრიტანეთში და დაკიის მთიან მხარეში, ბარბაროს ტომებს არ შეხვედრიათ ისეთი კულტურა, რომელიც გაუწევდა წინააღმდეგობას მათ კულტურას. ამიტომაც ამ პროვინციებში რომანული მოსახლეობა არ ჩამოყალიბებულა. მაგრამ იმ პროვინციებში, სადაც რომანიზაცია ინტენსიურად განვითარდა და სადაც ლათინური მოსახლეობის დედაენა გახდა, ბარბაროსი ტომები წააწყდნენ მაღალ კულტურულ დონეს. ბარბაროსები ამ კულტურის ნგრევისას იმავდროულად ითვისებდნენ მას და ასევე ხალხურ ლათინურსაც. გერმანულ დიალექტებთან შეჯვარებით ლათინური დარჩა გაბატონებულ ენად და იგი განაგრძობდა განვითარებას საკუთარი შიდა კანონებით.

ამიტომ განსხვავება ამ პროვინციების ენებს შორის მატულობდა საუკუნეებისდა მიხედვით. VIII ს-თვის ეს განსხვავება გახდა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ შესაძლებელია ეს ენები ცალკეულ რომანულ ენებად მივიჩნიოთ.

ამ საკითხზე არსებობს მრავალი სხვადასხვა ლინგვისტური თეორია, თითოეული მათგანი თავისებურად განსაზღვრავს რომანული ენების გასხვავებულობის მიზეზებს.

სალაპარაკო ლათინური ენა სალიტერატურო ლათინურის ნორმატიულ ზეგავლენას განიცდიდა, წარმოადგენდა ერთგვაროვან ენას, რომელიც დამტკიცებულია რომის ყოფილი პროვინციების სხვადასხვა ტერიტორიაზე ნაპოვნი ხალხურ ენაზე შესრულებული წარწერებით.

ერთ-ერთი თეორია, რომელიც ხსნის ამ ენების განსხვავებულობას არის “სუბსტრატის თეორია”. ეს თეორია წამოაყენა XIX ს-ის გერმანელმა ლინგვისტმა შუჰარტმა, რომელიც მოგვიანებით განავითარა იტალიელმა ლინგვისტმა ასკოლიმ. ამ თეორიის მიხედვით, მიზეზი რომანული ენების განსხვავებულობისა მდგომარეობს “სუბსტრატის ზეგავლენაში”, ე.ი. ამ მეცნიერთა აზრით ადგილობრივი მოსახლეობის ენას დამატა ზედნაფენად ლათინური ენა. მაგ: ესპანური ენის ფორმაციაზე ზეგავლენა იქონია იბერიულმა დიალექტებმა, ფრანგულზე კი კელტურმა დიალექტებმა და ა.შ.

მაგრამ გრაციადო იზაია ასკოლი მხარს უჭერდა ამ თეორიას ადგილობრივი ენების ფონეტიკური სისტემის ანალიზის გათვალისწინებით, ვინაიდან მათი გრამატიკული სისტემა თითქმის უცნობია. ამიტომაც ეს

თეორია არ შეიძლება გამართლებული და საკმარისი იყოს.

შემდგომი მნიშვნელოვანი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ წამოაყენა ისევ გერმანელმა ლინგვისტმა გრიობერმა. მან თავის თეორიას “ქრონოლოგიური” უწოდა, ვინაიდან იგი ხსნიდა, რომ მიზეზი ამ ენების სხაობისა არის ის, რომ რომის იმპერიის არსებობის დროს ლათინურმა თავისი განვითარების გზაზე დიდი ცვლილებები განიცადა.

ამიტომაც დაპყრობილმა და რომის პროვინციებად ქცეულმა სახელმწიფოებმა აითვისეს იმ პერიოდის ლათინური განვითარების რომელ ეტაპზეც მაშინ ის იმყოფებოდა. მაგ: სარდინია იქნა დაპყრობილი III ს-ში ძვ.წ.აღ-ით და ამ კუნძულის ხალხმა აითვისა საკმაოდ არქაული ლათინური. იბერიის ნახევარკუნძული დაიპყრეს II ს-ში ძვ.წ.აღ-ით, როცა ლათინური თავისი განვითარების სხვა სტადიაში იყო. გალია იქნა დაპყრობილი I ს-ში ძვ.წ.აღ-ით, როცა ლათინური თავისი განვითარების ზენიტში იყო და ა.შ. ამგვარად, სხვადასხვა სტადიაში მყოფი ლათინურის ათვისებამ გამოიწვია მათი განსხვავებულობაო, ასე ხსნიდა ამ საკითხს გრებერი.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არცერთი ეს თეორია არ არის სრულყოფილი ამ პრობლემის ასახსნელად, ვინაიდან

მხოლოდ თითოეული რომანული ენის ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და სხვა მრავალი პროცესების თუ მოვლენების შესწავლით შეიძლება აიხსნას ამ ენათა შორის არსებული გასხვავებები.

თემა 6: ლათინური ენა, ხალხური და კლასიკური ლათინური; ხალხური ლათინურის წყაროები; ლათინური ენის პირველი გრამატიკები; ლათინური ენის ლექსიკა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანიზაციას თან სდევდა რომის იმპერიის ტერიტორიაზე ლათინური ენისა და ცივილიზაციის გავრცელება. საბოლოო შედეგს წარმოადგენს ამ ტერიტორიებზე თანამედროვე რომანული ენების წარმოშობა. ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივი და რთულია. ის, რომ რომანული ენები ლათინურიდან წარმოიქმნა ეჭვს არ იწვევს. მაგრამ თვით ეს პროცესი მრავალი ფაქტორის ურთიერთმოქმედებით მიმდინარეობდა, დღესაც მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მეცნიერთა საკვლევ მასალას წარმოადგენს. თვით ლათინურის ცნება აღმოჩნდა უფრო რთული, ვიდრე ეს ეგონათ VI-VII სს-ის ფილოლოგებს. ეს უკანასკნელნი იკვლევდნენ მხოლოდ კლასიკურ ლათინურზე შექმნილ ნაწარმოებებს და ყველანაირი გადახრა მიაჩნდათ კლასიკური ენის შებღალავად, ნორმიდან გადახრად. ასეთი დარღვევები აღინიშნებოდა ძირითადად მოგვიანებითი ეპოქების მწერლებთან და გაბატონებული იყო აზრი, რომ კლასიკური ნორმებიდან გადახრა და ენის

შებლავა ძირითადად ბარბაროსი ხალხების გავლენამ გამოიწვია და სწორედ ამ მოვლენებით ხსნიდნენ რომანული ენების წარმოქმნის მრავალმხრივ და ხანგრძლივ პროცესს. მიაჩნდათ, რომ ლათინურ ენას ბარბაროსთა შემოსევებამდე არ გააჩნდა არც დიალექტი, არც კილო, არც კილოკავი, არამედ ეს იყო ერთიანი შეკრული და მკაცრად ნორმირებული ენა, მაგრამ ლათინური ენის უფრო გულდასმით შესწავლამ და თვით რომაელი ავტორების გამონათქვამებმა ცხადყო, რომ კლასიკური ლათინურის გვერდით არსებობდა ცოცხალი - სალაპარაკო ენა, რომელზედაც მეტყველებდა მოსახლეობის ფართო ფენები. რომაელებიც განასხავებდნენ ერთმანეთისაგან *servo-urbanis* ქალაქის ანუ სალიტერატურო ენას და *servo-vulgaris, quotidianus* ანუ ფართო მოსახლეობის სალაპარაკო ენას, მოსახლეობისა, რომელიც არ ფლობდა სალიტერატურო ენის კულტურას. გარდა ამისა, თავისებური იყო ლათინური ენა იტალიის საზღვრებს გარეთაც, პროვინციაში, სადაც მოსახლეობა მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით ლაპარაკობდა ლათინურ ენაზე.

ცოცხალ სალაპარაკო ლათინურს მეცნიერები ხალხურ ლათინურს, ხშირად ვულგარულ ლათინურსაც უწოდებენ. როცა შესწავლილ იქნა ხალხური ლათინური და შეადარეს

რომანულ ენებთან, ცხადი გახდა, რომ რომანული ენებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ასევე ახასიათებდა ხალხურ ლათინურსაც. ამგვარად, დამტკიცებულ იქნა, რომ რომანული ენები წარმოიქმნა არა კლასიკური ლათინურიდან, არამედ ცოცხალი სალაპარაკო ლათინურიდან. კლასიკური და ხალხური ლათინური ეს არ იყო ორი სხვადასხვა ენა, მათ შორის ის ურთიერთობა არსებობდა, რაც ყველა სალიტერატურო ენასა და მოსახლეობის ფართო მასების სალაპარაკო ენას შორის არსებობს. სალაპარაკო ენა – ეს ის ცოცხალი წყაროა, რომლითაც არსებობს სალიტერატურო ენა და რომელსაც იგი მუდამ ეფუძნება და მასზე ზეგავლენას ახდენს ინტენსივობის განსხვავებული ხარისხით. ზოგიერთ ისტორიულ ეპოქაში სალიტერატურო ენა ძლიერ ზეგავლენას ახდენს სალაპარაკო ენაზე, ზოგჯერ კი პირიქით.

ხალხური ლათინურის შესწავლის ძირითად წყაროს წარწერები წარმოადგენს; მათგან უძველესნი განეკუთვნება იმ პერიოდს, როცა განსხვავება ხალხურ ლათინურსა და კლასიკურ ლათინურს შორის ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ საგრძნობი. რა თქმა უნდა, ეს წარწერები მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკურობის გამო არ გვამღევეს

სრულ წარმოდგენას ხალხური ენის შესახებ მთლიანობაში, ვინაიდან ისინი ზოგჯერ მხოლოდ საკუთარი სახელებია, ზოგჯერ სამოქალაქო აქტები, ან საკანცელარიო სტილით შედგენილი დოკუმენტები და სხვა. ხალხური ლათინურის შესახებ ცნობებს რომაელი გრამატიკოსებიც გვაწვდიან, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ლათინური ენის ცალკეულ ფაქტებზე, მათი გაკრიტიკების მიზნით. მაგრამ ეს ცნობები ფრაგმენტულადაა მოცემული და სისტემურობას მოკლებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გრამატიკოსთა შენიშვნები ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა Appendix Probi, რომელშიც მოცემულია, მართალია სისტემის გარეშე, მაგრამ მაინც 227 სიტყვის სრული ფონეტიკური და გრამატიკული ანალიზი.

ლათინური ენის შესწავლა დაიწყო რომში ჩვ. წ. აღ-ით II ს-ის ბოლოდან რომაული გრამატიკებიდან შემორჩენილია მარკუს ტერენციუს ვარონის “De lingua latina”. VI ს-ში გამოვიდა პრისციანეს დიდი ტრაქტატი, ხოლო ტერენციუს მავრუს ტრაქტატში მოცემულია ლათინური ბგერების წარმოთქმის აღწერა (de literis, de silabus, de metris). მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს ვალერიუს ფლაკუსი იმ დროის ნაშრომი “De significatu verborum”

სიტყვის მნიშვნელობის შესახებ და ასევე დონატეს გრამატიკა (IV ს.), რომელიც რომის პროვინციებში დიდხანს წარმოადგენდა მთავარ სასწავლო სახელმძღვანელოს.

ხალხური ლათინურის ლექსიკური მასალის შესახებ მონაცემებს ძირითადად გლოსები გვაძლევს. გლოსებში ახსნილია ხმარებიდან გამოსული და მის ნაცვლად ახლად გაჩენილი ცალკეული სიტყვის ან გამოთქმის მნიშვნელობა. გლოსები ორგვარი იყო: მარგინალური, რომლებიც ადრეული ხანის რომაელი მწერლების ნაწარმოების ველზე იწერებოდა და ინტერლინეალური, რომლებიც სტრიქონების ქვეშ იწერებოდა. ისინი იძლევიან მდიდარ მასალას ლიტერატურული და სალაპარაკო ენის ფორმების შეპირისპირებისას. არანაკლებ საინტერესოა რომანისტებისათვის რეიჰენაუს გლოსები, რომლებიც ნაპოვნია შვეიცარიის ქალაქ რეიჰენაუში VIII-IX სს-ში. ეს გლოსები შედგება ორი ნაწილისაგან; პირველ ნაწილში მოცემულია 821 გლოსა, რომელიც შეიცავს სალაპარაკო ენის სიტყვებს. მეორე ნაწილი შედგება 822-1163 გლოსისაგან და წარმოადგენს ანბანურ გლოსერს. მასში მოყვანილია კლასიკური და ხალხური ენის სიტყვები, სადაც ავტორი უპირატესობას სალაპარაკო ვარიანტს ანიჭებს. მაგალითად : pulchra – bella ლამაზი (უპირატესობა ენიჭება bella-ს),

optimum - valde bonum – ძალიან კარგი (აქ სინთეზური სიტყვის ჩანაცვლება ხდება ანალიტიკური ვარიანტით).

საინტერესოა კასელის გლოსები, რომლებიც ნაპოვნია გერმანიაში ფულდის მონასტერში და ინახება ქალაქ კასელის ბიბლიოთეკაში (VIII-IX სს.). მასში მოცემულია არამართო ცალკეული სიტყვები, როგორცაა მაგალითად: homo-man ადამიანი, caput- haupit თავი, oculos- augun თვალები aures-aorun ყურები, dentes-zendi კბილები, არამედ ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოსაყენებელი მთლიანი გამოთქმები: ego intellego- ih firmimu ვხვდები, volo- uuille მინდა, necesse fuit- durft uuas აუცილებელი იყო და სხვა.

სქოლიოები – წარმოადგენდა კრიტიკულ, ფილოსოფიურ, ისტორიულ და ასევე გრამატიკული და სტილისტური ხასიათის კომენტარებს. მათი შედგენისას ავტორები ცდილობდნენ მიახლოვებოდნენ უფრო სალაპარაკო მეტყველების სტილს და ამიტომაც იწვევს ინტერესს სქოლიოები, როგორც ისტორიული ასევე ლინგვისტური თვალსაზრისითაც. ყველაზე ცნობილია დონატეს სქოლიოები ტერენციუსის და ვირგილიუსის კომენტარებზე (IV ს).

ლათინური ენის ლექსიკა (ზოგადი მიმოხილვა)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლათინური ენის სალაპარაკო ენის ლექსიკა განსხვავდებოდა ლიტერატურული ენის ლექსიკისაგან. მრავალი სიტყვა, რომელიც სალიტერატურო ენაში იხმარებოდა, ზეპირ მეტყველებაში ან საერთოდ არ გამოიყენებოდა ან იცვლებოდა სხვა სიტყვით.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული მნიშვნელობას იცვლიდა, ძველ მნიშვნელობას კარგავდა და ახალს იძენდა. იქმნებოდა ახალი სიტყვებიც, სიტყვათწარმოების საშუალებით.

როგორც ყველა ენაში, ძირითადი ლექსიკური ფონდის გარდა არსებობდა სხვა ენათაგან შემოსული ლექსიკური ერთეულები. ასეთი იყო კელტური ენებიდან, იტალიური ენებიდან, გერმანულიდან, ბერძნულიდან და სხვა ენებიდან შემოსული ნასესხები ლექსიკური ერთეულები.

ხშირი იყო დუბლეტები, ე.ი. ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად სალიტერატურო და ხალხურ ენაში გამოიყენებოდა სხვადასხვა ლექსიკური ერთეული. მაგალითად, სალიტერატურო ენაში არ გვხვდება *cabalus*, მისი ხალხური, სალაპარაკო დუბლეტია *equus* – ცხენი.

სალიტერატურო ფორმაა: *reparire* – ჩარევა; **ხალხური ფორმაა:** *invenire*.

სალიტერატურო ფორმაა: repente - სწრაფად; ხალხური
ფორმაა: subito.

სალიტერატურო ფორმაა: interficere - მოკვლა; ხალხური
ფორმაა: occidere.

რომანულ ენებში მრავალი სიტყვა ზუსტად ხალხური
ლათინურიდან გადმოდიოდა. თუმცა მოგვიანებით ეპოქებში
ბევრი კლასიკური ფორმა აღსდგა.

მაგალითად: cabalus ფრანგულში გვამღევს cheval-ს;

იტალიურში - cavallo; ესპანურში - caballo;

მაგრამ გვაქვს ფრაგულში equitation, equestie, რომელიც
ხალხური ენიდანაა აღებული (equus).

ზოგიერთი სიტყვა მხოლოდ ხალხურ ლათინურს
ეკუთვნოდა, ხოლო ზოგიერთი ორივეგან იხმარებოდა,
როგორც კლასიკურში, ისე ხალხურშიც.

მაგ.: capanna – ქოხი; იტალიურში - capanna; ფრანგულში -
cabane; ესპანურში - cabazo.

Tructa – კალმახი; იტალიურში - trota; ფრანგულში - truite;
ესპანურში - truche.

ნეოლოგიზმებად, რომლებმაც შეცვალა ძველი სიტყვები,
შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: Caldaria – დიდი ქვაბი;
ფრანგულში - chaudron; იტალიურში - caldaia; ესპანურში:

caldera. Mansio – სახლი: ფრანგულში - maison ; ესპანურში - meson.

ზოგიერთმა ლექსიკურმა ერთეულმა იცვალა მნიშვნელობა და რომანულ ენებში გადმოვიდა სწორედ მათი შეცვლილი მნიშვნელობა.

მაგ.: focus კერას ნიშნავდა და იგი რომანულ ენებში გადმოვიდა ცეცხლის მნიშვნელობით. Causa საქმეს ნიშნავდა; მან წარმოიქმნა cosa და chose. Sapere ნიშნავდა სუნის ქონას, აქედან წარმოიქმნა savoir (ფრანგ.), saber (ესპ.) ცოდნა. Buca ლოყა, შემდეგ შეიცვალა მნიშვნელობა და ნიშნავს პირს – bouche(ფრანგ.), bocca(ესპ.), bocca (იტალ.). მხოლოდ რუმინულმა შემოინახა ძველი მნიშვნელობა.

ნასესხებ სიტყვათაგან ზოგი სალიტერატურო ენაში შედიოდა, ზოგი კი სალაპარაკოში. ძალიან ბევრი სიტყვა ისესხა ლათინურმა ბერძნული ენისაგან:

Colapus- შემდეგ გახდა culpus აქედან: ფრანგ.: coup, იტალ.: colpa – დარტყმა.

Sparta -(იტალ.) – ხმალი, ფრანგ.: épée. ესპ.: espada.

ბერძნული corda – თოკი, ფრანგ.: corde. იტალ.: corda. ესპ.: cuerdo.

Carta- იტალ.: corta. ფრანგ.: charte. ესპ.: carta.

ლათინურში ბევრი სიტყვა შემოვიდა ბერძნულიდან ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ. მაგ.: propheta – მოციქული. Hebdomada – კვირა. Baptidiare- მონათვლა.

ენათმეცნიერები დაახლოებით 120 სიტყვას ასახელებენ, რომლებიც იტალიური ენებიდან შევიდა ლათინურში და აქედან გადავიდა რომანულ ენებში:

asinus – ane - ვირი

bosse – boeuf - ხარი

butalus – buffle - კამეჩი

colubra – coubeure - გველგესლა

lupus – loup - მგელი

ursus – ours - დათვი

fanum – foin - თივა

casa – case – ქოხი

გერმანიზმები შედიოდა ლათინურში, როგორც რომის იმპერიის პერიოდში, ასევე იმპერიის დაცემის შემდეგაც. ამ პერიოდში რომანული ენები ითვისებდნენ იმ გერმანიკული ხალხების ენებს, რომლებიც მის მეზობლად ცხოვრობდნენ ან იმ გერმანული ტომისას, რომელმაც ისინი დაიპყრო, მაგალითად ისეთი გერმანული სიტყვები როგორცაა: gris, baronis, sporo (sporo, sporonis) დეზი, guardera –მწყემსვა.

ფრანგულში ბევრია ფრანგული ელემენტი, ესპანურში - ვესტგუთებისა და ვანდალებისა.

ლათინური ლექსიკა და შესაბამისად რომანული ლექსიკა ძლიერ მდიდარია ადგილობრივ მოსახლეობათა ენებიდან აღებული სიტყვებით, მაგ.: კელტური სიტყვები, რომლებიც სხვა რომანულ ენებში გადავიდა.

Becus – ნისკარტი, beco – იტალიურში, bec – ფრანგულში.

სიტყვათწარმოება

სიტყვათწარმოების სისტემაში ლათინურ ენაში დიდი ცვლილებები მოხდა. ზოგიერთი სიტყვათმწარმოებელი სუფიქსები საერთოდ გამოვიდა ხმარებიდან, სხვები უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ქმნიდა ახალ სიტყვებს. არსებით სახელთა, ზმნათა და ზედსართავ სახელთა მწარმოებელი სუფიქსები და პრეფიქსები ძირითადად იგივე დარჩა, რაც კლასიკურ ლათინურში.

ხალხური ლათინურის სიტყვათწარმოებისათვის ახალი მოვლენა იყო ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმების გამოყენება ნაზმნარ აბსტრაქტულ არსებით სახელებად, მაგ.: collecta – ის, რაც შეკრებილია, კრება; audita – ის, რაც მოსმენილია; perdieta – დაკარგული; debita – ვალი.

ზედსართავ სახელთა სისტემაში მოგვიანებით ჩნდება სუფიქსი – *iscus*. აწმყო დროის მიმდებარე *ans-*, *ens* – სუფიქსებით წარმოებული სიტყვები ნაწილობრივ იქცა ზედსართავებად, ნაწილობრივ არსებით სახელებად, ისევე როგორც წარსული დროის მიმდებარე, განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენა იყო ზმნიზებათა ახლებური წარმოება ზედსართავ სახელზე *mens-mente* სუფიქსის დართვით, რაც სახეობას, რაგვარობას ნიშნავდა. მაგ.: *dubiamente*, *obsinatamente* – ჯიუტად, *bonamente* – კარგად, *longamente* – გრძლად.

ზმნიზებების ძველი სუფიქსები *e* და *ter* თანდათან ქრება და ისინი შემონახულია მხოლოდ ზოგიერთ ზმნიზებაში: *bene*, *male*, *longe*. ლათინური ენა იშვიათად იყენებდა სიტყვათშერწყმას ახალ სიტყვათა საწარმოებლად, მაგრამ ხალხურ ლათინურში ხშირია წინდებულებისა და ზმნიზებების წარმოქმნა შერწყმის საშუალებით, მაგ.: *abante*, *deinter*, *deante*, *delonge*, *alonge* და სხვა, საიდანაც წარმოიქმნა მრავალი სხვა ზმნიზება და წინდებული რომანულ ენებში, მაგ.: იტალიური *avanti* და ფრანგული *avant*, რომელიც წარმოიქმნა *avante*–დან, იტალიური *domani*, ფრანგული *demain*—*domam*–დან და ა.შ.

ლათინური ენის გრამატიკული სისტემის ზოგადი დახასიათება.

ლათინური ენის გრამატიკული წყობა ე.წ. ფლექსიურ-სინთეზური წყობაა. მისთვის დამახასიათებელია ბრუნვისა და უღლების ძლიერ განვითარებული სისტემა და თავისუფალი სიტყვა თრიგი წინადადებაში, რითაც იგი სრულიად განსხვავდება რომანული ენებისაგან. წინადადება იწყება ქვემდებარით, მას მოსდევს მეორეხარისხოვანი წევრები და შემასმენელი წინადადების ბოლოში შეიძლება აღმოჩნდეს; მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს. რომანული ენებისთვის დამახასიათებელი ფიქსირებული სიტყვათრიგი უკვე ხალხურ ლათინურში იყო ჩასახული, რაც შემდეგ დამკვიდრდა რომანულ ენებში და გამოიწვია სინთეზური წყობის სრული გაქრობა ცალკეულ რომანულ ენათა ისტორიაში.

თანდათან იმატა დამოკიდებულ წინადადებათა როლმა და უკვე III ს-ში კონსტრუქცია *accusativus cum infinitivo* თანდათან შეცვალა დამოკიდებულმა წინადადებებმა კავშირებით *quod, quia, quoniam* და *qui* დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება როგორც თხრობითი, ასევე კავშირებითი კილო. გამარტივდა კითხვითი წინადადების ფორმა, სპეციალური კითხვის გამომხატველი სიტყვები

გაქრა და კითხვა გამოიხატა ინვერსიით ან უბრალოდ ინტონაციით. გაჩნდა ახალი კითხვითი ნაცვალსახელები *quis, quis, qui* და *quariturum*

თუმცა შემოინახა *qualis, ubi, quid* და *quomodo*, ირიბი კითხვა დამოკიდებული წინადადებით გამოიხატა, რომელშიც კავშირებითი კილო თანდათან შეიცვალა თხრობითი და სრულიად ახალი მოვლენაა დამოკიდებული წინადადების ნაცვლად ინფინიტივის ხმარება. რთული წინადადების სტრუქტურის გამარტივებასთან ერთად მრავალი მაქვემდებარებელი კავშირი და სრული ახალი მოვლენაა დაქვემდებარების გამოხატვა წინადადებათა ერთიმეორის გვერდით მოთავსებით.

დროის გარემოებითი დამოკიდებულების წინადადებები უკვე კავშირით *quando* შემოიყვანება და ქრება ძველი *cum temporale* ანუ *historicum*, ქრება აგრეთვე კავშირები *donec, antequam* (ადრე,წინ), *primusquam* (უპირველესად) და *postquam*. მიზნის, მიზეზის გარემოებითი დაქვემდებარებადებული წინადადების კლასიკური კავშირი *ut* იცვლება კავშირებით *quod* და *quia*. მარტივდება პირობითი წინადადების სტრუქტურა და ჩნდება განსხვავება რეალურ და შესაძლებელ პირობას შორის. შესაძლებელი რეალობა აღინიშნება კავშირებითი კილოს აწმყო დროით,

ირეალური მოდალობა გამოიხატება კავშირებითი კილოს plusquamperfectum-ით შემდეგ ამავე ფუნქციით იხმარება ინფინიტივი, რომელსაც მოსდევს ზმნა habere (ქონება)-ს იმპერფექტუმი და პერფექტი, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა რომანული ენების პირობითი კილო, გაქრა მრავალი მაერთებელი კავშირი და წარმოიქმნა ახალი მაპირისპირებელი კავშირი magis, ფრანგული mais, ესპანური mas. ლათინური მაერთი წინადადების სტრუქტურაში მატულობს ანალიზური ტენდენციების გაძლიერება. ჩნდება განსაზღვრების ახალი ტიპი: არსებითი სახელი + de წინდებული; de წინდებული + არსებითი სახელი ablativus-ში, ეს ყველაფერი არსებითის ფუნქციით; მაგ.: templum marmorum-ის ნაცვლად ჩნდება templum de marmore. მსაზღვრელი ხშირად მოსდევს საზღვრულს და ბრუნვის ფორმები იცვლება. სინთეზური წყობის რღვევას თან სდევდა არსებულ მრავალრიცხოვან ფორმათა ურთიერთდამთხვევა და შემცირება. უპირველეს ყოვლისა მცირდება უღლებათა რიცხვი და ერთმანეთს ემთხვევა ბრუნვათა ფორმები. ერთმანეთს დაემთხვა II და IV კანკლედობა, IV კანკლედობა თანდათან ქრება და მისი არსებითი სახელები გადადის II კანკლედობაში. V კანკლედობის სიტყვები დაემთხვა I კანკლედობას. ამგვარად

დარჩა sami კანკლედობა, თუმცა ამ კანკლედობათა საზღვრებშიც ცვლილებები ხდებოდა; მაგ.: I კანკლედობის nominativus pluralis- ში ჩნდება დაბოლოება -as ძველი დაბოლოება ae-ს გვერდით მრავლობითის დაბოლოება -ues შემორჩა ფრანგულ პროვანსულ ენებს, ხოლო რუმინულსა და იტალიურს მრავლობითში აქვთ.

II კანკლედობა nominativus pluralis- ში ჩნდება ფორმა -os ეს ფორმა შემორჩა ესპანურს: año – años.

III კანკლედობა nominativus pluralis- ში ჩნდება -i ფორმა, რაც აისახა იტალიურში: cano- cani.

არათანაბარფუძიანი უღლება კვლავ არსებობდა ხალხურ ლათინურში, მაგრამ თანდათან ჩნდება ტენდენცია თანაბარფუძიანი უღლების გავრცელებისა. მრავალი არათანაბარფუძიანი სახელი მხოლოებითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში იღებს დაბოლოებას is, es და ამრიგად ხდება თანაბარფუძიანი, მაგ.: სახელობით ბრუნვაში გვხვდება bos და არა bovis, las და არა lactis.

როგორც აღვნიშნეთ, უღლებათა ტიპებისა და ბრუნვების შემცირებას თან ახლდა მათ მიერ გადმოცემული მიმართებების წინდებულებით გამოხატვა. მაგ.: genetivus- I ანუ ნათესაობითი იცვლება არსებითი + de წინდებული მიცემითი ბრუნვის არსებითი + ad წინდებული.

მეორე არსებითები წინდებულების შემდეგ ძირითადად accusativus-ში იდგა, მაგრამ შემდეგ დაკარგა დაბოლოება um და იგი წარმოითქმებოდა, როგორც აბლატიუსი.

რომანული პერიოდის დასასრულისთვის ლათინურს შემორჩენილი ჰქონდა მხოლოდ 2 ბრუნვა: accusativus-ი და nominativus-ი; მხოლოდ ბალკანეთის ლათინურში არსებობდა dativus-ი. ამრიგად, რომის იმპერიის ბოლო პერიოდისათვის იტალიასა და დაკიაში ბრუნვის სისტემა მთლიანად გაქრა. იტალიაში შემორჩა მხოლოდ accusativus-ი და nominativus-ი, დაკიაში კი dativus-ი.

ესპანეთში გაქრა ორივე რიცხვის სახელობითი, ხოლო გალიაში _ accusativus-ი და nominativus-იც. გაქრა საშუალო სქესი და არსებითი სახელები მამრობითი სქესის კატეგორიაში გადავიდა, ხოლო საშუალო სქესის ის სახელები, რომელთაც კრებითი მნიშვნელობა ჰქონდათ, აღიქმებოდა როგორც მამრობითი სქესის არსებითი სახელები. ამის შედეგად IV უღლება გაქრა და გადავიდა II-ში.

იტალიურში შემორჩა დაბოლოება a (um-a) ზოგიერთი მამრობითი სქესის არსებითი სახელისათვის: il muro-le mura, il dito- le dita.

გალიაში or-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები მდედრობითი სქესის გახდა. ზედსართავ სახელებში a მდ. სქესის მაჩვენებელი დარჩა. მაგ.: bonus- bona, liber- libra, ანდა ერთი დაბოლოება s ორივე სქესისათვის. მაგ.: fortis(m.f.), grandis(m.f.), sapiens(m.f.).

ზედსართავებშიც იგივე ტენდენცია მიმდინარეოდა რაც არსებით სახელებში. რაც შეეხება შედარებით ხარისხებს, ფლექსიური ანუ სინთეზური ფორმების გვერდით გაჩნდა ანალიზური ფორმებიც. მაგ.: შედარებით ხარისხში magis დადებითში, ხოლო აღმატებითში valde ან minis, მაგრამ გადარჩა და რომანულ ენებში გადავიდა სინთეზური ფორმებიც, როგორცაა melior, major, minor, grandior და junior.

რიცხვითმა სახელმა unus შეიცვალა მნიშვნელობა და მიიღო განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა, საიდანაც შემდეგ წარმოიქმნა განუსაზღვრელი არტიკლი. რა თქმა უნდა რიცხვით სახელთა სისტემაში მოხდა ფორმათა შეცვლა ან ფორმათა დამთხვევა. მაგ.: კლასიკური ფორმა duo შეიცვალა dui-თ; tres შეიცვალა trei-თი; quatuor შეცვალა ფორმამ quator; quinque შეცვალა ფორმამ cinque; viginti შეცვალა ფორმამ vinti-მ; triginta-trinta- და ა.შ.

ნაცვალსახელებში შემცირდა ბრუნვის ფორმები; მიცემითი ბრუნვა შეინარჩუნა მხოლოდ პირის, ჩვენებითა და კითხვითა ნაცვალსახელებმა. ნაცვალსახელთა სისტემაში ზოგიერთი ნაცვალსახელი ხმარებიდან გამოვიდა და მისი ადგილი ახალმა ფორმებმა დაიკავა. ჩნდება უმახვილო და მახვილიანი ფორმები პირისა და კუთვნილებით ნაცვალსახელთა სისტემაში და ისინი იხმარება ზმნის წინ და ზმნის შემდეგ. პირის ნაცვალსახელი კლასიკური ego სულ უფრო და უფრო გვხვდება ფორმით eo. პირის ნაცვალსახელი tu და ego უფრო და უფრო გვხვდება, ჩნდება ide, რომელიც ცვლიდა ჩვენებით და მოგვიანებით პირის ნაცვალსახელის ille-ს ირიბ ფორმებს.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები იუღლებოდა, როგორც ჩვეულებრივი ზედსართავები, მაგ.: meus-mea, teus-tea, suus-sua, noster-nostra და ა.შ. ამ ფორმათა გვერდით არსებობდა პარალელური ფორმებიც: mus-ma, tus-ta, sus-sa, ეს ფორმები აისახა რომანულ ენებში. ჩვენებითი ნაცვალსახელები is, idem და hic თანდათან გამოვიდა ხმარებიდან. პირველიდან დარჩა ნაწარმოები ipsum, რომელსაც ემატებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელი id, ipsum, hic. მხოლოდ საშუალო სქესის ფორმით hoc შემორჩა, ხოლო ჩვენებითმა ნაცვალსახელმა ille-მ შეიძინა III პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა.

ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებდა ასევე ille+ecce, ecum ანდა at და atque(ეს ნაწილაკებია). აქედან წარმოიქმნა რომანული ენების რთული და მარტივი ჩვენებითი ნაცვალსახელების სისტემა: ille-ს ფუნქციას ასრულებდა აგრეთვე ნაცვალსახელი iste, რომელსაც ჩვენებითი ნაცვალსახელების საწარმოებლად იგივე ნაწილაკები დაერთვოდა. მაგ.: იტალიური ჩვენებითი ნაცვალსახელები-questi, quegli(quelli); ესპანური- aquelle, aques(aquel); ფრანგული- celui, celle, ceux, celles და ა.შ.

ახალი წარმოშობის ფორმა იყო met-ipse, რომელმაც ფრანგულში მოგვცა même, იტალიურში medesimo, ესპანურში mismo. როცა ჩვენებითმა ნაცვალსახელებმა ille და ipse-მ დაკარგეს ჩვენებითობის მნიშვნელობა, მათგან წარმოიქმნა რომანული ენების განსაზღვრული არტიკლი; ძლიერ შეიცვალა ზმნის უღლების სისტემა; იგი გამარტივდა, შემცირდა ფორმათა რაოდენობა; ძველი სინთეზური ფორმები შეცვალა ანალიზურმა აღწერილობითმა ფორმებმა; გაქრა supinum-I, გერუნდივის ყველა ფორმა, გარდა ablativus-ისა, აღარ იხმარებოდა participum futuri, infinitivus perfecti და futuri, ვნებითი გვარის ძველი ფორმები. გაქრა გადადებული ზმნების ცალკე კატეგორია და ეს ზმნები ისე იუღლებოდა, როგორც აქტიური უღლების ზმნები. ძველ ფორმათაგან

შემორჩენილ იქნა ორივე კილოს imperfectum-ი, perfectum-ი, plusquam perfectum-ი და უპირო ფორმათაგან participium, infinitivum და gerundivum-ი. Imperfectum-ს მხოლოდ 2 დაბოლოება დარჩა: I უღლებაში დაბოლოება ebam, შემდეგ ხ ამოვარდა და წარმოიქმნა დაბოლოება ea(m) და a(m), რაც შემდეგ გადავიდა ყველა რომანულ ენაში.

პერფექტუმი იყო ორგვარი: სუსტი, რომელშიც მახვილი დაბოლოებაზე მოდიოდა, და ძლიერი, სადაც მახვილი მხოლობითში ფუძეზე მოდიოდა და მრავლობითში დაბოლოებაზე. I პერფექტუმის დაბოლოებები იყო: i, si, ui. სუსტი ფორმები ჰქონდა I და IV უღლებას, ხოლო ძლიერი II და III უღლებას.

ძლიერი პერფექტუმის ზმნები ისეთი ტიპის, როგორიცაა bibi(bere-დაღევა), mansi, habui, ერთი ტიპიდან მეორეში გადავიდა. მაგალითად, I ტიპში ყველაზე მცირე რაოდენობის ზმნა იყო, ამიტომ ეს ტიპი გადავიდა si და ui დაბოლოების ტიპში. ამრიგად, იცვლებოდა ზმნათა დაბოლოებები პერფექტში და მატულობდა ახლად წარმოქმნილი ფორმათა რიცხვი. სწორედ ეს ახლადწარმოქმნილი ფორმები გადავიდა რომანულ ენებში. მაგ.: ავიღოთ ზმნა esse – ს ფორმები პერფექტუმში: **მხოლობითში:** fui, fuisti, fuit (foet), **მრავლობითში:** fuimus,

fuistis, fuerunt და არსებობდა მეორე ფორმაც ამ ზმნისა: foi, fosti, fut, fomis, fostis, forwnt.

მახვილმა სიტყვის ფუძიდან დაბოლოებაზე გადაინაცვლა, მხოლოდ მრავლობითი რიცხვის III პირში მახვილი ისევ სიტყვის ფუძეზე მოდიოდა.

ორივე კილოს plusquamperfectum-ში ამოვარდა თანხმოვანი R და წარმოიქმნა ახალი ფორმები:

მაგ.: cantara- cantase, partira- partise.

თანდათან პერფექტუმი მხოლოდ წარსულს გამოხატავდა. უკვე ხალხურ ლათინურში იგი წარსულ დროს გადმოსცემდა და აღარ გამოხატავდა თუ რა მიმართება არსებობდა პერფექტით გამოხატულ მოქმედების შედეგსა და აწმყო დროს შორის. ამ მიმართების გამოსახატავად წარმოიქმნა სპეციალური ფორმა: habeo + participium passatum. Perfect-ის გარდა ცვლილება განიცადა ანალოგიური მიმართულებით plusquamperfectum-მა, მომავალი დროის ძველი ფორმების ნაცვლად კი ჩნდება ახალი კონსტრუქციები, სადაც მოდალურ ზმნებს velie, posse, debere, habere-ს დაერთვოდა საუღლებელი ზმნის ინფინიტივი. თავდაპირველად habere ინფინიტივისაგან ცალკე იდგა. შემდეგ მან გადაინაცვლა ინფინიტივის შემდეგ და მას შეერწყმოდა. Habere-ს ძველი ფორმები შემორჩა პორტუგალიურში, სადაც habere შეიძლება

წინ უსწრებდეს ან მოსდევდეს ინფინიტივს. მომავალი დროის ფორმების პარალელურად წარმოიქმნა პირობითი კილოს ახალი ფორმები, სადაც habere-ს perfectum-ს და imperfectum –ს ემატებოდა ინფინიტივი. ჩნდება ვნებითი გვარის ახალი ფორმები - ზმნა esse-ს + ნამყო დროის მიმდებარება.

ინფინიტივს შემორჩა 4 დაბოლოება: āre, ēre, ĩre, ire. არაწესიერი ინფინიტივი უმრავლეს შემთხვევაში ღებულობს წესიერი ინფინიტივის ფორმებს. მაგ.: posse ხდება porere, velie ხდება volere, esse ხდება essere. როგორც ჩანს თანდათან ძლიერდება ინფინიტივის როლი. თავდაპირველად იგი ცვლის სუპინუმს, შემდეგ იხმარება წინდებულებით დამატებითი და გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ნაცვლად და გარდა ამისა, უკვე არსებითი სახელი იხმარება, როგორც თანდებულებით და უწინდებულოდ, ასევე ჩნდება ახალი ანალიზური კონსტრუქციები, კერძოდ ის რომ წარსული დროები იწარმოებოდა დამხმარე ზმნებით avere-თი ან essere-თი. მაგ.: aveo lettera escripta(= j'ai une lettre écrite). თავიდან დამხმარე ზმნა ითარგმნებოდა, ხოლო შემდგომში მისი თარგმანი გაქრა.

თემა 7: ესპანური და პორტუგალიური ენების ზოგადი დახასიათება

არაბთა შემოსევებმა თავისებური კვალი დატოვა იბერიის ნახევარკუნძულზე შუა საუკუნეებში.

XI ს-ში ჩრდილოეთში ქრისტიანმა მმართველებმა მოიპოვეს გამარჯვება მუსულმანებზე და ალფონს VI - მ დაიკავა ვესტ-გუთების ყოფილი დედაქალაქი - ტოლედო და გადააქცია იგი სამეფო კარად, ხოლო პორტუგალიის საგრაფო, მდებარე მინიოსა და ტახოს შორის, გადასცა თავის სიმეს ჰენრიხ ბურგუნდიელს. მისი ვაჟი ალფონსი კი არჩეული იქნა მეფედ და თავის მხრივ კი დედაქალაქად მან აირჩია კოიმბრი.

XII ს-ში ქრისტიანები ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს და სამხრეთისკენ არ მიიწევდნენ, მაგრამ XIII ს-ში 1212წ. ქრისტიანებმა გაილაშქრეს მუსულმანების წინააღმდეგ და გაიმარჯვეს კიდევ. ამ დროიდან იწყება ქრისტიანების წინსვლა: მათ დაიპყრეს კორდოვი, ვალენსია, სევილია და თითქმის მთელი ნახევარკუნძული. მავრებს დარჩათ სამხრეთ გრანადა, სადაც კიდევ 2 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა მათი კულტურისა და ხელოვნების, მრეწველობის აყვავება. საბოლოოდ გრანადა დაპყრობილი

იქნა XV ს-ის ბოლოს ფერდინანდ და იზაბელა კათოლიკელის მიერ 1492 წ.

ქრისტიანებმა ნახევარკუნძულის ხელახალი დაპყრობის შემდეგ ჩამოაყალიბეს სამი განცალკევებული ჯგუფი, რომელიც შემდგომში ვითარდებოდა პარარელური გზებით:

1. გალისკური ჯგუფი, რომელიც თავდაპირველად ჩამოვიდა მინიოსკენ, შემდეგ დუეროსა და ტახოსკენ. 1250წ. პორტუგალიის მეფემ ალფონს III-მ დაიპყრო ალგარვია. 1385წ. ავიზის დინასტიამ შეცვალა სამეფო გვირგვინზე ბურგუნდიელთა დინასტია და XV ს-ის დასაწყისში ლისაბონი გახდა პორტუგალიის დედაქალაქი, რომელიც საზღვაო ძალაუფლებად გადაიქცა.
2. ცენტრალური ასტურიის ჯგუფი - შემოიფარგლა ლეონში და ძველ კასტილიაში. კასტილიური ჯგუფი მრავალრიცხოვანია და ყველაზე უფრო მტკიცე და მდგრადია. XI ს-ის დასაწყისში იგი გადავიდა ტოლედოში, შემდეგ კი კორდოვასა და სევილიაში. ქრისტიანები თავისი გადაადგილების გზაზე ხვდებოდნენ მუსულმანთა მიერ ადრე ოკუპირებულ ხალხებს _ მოსარაბებს, რომლებთაც შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ადათ-წესები და თავიანთი

რომანული ენა, ხოლო რაც შეეხება ანდალუზიას, იგი მავრების იყო და მხოლოდ XV ს-ის ბოლოს იქნა ქრისტიანების მიერ დასახლებული.

3. ეს ჯგუფი უკავშირდება ნავარიის მეფეებს. იგი ვრცელდებოდა მხოლოდ აღმოსავლეთში – არაგონსა და ებროს ველზე. ბარსელონის საგრაფო, რომელიც 801 წელს შეიქმნა კარლოს დიდის მიერ, 888 წლიდან გახდა ჟოფრუას დინასტიის სამფლობელო. ნელ-ნელა დაპყრობილი სანაპიროები 1137წ. შეუერთდა არაგონს, რის შემდეგაც ეს მხარე ოფიციალურად იწოდებოდა კატალონიად.

ესპანურ მონარქიას საფუძველი ჩაეყარა ფერდინანდისა და იზაბელას ქორწინების შედეგად 1479წ., რომელმაც გააერთიანა არაგონი და კასტილია. XVII ს. კარლოს V-სა და ფილიპ II-ს დროს მან მიაღწია ევროპაში თავისი ძლიერების აპოგეას. 1560 წ. ტოლედოს ნაცვლად ესპანეთის დედაქალაქი გახდა მადრიდი. ამავე დროს ახალი სამყაროს აღმოჩენამ და დაპყრობამ იგი უზრუნველყო გიგანტური ბაზრებით. მაგრამ XVII ს. დაიწყო ამ მონარქიის დაცემით, რომელსაც განაპირობებდა ომები საფრანგეთის სამეფო დომებთან. 1700 წელს ესპანეთის სამეფო გვირგვინი გადავიდა

ბურბონთა დინასტიის ხელში, რის გამოც ესპანეთი ნაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოლიტიკაში. ნაპოლეონის ეპოქაში მან შეძლო დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა. შემდგომში XIX ს-ის განმავლობაში ესპანეთმა არაერთხელ განიცადა შიდა კრიზისები. XIX ს-ის ბოლოს ესპანეთი კარგავს კუბასა და ფილიპინებს - თავის უკანასკნელ კოლონიებს.

პორტუგალია იბერიის ნახევარკუნძულის დასავლეთში ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით, რომელიც XV ს-ის ბოლოს გადაიქცა საზღვაო ძალაუფლებად და ხელში ჩაიგდო მადეირა, კანარიის კუნძულები, მწვანე კონცხი და კეთილი იმედის კონცხი. მან თავისი ბატონობა გაავრცელა ინდოეთამდე, და აყალიბებს დიდ იმპერიას. მაგრამ ქვეყნის შიდა მდგომარეობა არ იყო სასურველი; სასოფლო მეურნეობა იმყოფებოდა კრახის პირას. მასში დამკვიდრდა ესპანეთში ჩამოყალიბებული ინკვიზიცია, ბოლოს და ბოლოს ფილიპე II-მ პორტუგალია ჩართო ტავის მონარქიაში.

1580-დან 1640 წელში პორტუგალია იყო მხოლოდ კასტილიის ვიცე სამეფო. სამეფო დომის ბრაგანცის დროს პორტუგალიამ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. XVIII-ის დასაწყისიდან მან დაამყარა მჭიდრო სავაჭრო კავშირი

ინგლისთან, რომელიც შემდეგ მის დამჯერე კლიენტად გადაიქცა. 1822წ. პორტუგალიას გამოეყო ბრაზილია.

ესპანური ენის პირველწყაროები. ზოგიერთი კვალი ხალხური ენისა შეიძლება აღმოვაჩინოთ VIIIს. დასაწყისში ასტურიისა და ლეონის სიგელებში. უფრო ნათელ განმარტებას მისი ხასიათის შესახებ იძლევა “სილოსის გლოსები”, შედგენილი X-ის დასაწყისში ბურგოსის რაიონში. ესპანური ენის სამშობლო სწორედ ამ ქალაქის მიდამოებში უნდა ვეძიოთ, რომელიც ჩამოყალიბდა 884წ. და გახდა დედაქალაქი 1037წ. ლიტერატურული ტრადიცია იწყება “სიდის პომეიდან” (cantar de Mio Cid), რომელიც შეიცავს 3730 ლექსს, ხალხურ ეპოპეას, რომელიც შეიქმნა 1140წ. მედინასელში, ძველი კასტილიის სამხრეთ-აღმოსავლეთით და რომელშიც უმდერაინ ეროვნული გმირის გმირობებს როდრიგო დიას ვივარეს ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მავრების წინააღდეგ (1030-1039). დაახლოებით 1200წ. შეიქმნა “მოგვების მისტერია”, რომლის არქაული სტილი გვაფიქრებინებს მის უფრო ადრინდელ ვარიანტზე. XIIIს. პირველ ნახევარს მიეკუთვნება უფრო სამეცნიერო ხასიათის ანონიმური ნაწარმოები, “წიგნი სამი აღმოსავლელი მეფისა”, „წიგნი

აპოლონიოსი”, პოემა “ალექსანდრე“ და გონსალო დე ბერსეოს რელიგიური შინაარსის ლექსები. კორტესთა შეკრებაზე 1253წ. ტოლედოში ალფონს X-მ დაადგინა, რომ საეჭვო მნიშვნელობის სიტყვების დადგენისას ტოლედოს ენით ეხელმძღვანელათ, ამით დაადგინა კასტილიური ენის უპირატესობა. XV და XVI სს-ში ესპანური ენის ევოლუციის ეპოქებია. ესპანეთის პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცების პარალელურად ფართოდ ვითარდებოდა ლიტერატურა, რომელმაც მიაღწია აყვავებას XVIII-ის ბოლოს სერვანტესის, ლოპე დე ვეგას და კალდერონის დროს. 1713წ. მადრიდში დაარსდა სამეფო აკადემია, რომელსაც დაეკისრა ენის ნორმების დადგენა-მოწესრიგება.

პორტუგალიური ენის ლიტერატურული პირველი ძეგლები უფრო გვიან ხანას მიეკუთვნება. ეს უმთავრესად რელიგიური ლექსებია, შეკრებილი ალფონს ბრძენის “საგალობლებში”, რომელიც დაწერილია გალისკურ ენაზე XIII-ის ბოლოს, და მეფე დენისის “საგალობელში”. 1572წ. ლუის კაონმა შექმნა პორტუგალიის ეროვნული პოემა ”ლუზიადა” (Os Lusíadas).

მთლიანად პორტუგალიური სალიტერატურო ენა მიუხედავად იმისა, რომ იგი მკვეთრად განსხვავდებოდა

ესპანურისაგან, ყოველთვის ვითარდებოდა რაღაც კავშირით ამ უკანასკნელთან.

XIII-დან განსაკუთრებული ლიტერატურა კატალანურ ენაზე განსაკუთრებულად განვითარდა. მისი კლასიკური პერიოდი, ბერნატ მეტუის მიერ პროზად მომზადებული იყო XVს-ში, ხოლო უდიდესი პოეტი იყო ოზიას მარჩი. 1230წ. შემდეგ კატალანური ენა შეიჭრა სამხრეთში ვალენსიამდე და ბალეარის კუნძულამდე.

ლინგვისტური დამოკიდებულება კატალანური ენისა უფრო ახლოსაა პროვანსულთან, მაგრამ იმყოფება რა იგი კონტაქტში არაგონულ დიალექტთან, მან პოლიტიკურ პირობებში გამოსცადა თავის თავზე კასტილიური ენის ზეგავლენა, თუმცა შეინარჩუნა ამ უკანასკნელისაგან სრული დამოუკიდებლობა.

ესპანეთი ითვლის დაახლოებით 25 მილიონ მცხოვრებს, რომელთაგან ენის თვალსაზრისით საჭიროა გამოირიცხოს 1 მილიონი გალისკური მოსახლე და 3 მილიონი ბასკი, კატალონიელები, რომლებიც თავიანთ ადგილობრივ ენაზე საუბრობენ. ამგვარად, ევროპაში ესპანურ ენაზე დღეს ლაპარაკობს არაუმეტეს 20 მილიონზე მეტი ადამიანი.

პორტუგალიურად კი ლაპარაკობს 7 მილიონი ადამიანი, რომელსაც უნდა დაემატოს 1 მილიონი გალისკური მოსახლე.

ესპანური ენის დიალექტებია: ასტურიული, ლეონური და არაგონული, ცენტრში -კასტილიური, რომლისგანაც ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენა; სამხრეთში - ანდალუზიური, წარმოშობილი კასტილიურიდან, რომელიც მისგან განსხვავდება განსაკუთრებულად რბილი წარმოთქმით.

პორტუგალიური დიალექტებია: ჩრდილოეთში - ენტრედურო-ე-მინიო და ტრამ-უმ-მონტიში, გაერთიანებული გალისკურში; ცენტრში - ბეირა; სამხრეთში - ესტრემენიო-ლისაბონის დიალექტი, ალემტეჟუ და ალგარვე, რომელსაც უერთდება აზორის კუნძულისა და მადეირის დიალექტები.

პორტუგალიურ ენაზე ევროპის გარდა ლაპარაკობენ გვინეასა და მოზამბიკში, ინდოეთის ზოგ რაიონში და ზონდის კუნძულებზე, ბრაზილიის დიდ ნაწილში, სადაც ენა “კამოენსა“-მ განიცადა ადგილობრივი ხალხის დიალექტების ზეგავლენა.

სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, ანტილიის კუნძულებზე, მექსიკაში დარჩა ესპანური.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს დიალექტი, რომელზეც ლაპარაკობენ თვითონ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ესპანელი ებრაელები.

ესპანეთიდან ფერდინანდის მეფობის დროს 1492 წლიდან განდევნილი ეს ებრაელები, რომელთაც არაფერი კავშირი არ ჰქონდა ძველ სამშობლოსთან, მაინც აგრძელებდნენ მეტყველებას კასტილიურ ენაზე შერეული ლექსიკით.

მათი ენა წარმოადგენს 1500 წლის დროინდელ ესპანურ ენას.

XX ს-დან ებრაულ-ესპანურმა დიალექტმა, რომელზეც ლაპარაკობენ ბალკანეთში, ცვლილებები განიცადა, ვინაიდან მისი ლექსიკონი შეივსო ნასესხებებით.

თემა 8: იტალიური ენა (ზოგადი მიმოხილვა)

იტალიის ნახევარკუნძული სხვებთან შედარებით უფრო დიდხანს რჩებოდა რომაელთა პოლიტიკის ზეგავლენის ქვეშ.

თავდაპირველად, შუა საუკუნეებში იტალიის სამხრეთს ნორმანები ფლობდა, ხოლო შემდეგ კი ანჟუს დინასტია, ჩრდილოეთში ამ დროს ძალაუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლა მიმდინარეობდა საპაპოსა და იმპერატორებს შორის, რომელმაც გამოიწვია ქვეყნის გაყოფა გველფებად და გიბელინებად. მიუხედავად ამისა ამ პერიოდში ბევრმა ქალაქმა მიაღწია თავისუფლებას თვითმმართველობაში. XII ს-ში ფრიდრიხ ზარზაროსის ლაშქრობამ იტალიაში ლომბარდიული ლიგების ნაციონალური მოძრაობა გამოიწვია, რომლებმაც თავიანთი პოზიცია კონსტანციის ტრაქტატის შედეგად გაამაგრეს (1183). შემდგომ საუკუნეში კი ფრიდრიხ II-მ განაახლა ბრძოლა, რომელიც დასრულდა შვაბთა დომის დამარცხებით.

თუმცა გაძლიერდა სხვადასხვა ქალაქები. კერძოდ, გენუის, ფლორენციის და ვენეციის ქალაქ-

რესპუბლიკები. მიუხედავად შინაური აშლილობისა XIII-XIVსს-ში იტალიამ მიაღწია მრეწველობის განვითარებისა და საზღვაო ვაჭრობის შედეგად მნიშვნელოვან აყვავებას. განვითარდა მხატვრობა, მწერლობა და სხვა დარგები. ამ ცვლილებების გვერდით დიდ ქალაქებში, როგორც იყო – ვერონე, ლუკე, პარმა – დამკვიდრდა ტირანია.

შემდგომ ეპოქაში კი იტალია დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სხვა ქვეყნების (საფრანგეთისა და ავსტრიის) სადავო საგნად.

XVII ს-ში იტალია კვლავ დაქუცმაცებულია, მხოლოდ ვენეციის რესპუბლიკა ინარჩუნებდა გარკვეულ დამოუკიდებლობას, ხოლო სამხრეთში - სიცილია კვლავ რჩებოდა არაგონების მმართველობის ქვეშ.

ამ დროისათვის გაძლიერებას იწყებს სავოიელი დომები, რომლებიც ორმაგ თამაშს ეწეოდნენ, ისინი ხან საფრანგეთისკენ იხრებოდნენ, ხან კი – ავსტრიისკენ.

საფრანგეთის რევოლუციამ ისევ გადააქცია ჩრ. იტალია სათარეშო ტერიტორიად და 1815 წლის ტრაქტატების შედეგად წარმოიშვა იტალიის ხელახალი დანაწევრება და ავსტრიელების გაბატონება მილანსა და ვენეციაში.

მხოლოდ 1859 წლიდან ვიქტორ-ემანუელ II-ს დიპლომატიის წყალობით იტალიას მიეცა გაერთიანების

შესაძლებლობა, ხოლო I მსოფლიო ომის (1914-1918) შემდგომ, იტალიამ შეძლო საბოლოოდ განემტკიცებინა საკუთარი საზღვრები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუშალა იტალიაში ნაციონალური ენის ჩამოყალიბება-განმტკიცებას. იტალიას არ გააჩნდა ისეთი პოლიტიკური ცენტრი, საიდანაც გავრცელდებოდა ოფიციალური ენა.

იტალიური ენის პირველი ფრაგმენტები, იტალიურ ხალხურ დიალექტზე დაწერილი ნაშრომი, მიეკუთვნება უფრო გვიან ეპოქას, რაც აიხსნება იტალიის ნახევარკუნძულზე ლათინური ენის ტრადიციის შენარჩუნებით. ეს ფრაგმენტები შედგება ორი მოკლე ფორმულისაგან, რომელიც უნდა წარმოთქმულიყო მოწმეების მიერ მიწების მფლობელობის გამიჯვნის დროს. ისინი ნაპოვნია ლათინურ სიგელებში 960-964 წწ-ში ნეაპოლის მიდამოებში. XI-ის ბოლოს მიეკუთვნება აღსარების ფორმულა დაწერილი რომის რაიონში ცენტრალური იტალიის დიალექტზე.

XIII-ც ღარიბია ხალხური ენის დოკუმენტებით და მხოლოდ XIII-ში ჩაეყარა საფუძველი სალიტერატურო ენის განვითარების დაწყებას. სამხრეთში ამ დროს

ყვოდა პროვანსული ენის ზეგავლენით პოეზიის სიცილიური სკოლა, რომელსაც მფარველობდა ფრიდრიხ II-ს კარი პალერმოში. თუმცა ფრაგმენტი, რომელიც მიეწერება ჩულო დალკამოს (1230-1250) რჩება საკმაოდ გაურკვეველი. ნახევარკუნძულის ცენტრში უმბრიელი ფრანცისკო ასიზკელი და მისი მოწაფეები თავიანთ ძალებს ცდიდნენ რითმულ პოეზიაში. ლომბარდიაში ბონვეზინო და რივა რელიგიურ ლექსებს წერდა, რომლებიც გარკვეულ გავრცელებას პოულობდა.

1260 წლის შემდეგ ფლორენცია სამოქალაქო თავისუფლების მოპოვების შემდეგ ხდება კულტურის კერა და აღწევს უმაღლეს აყვავებას ბანკის შექმნის წყალობით, შალისა და აბრეშუმის მრეწველობის განვითარებით; ფლორენციაში აღინიშნება ხელოვნების ადრეული აყვავება ჩიმაბუესა და ჯოტოს წყალობით, ლიტერატურის აყვავება გვიდო გვინიციელის სახით, რომელმაც დანტემდე დაარსა თავისი სკოლა.

იტალიაში ერთიანი ლიტერატურული ენის გავრცელება დანტეს დამსახურებაა (1265-1321წწ), იმ წარმატებით და სილამაზით, რომელიც მოიპოვა მისმა “ღვთაებრივმა კომედიაში”. პოეტი წერს ფლორენციულ-ტოსკანური დიალექტით და როგორც დამტკიცებულია მან გამოიყენა

მცირე რაოდენობა ლათინიზმებისა, ცოტა გალიციზმები და ძალიან ცოტა ნასესხებები ნახევარკუნძულის სხვა დიალექტებიდან, ხოლო იტალიური სალიტერატურო ენის სრულყოფა განხორციელდა პეტრარკასა და ბოკაჩოს დროს.

მას შემდეგ ლიტერატურულ ენას ბევრი ცვლილება არ განუცდია. სისტემაში იგი მოყვანილი იქნა ცოტა არქაული ფორმით ბემბოს მიერ “Prose”- ში, ხოლო შემდეგ კი აღორძინების ხანის დასასრულს აკადემიების მიერ, კერძოდ Accademia della Crusca-ს მიერ იქნა, რომელიც დაარსდა ფლორენციაში 1587წ. (პირველი აკადემიური ლექსიკონი გამოვიდა 1612წ.).

ისტორიული პირობებითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ დიალექტები იტალიაში უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში და რომ ზოგიერთი მათგანი დღესაც სალიტერატურო ენაში ფართოდ გამოიყენება.

რომის, ვენეციის, ნეაპოლის, სიცილიის დიალექტები, უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბდნენ ლიტერატურულ დიალექტებად, ან ენებად. მათზე წერენ რომანებს, ლექსებს, გამოდის პერიოდიკა. ასე მაგალითად XVIII საუკუნის იტალიელი მწერლის, დრამატურგისა

და ლიბრეტისტის კარლო გოლდონის (*Carlo Osvaldo Goldoni*) პიესები დაწერილია ვენეციის დიალექტზე, ხოლო ნეაპოლიტანურ დიალექტზე წერს თანამედროვეობის ერთ-ერთი საინტერესო დრამატურგი, რეჟისორი, იტალიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე ედუარდო დი ფილიპო (*Eduardo De Filippo*).

იტალიური ენის გარდა ლიტერატურა გამოდის მის ცალკეულ დიალექტებზეც, რაც არანაირად არ უშლის ხელს იტალიურ ენას იტალიის საერთო სახელმწიფოებრივ ენად ფუნქციონირებაში.

იტალიის სამეფო, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ნახევარკუნძული, სიცილიისა და სარდინიის კუნძულები, მისი ტერიტორიის გაფართოების მოლაპარაკების შემდეგ 1919წ. იგი ითვლის დაახლოებით 45 მილიონ მოსახლეობას, რომლებიც ლაპარაკობენ თავიანთ ეროვნულ ენაზე.

დიალექტებს შორის მთავარი ადგილი უკავია სარდინიულ დიალექტებს. კუნძულის ცენტრში ლოგუდარული ენა ინარჩუნებს სიძველეს და შეიძლება განიხილოს, როგორც განსაკუთრებული ენა, როცა ამ დროს სამხრეთში გავრცელებული იყო კამპიდანური ენა, თუმცა ის სარდინიულ სისტემაში შედის და უახლოვდება სიცილიურ დიალექტს. კუნძულის ჩრდილოეთში გავრცელებულია

გალური ენა, რომელიც უახლოვდება კორსიკულ კილოკავებს, ხოლო კორსიკული დიალექტები, რომელზეც ლაპარაკობენ აიაჩიოში, უახლოვდება ტოსკანურს.

გალო-იტალიურ დიალექტებში შედის: ლიგურიული, პემონტური, ლომბარდიული, ემილო-რომანული, ვენეციური, ტოსკანური, ფლორენციული, უმბრიული და სხვა. *კამპანიის დიალექტებია:* ნეაპოლიტანური, აბრუციული, კალამბრიული, სიცილიური, ბაზილიკატური და სხვა.

თემა 9: ძველფრანგული და პროვანსული ენები

ძველფრანგული (ზოგადი მიმოხილვა)

ჰუგო კაპეტის გამეფებიდან შუა საუკუნეებამდე და ლუდოვიკო XI –ეს ეპოქაში საფრანგეთის ისტორია იყო სამეფო ძალაუფლების ბრძოლა ფეოდალებთან. თავდაპირველად პარიზის მეფე მხოლოდ თეორიულად იყო სუვერენი, იმიტომ რომ მისი ძალაუფლება შემოფარგლული იყო მხოლოდ ილ-დე-ფრანსისა და ორლეანის საზღვრებით, ვინაიდან ყოველი მხრიდან მათი ტერიტორია გარშემორტყმული იყო მსხვილი ფეოდალების მამულებით. ბრძოლა მეფეებსა და ფეოდალებს შორის დაიწყო პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდგომ, ლუდოვიკო VI დროს (1108-1187წწ.). სამეფო მამულების გაფართოების მიზნით მეფემ დააქორწინა თავისი ვაჟი აკვიტანიის ჰერცოგინიაზე, მაგრამ ამ წარმატებას ხელი შეუშალა ლუდოვიკო VII-ს განქორწინებამ და, მეორედ ელეონორას ქორწინებამ ჰენრიხ პლანტაგენეტელთან (1152). მიუხედავად ამისა მეფე ფილიპ-ავგუსტის დროს სამეფო მამულები იწყებს გაფართოებას, რომელიც გავრცელდა სამხრეთში შარანტამდე და ცენტრალურ პლატომდე.

XIII ს-ის დასაწყისში მას შეუერთდა ნორმანდია, ხოლო ანჟუს საგრაფოს განაგებდნენ საფრანგეთის მეფის სენეშალები. ლუდოვიკო წმინდანის დროს საფრანგეთის სამეფო მამულებს შეუერთდა პროვანსი, ხოლო მოგვიანებით ფილიპ-ლამაზის დროს – შამპანი და ლიონი.

თვით დამანგრეველმა და ხანგრძლივმა ასწლიანმა ომმაც კი ვერ შეაჩერა ისტორიული განვითარება საფრანგეთში, პირიქით მან განაპირობა საფრანგეთში ნაციონალური გრძნობების გაღვივება: კერძოდ სამეფო ძალაუფლება ჯერ არ ყოფილა ასე ძლიერი, როგორც იმ დროს, როცა კარლოს VII-მ ჟანა დარკის წყალობით გაათავისუფლა სამეფო ინგლისელებისაგან. ბოლოს ლუდოვიკო XI-მ მისი პოლიტიკისა და ბურგუნდიის ჰერცოგის გარდაცვალების წყალობით, შეძლო საფრანგეთის გაერთიანება.

ენობრივი თვალსაზრისით ძველი გალიის მცხოვრებნი უძველესი დროიდან იყოფოდნენ ორ ჯგუფად. უმთავრესი განსხვავება ამ ორ ჯგუფს შორის იყო ის რომ ლათინური a ღია მახვილიან მარცვალში გადავიდა e-ში, ხოლო მეორე ჯგუფში იგი შენარჩუნდა ძველებურად.

მაგ.: ფრანგული: chanter - პროვანსული: cantar=cantare

ამის შედეგად საფრანგეთში ჩამოყალიბდა ორი სხვადასხვა ენა : ერთი ჩრდილოეთში, ხოლო მეორე სამხრეთში, რომლებიც შემდგომში იწოდებოდნენ შემდეგნაირად: Langue d'oïl ფრანგული და Langue d'oc პროვანსული.

რაც შეეხება ფრანგულ ენაზე შედგენილ პირველ ტექსტებს: უპირველესად ეს არის “რეიხენაუს გლოსები”, რომელიც კარლოს დიდის ეპოქას მიეკუთვნება, რომელიც წარმოადგენს ლექსიკონს შედგენილს უფრო ლათინური სიტყვებისაგან, ხოლო უმთავრეს წერილობით ძველფრანგულით დაწერილ დოკუმენტს წარმოადგენს “სტრასბურგის ფიცი”, რომელიც 842 წელს დაიდო კარლოს დიდის შვილიშვილებს შორის. შემდგომში მოდის 900 წელს 29 ლექსისაგან შედგენილი რელიგიური ნაწარმოები “წმიდა ევლალის კანტინელა”, ასევე XI საუკუნის სხვა პოემებიც: “ქრისტეს ვნება”, “წმიდა ალექსისა და წმიდა ლეჟერის ცხოვრება”, ხოლო XI ს-ის ბოლოს კი “სიმღერა როლანზე” საფუძველს უყრის ეპიკური პოეზიის აყვავებას. მომდევნო საუკუნეებში ჩნდება ყველა ლიტერატურული ჟანრი, პროზის განვითარებას კი ხელს უწყობს უდიდესი მემკვიდრეები ვილარდუენი და ჟუეველი.

ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ამ ლიტერატურისა
ის გახლავთ, რომ განსაკუთრებით დასაწყისში
ძველფრანგული ენა დიალექტური ხასიათის იყო.
სხვადასხვა რაიონის მცხოვრებნი რამდენადმე
განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან წარმოთქმითაც და
გრამატიკული ფორმებითაც. ამ დიალექტებს არ
გააჩნდათ განსაზღვრული ნორმები, მათი დასახელებები
განსაზღვრული იყო ძვ. ფრანგული პროვინციების
სახელებით:

- 1) ჩრ-დასავ. – ნორმანდიული
- 2) ჩრ-აღმოსავ. – პიკარდიული და ვალონური
- 3) აღმოსავლეთში – შამპანისა და ლოტარინგიისა.
- 4) დასავლეთში – სენტონჟის, პუატუს და ანჟუს
- 5) ცენტრში – სენასა და ლუარას შორის ილ-დე-
ფრანსის ანუ ფრანციული დიალექტი.

მას უნდა დაემატოს 1066წ. ინგლისში ვილჰელმ
დამპყრობლის მიერ გადმოტანილი ანგლო-ნორმანდიული
დიალექტი, რომელიც ფართოდ გავრცელდა XII-XIV სს-ში.
ფრანციული დიალექტი როგორც სალიტერატურო ენა,
რომელიც პარიზში იყო გაბატონებული, თანდათან
ავიწროვებდა პოლიტიკური მოსაზრებების გამო სხვა
დიალექტებს და გაძლიერდა სამეფო ძალაუფლების

განმტკიცების შედეგად. მხოლოდ XV ს-ის დასაწყისიდან სხვა დიალექტებმა, პროვანსულის დიალექტებთან ერთად დაიწყეს დამდაბლება ხალხურ კილოკავებამდე.

ძველი პროვანსული ენა

პროვანსული ენა თავისი დიალექტებით გავრცელებულია საფრანგეთის სამხრეთში. იგი იყოფა შემდეგ დიალექტებად:

1. პროვანსული პროვანსის რაიონში
2. ლანგედოკის ლანგედოკში
3. ოვერნული ოვერნში
4. ლიმუზენის ლიმუზენში
5. კერსის კერსში
6. რუერგის რუერგში
7. გასკონური გასკონიაში

ახალპროვანსულსა და ძველპროვანსულს შორის დიდი განსხვავებაა არამარტო ენის სტრუქტურაში, არამედ მის ფუნქციაშიც. ძველი პროვანსული არამარტო სალიტერატურო ენა იყო მის დიალექტებს შორის, არამედ საშუალება ცოცხალი კომუნიკაციისა. ახალი პროვანსული კი ასრულებს უპირველეს ყოვლისა მხატვრული

ლიტერატურის ენის ფუნქციას, ამ ენით სარგებლობენ მწერლები იმ ლიტერატურლი მიმართულებისა, რომელსაც ჰქვია “ფელიბრიჟი”. ოფიციალურ ენად სამხრეთ საფრანგეთში გამოყენებულია ფრანგული ენა, რომელმაც განიცადა ამ რეგიონის დიალექტების ზეგავლენა. ძველი დიალექტები შენარჩუნდნენ სოფლის მოსახლეობაში. პროვანსულმა ენამ თავისი სახელწოდება მიიღო ლათინური ენიდან რომის პროვინციის სახელიდან “Provincia nostra” , “Provincia Narbonensis”.

შუა საუკუნეებში პროვანსული იწოდებოდა ლიტერატურულ ენად და XII-XIIIსს-ში შემდეგი მწერელები წერდნენ ამ ენაზე: არნაუტ დანიელი, ბერნარ დე ვეტადორნი, ბერტნარ დე ბორნი და სხვები.

პროვანსულში არის ნიშნები, რომლებიც ენათესავებიან ესპანურს. ეს მსგავსება გამოხატულია მორფოლოგიაში და ტოპონიმიაში. ეს გეოგრაფიული სახელების იდენტურობა აიხსნება ბასკური ენის ზეგავლენით, რომლებიც იბერიული წარმოშობისაა და პირენეის მხარეშია გავრცელებული.

მაგ.: basq. – ezker მარცხენა

esp. -izquierdo

port. - esquerdo

katal.- esquerro

prov. - esquer

gask.- esquer

port. - baro-თიბა

catal./ prov. - bard

arg. - bardo

საერთო ნიშანი ესპანურსა და პროვანსულს შორის ვლინდება ზმნის უღლების ფორმების შენარჩუნებაში, რომელიც წარმოიშვა ლათინური ენის დიდიხნის დასრულებული დროიდან. დანარჩენ რომანულ ენებში ეს ფორმა დიდხანს არ შენარჩუნებულა, შემდეგ კი საერთოდ გაქრა. პროვანსულ ენას ბევრი ისეთი თავისებურებანი აქვს, რომლებიც მას ანათესავებენ ფრანგულ ენასთან ეს მსგავსება ვლინდება ბგერით შემადგენლობასა და ლექსიკაში. მაგრამ არის ისეთი ნიშნები პროვანსულში, რომლებიც მას ანათესავებს მეზობელ იბერიულ რომანულ ენებთანაც. მაგალითად, ძველი პროვანსული ენა როგორც ძველი ფრანგული, ინარჩუნებდა არს. სახელებისა და ზედსართავების ბრუნვებს. ამ ენებში ესენი დარჩენილი იყო ლათინური ენიდან, რომლებიც შემდეგ გაქრა. პროვანსულსა და იბერიულ-რომანულ ენებს შორის,

როგორც ესპანურსა და პორტუგალიურში ზმნის კატეგორიაში არსებობს გარკვეული ერთიანობა.

ძველპროვანსულში იყო სალიტერატურო ენა, რომელიც გავრცელებული იყო საფრანგეთის ფარგლებს გარეთ.

პროვანსელი ტრუბადურების პოეზია კულტივირებული იყო ბევრ ქვეყანაში, ისინი სარგებლობდნენ დიდი პოპულარობით. ტრუბადურთა პოეზია ნიმუში იყო ფრანგი, ესპანელი და იტალიელი პოეტებისათვის.

XVI ს-ის შემდგომ პროვანსული ლიტერატურის მნიშვნელობა თანდათან იწყებს დაცემას და კარგავს საერთო სალიტერატურო ენის ფუნქციას. XIX ს-ში კი ფრანგული ენა ხდება სახელმწიფო ენა მთელ საფრანგეთში და სამხრეთშიც. XIX ს-ში პროვანსულს უკვე აღარ აქვს ფართო გავრცელება. XIXს-ში მწერლებმარუმანილმა, მისტრალმა და სხვებმა XXს-ის, შეეცადნენ აღედგინათ პროვანსული ენა და შექმნეს პროზაული თუ პოეტური ნაწარმოებები ახალ პროვანსულ ენაზე, რომელიც განსხვავდებოდა ძველისაგან წარმოთქმით და ნაწილობრივ მორფოლოგიითაც. ეს მწერლები იწოდებოდნენ “ფელიბრიჟის” ლიტერატურული მიმდინარეობის დამაარსებლებად. ფელიბრები მიზნად ისახავდნენ პროვანსული სალიტერატურო ენის

შენარჩუნებას და ფრანგული ენის შევიწროებას.
მიუხედავად იმისა რომ, ლიტერატურის ისტორიაში მათი
როლი ძალზედ მნიშვნელოვანია, ამ მიმდინარეობამ
მხოლოდ XXს-ის პირველ ნახევრამდე იარსება.

თემა 10: ფრანგული ენა მსოფლიოში და მისი ტერიტორიული ვარიანტები

ბოლო დროს ფრანგულ ლინგვისტიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ფრანგული ენის არსებობისადმი ინტერესი მსოფლიოში. არანაკლებ აქტუალური და პერსპექტიულია ეთნოკულტურის, სოციოლინგვისტიკისა და საკუთრივ ლინგვისტური დამოკიდებულება ფრანგული ენისადმი როგორც ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკისა. მსგავსი მიდგომის საფუძველს იძლევა ის რომ, ფრანგული ენა ფართო ტერიტორიებზე ერთდროულად გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო საშუალება და როგორც სოციალურად ჩამოყალიბებული ვარიანტები, თითოეული მათგანი ხასიათდება განსაკუთრებული ფუნქციონალური თვითმყოფადობით, ასევე სტრუქტურული და ნორმატიული თავისებურებებით.

ტერიტორიული ვარიანტოლოგიის კვლევას საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის 70-80-იან წლებში რომანულ-გერმანიკული ფილოლოგიის მკვლევართა წყალობით. განსაკუთრებით ფასეულია ამ მხრივ კანადელი მეცნიერების ჟ. დიულონგის, პ. დერიუსოს, კ. პუარესა და სხვათა გამოკვლევები ფრანგული ენის კვებეკური ვარიანტის ფრაზეოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური თავისებურებების სფეროში, ბელგიელი მკვლევარების შ. ბალის, ა. დოპანის და სხვათა ფრანგული ენის ვალონური ვარიანტის კვლევა. ასევე კანადელი და შვეიცარიელი მკვლევარების ა. ტიბოსა და პ. კნეშტის გამოკვლევები ფრანგული ენის ჰელვეციზმების სფეროში. დიდ ინტერესს

წარმოადგენს საფრანგეთისა და აფრიკის მეცნიერთა (ს. ლაფაჟი, ა. კეფელეკი) ნაშრომები ფრანგული ენის აფრიკული ვარიანტის ფიქსაციისა და შეკრებაში.

ფრანგული ენის გავრცელების არეალი.

ფრანგულ ენა, მსოფლიოში ჩინურის, ჰინდის, ინგლისურის, ესპანურისა და რუსულის შემდეგ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მაგრამ მისი საერთაშორისო მნიშვნელობა ბევრად უფრო დიდია, ვინაიდან ის კომუნიკაციისა და მსოფლიო კულტურის ათვისებისათვის უმნიშვნელოვანესი საშუალება გახდა. თანამედროვე ეპოქაში ფრანგული ენა წარმოდგენილია არამარტო საფრანგეთში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, რომელიც ასრულებს ოფიციალური ურთიერთობის, საერთაშორისო კავშირების, ნაციონალური ენის, სამეცნიერო ენის, მხატვრული ლიტერატურის ენის ფუნქციებს. მას მსოფლიოში დღეს როგორც მშობლიურ ენას იყენებს დაახლოებით 90 მლნ ადამიანი, ამავდროულად ფრანგული ენა აქტიურად გამოიყენება როგორც მეორე ან მესამე ენა, ხოლო საერთო რიცხვი ფრანკოფონებისა დაახლოებით 400 მლნ ადამიანს აღწევს. რაც შეეხება მისი გავცელების არეალს, იგი გარდა ევროპისა წარმოდგენილია ბელგიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიაში, მონაკოში, იტალიაში (აოსტისა და ალპურ ველებზე), დიდ ბრიტანეთში (ნორმანდიის კუნძულებზე). ეს ის ქვეყნები და ტერიტორიებია, სადაც ფრანგული ენა ჩამოყალიბდა ადგილობრივი მოსახლეობის რომანიზაციის შედეგად. ჩრ. ამერიკაში იგი მშობლიური ენაა ფრანგი-კანადელებისათვის (კვებეკის პროვინციაში), ასევე ლუიზიანის შტატის მცხოვ-

რეზოლუციისათვის და საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიებისა თუ დეპარტამენტებისათვის. სამხ. და ცენტრ. ამერიკაში ფრანგული გავრცელებულია ფრანგულ ზღვისიქითა დეპარტამენტებში. ამ ტერიტორიების კოლონიზაციისას მოხდა ფრანგების ჩასახლება, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა. ფრანგული გამოიყენება ასევე ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ზოგიერთ ქვეყნებში: მავრიკიაში, მადაგასკარზე, ვანუატუსა და სეიშელის კუნძულებზე. ზღვისიქითა ტერიტორიებსა და დეპარტამენტებში ფრანგული ფრანკო-კრეოლურ ენებთან ერთად თანაარსებობს, რომელსაც თავის დროზე სხვადასხვა ქვეყნიდან შეყვანილი შავკანიანი მონები იყენებდნენ. ფრანგული აფრიკაში წარმოდგენილია ალჟირში, ტუნისში, მაროკოში, მავრიტანიაში, სენეგალში, მალიში, გვინეაში, კოტ დივუარში, კამერუნში, ბენინში, ტოგოში, ბურკინა ფასოში, აფრიკის ცენტრ. რესპუბლიკაში, კონგოში და აფრიკის სხვა ქვეყნებში. აზიაში – ლიბანში, კამბოჯაში, ლაოსსა და ვიეტნამში. ამ ქვეყნების კოლონიზაცია არ მიმდინარეობდა ამ ტერიტორიებზე ფრანგების მასობრივი ჩასახლებით, ამიტომაც ფრანგულს არ განუდევნია ადგილობრივი ენები და არც გამხდარა მათი მშობლიური ენა.

ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიებზე ფრანგული ენა წარმოადგენს ერთიან ენას მისი სალიტერატურო და ხალხურ-სალაპარაკო ფორმებით. ბევრ ტერიტორიაზე იგი არსებობს სპეციფიური ადგილობრივი ვარიანტებით.

ნაციონალური სუბსტრატული ვარიანტი.

ფრანგულის ვარიანტები საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში და კანადაში წარმოადგენენ მშობლიურ ფორმებს ფრანგების, ვალონელების, ფრანკო-შვეიცარიელების,

ფრანკო-კანადელების მეტყველებისა. რასაკვირველია ამ ერების ფრანკოეთნიკური კონსოლიდაციის ხარისხი არაერთგვაროვანია. მისი ხარისხი მაღალია საფრანგეთში, კანადასა და შვეიცარიაში, ხოლო ნაკლებია ბელგიაში. მიუხედავად მოცემული კრიტერიუმებისა ფრანგული ენის ნაირსახეობა ამ ქვეყნებში კვალიფიცირდება როგორც ნაციონალური ვარიანტები.

ისტორიულად საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში ფრანგულის ვარიანტები ვითარდებოდა პარალელურად და ურთიერთკავშირში, რაც გამოწვეული იყო რომის იმპერიაში თანაცხოვრებით და შემდგომში ურთიერთმეზობლობით. კანადური ფრანგულის არსებობა კი განპირობებულია XVII-XVIIIსს-ში ფრანგების გადასახლებით კანადაში.

რაც შეეხება ფრანგულენოვან კონსოლიდაციას ლუქსემბურგსა და აოსტის ველზე, ფრანგული ენა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა მშობლიური. თუმცა სოციალურ და პროფესიულ სფეროებში იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ზემოჩამოთვლილ ტერიტორიებზე ფრანგული ასრულებს სუბსტრატის როლს იმ ენებთან მიმართებაში, რომელსაც დამატებით იყენებს მოსახლეობის ეს ჯგუფები და რომლებიც ფრანგულთან მიმართებით ხან სუბსტრატის, ხან კი ადსტრატის როლში გამოდიან.

ცენტრ. და სამხრ. ამერიკაში, ინდოეთისა და წყ. ოკეანის ტერიტორიებზე წარმოდგენილია ფრანკო-კრეოლური და ლოკალური ვარიანტები ფრანგული ენისა. ბილინგვიზმის არსებობა ამ ტერიტორიებზე განპირობებულია ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური მიზეზებით, რომლის თანახმადაც კრეოლი მოსახლეობა

თავიანთ თავს თვლიან ფრანკოფონებად და მიიჩნევენ, რომ მათ გენეტიკური ნათესაობა აქვთ ევროპელებთან. ამ თვალსაზრისით ფრანგული ენის ვარიანტები ლუიზიანაში, რეუნიონში, მავრიკიაში და სხვა ტერიტორიებზე კვალიფიცირდება ფრანგული ენის სუბსტრატულ ნაციონალურ ვარიანტებად, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ კრეოლურ ენებთან და ახდენენ მათზე თავიანთ ზეგავლენას.

სუპერსტრატული ვარიანტები.

ფრანგული ენა ბევრ ტერიტორიაზე არ წარმოადგენს მოსახლეობის მშობლიურ ენას, მაგრამ მაინც ასრულებს მნიშვნელოვან კომუნიკაციურ ფუნქციას და კულტურის ენის როლს. ამ რეგიონებში ევროპელებმა ფრანგული ენა კოლონიზაციის დროს შეიტანეს XIX-XX სს-ში, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა არ ფლობდა კოლონიზატორთა ენას, მათ შეინარჩუნეს მშობლიური ენა. ფრანგული ამ ტერიტორიებზე გამოიყენება ოფიციალურ დონეებზე და ეფინება ადგილობრივ ენებს. ისინი ურთიერთზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ამ თვალსაზრისით ფრანგული მოცემულ ტერიტორიებზე წარმოადგენილია იმპორტირებული, სუპერსტრატული ვარიანტით.

ადრასტული ვარიანტები.

არსებობს ისეთი ტერიტორიები, სადაც ფრანგული ასრულებს მნიშვნელოვან კომუნიკაციურ ფუნქციას, მაგრამ არ გააჩნია პრივილეგირებული სტატუსი, ამ შემთხვევაში იმპორტირებული ენა შესუსტებულია და არ ეფინება ადგილობრივ ენას. მსგავსი მდგომარეობა ფრანგული ენისა წარმოადგენს ადრასტულ ვარიანტს. ამ სახით იგი არსებობს მაგრებში, ალჟირში, მაროკოსა და ტუნისში,

სადაც მნიშვნელოვანი ჯგუფი მოსახლეობისა მას იყენებს როგორც უცხო ენას სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის, განათლების, მეცნიერების, მასობრივ-საინფორმაციო საშუალებების სფეროებში. საკომუნიკაციო ენას კი წარმოადგენს არაბული ენა - ხალხურ-სალაპარაკო და ლიტერატურული ფორმებით. ასეთივე ადრასტული ფორმა ფრანგული ენისა არსებობს ლიბანში, კამბოჯაში, ვიეტნამსა და ლაოსში.

თემა 11: ფრანკოფონია

ფრანგული ენის ნაციონალური და არანაციონალური ვარიანტები წარმოადგენენ დისკრეტული ფორმირების სისტემას, რომელსაც ფრანკოფონია ჰქვია. ეს არის პირობითი ერთიანობა ტერიტორიებისა და ქვეყნებისა, სადაც გავრცელებულია ფრანგული ენა და რომელსაც მოსახლეობა იყენებს. ფრანგულენოვანი სამყაროს ერთიანობა განპირობებულია მისი ისტორიული ერთიანობის ფორმირებით, ასევე მუდმივი კონტაქტებით ფრანგულენოვან მოსახლეობასა და ქვეყნებთან.

ფრანგული ენის გავრცელების არეალში ყალიბდება სპეციფიკური ვარიანტები ამ ენისა, რომლებიც გამოირჩევიან თვითმყოფადობით. ეს ვარიანტები საფრანგეთის ფრანგული ენისაგან ნორმირებულ ზეგავლენას განიცდიან. ამიტომაც ფრანგული ენის დიფერენციაცია ხორციელდება საერთო ტენდენციების ჩარჩოებში და საერთო მონაცემთა ბაზაზე. საფრანგეთის ცენტრალური როლი უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფრანგული ენა გადაიქცეს ისეთ ფორმებად მეტყველებისა, რომლებიც შექმნიდა ახალ არარომანულ ენებს.

ფრანგული ენის ვარიანტების ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა.

ენას ნაციონარულ საზოგადოებაში ეკისრება არა მხოლოდ კომუნიკაციური ფუნქცია, არამედ კოგნიტური ამოცანაც, ე.ი. ემსახუროს საზოგადოებას როგორც ეთნიკური გამოცდილების, გადაცემისა და ფორმირების საშუალება.

ენობრივ ელემენტებში იქმნება და აისახება ნაციონალური კულტურის, ამა თუ იმ ხალხების ეთნოფსი-

ქოლოგია. ენა ხალხის სულიერი ფასეულობის ფორმირების საშუალებას წარმოადგენს როგორც სამყაროს აღქმის ნაციონალური ინსტრუმენტი. სწორედ ეს მიზეზები და ფაქტორები განაპირობებენ ფრანგული ენის სხვადასხვა ვარიანტების არსებობას სხვადასხვა ფრანკოფონულ ტერიტორიებზე თუ ქვეყნებში, რომლებსაც ერთიანი ევროპული კულტურა და ფრანგულენოვანი სამყარო აერთიანებთ. ფრანგულთან მიმართებაში ისინი დასაშვებია იწოდონ რეგიონალურ ვარიანტებად. ამ ვარიანტებში ჩნდება შემდეგი სპეციფიკური ვარიანტები: 1. რეგიონალური ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ენის რეგიონალური ვარიანტისათვის; 2. სემანტიკური დივერგენტები, ისეთი ერთეულები, რომლებსაც ერთგვაროვანი ფორმები გააჩნია სხვა ვარიანტში, მაგრამ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსობრივად. 3. ფორმალური დივერგენტები, ისეთი ერთეულები და გამონათქვამები, რომლებიც ერთგვაროვანი შინაარსით სხვადასხვა ვარიანტებში სხვადასხვა გამოხატვის ფორმებს იძენენ; 4. სტატუსიანი რეგიონალიზმები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონალურ ვარიანტებში სხვადასხვა სტილისტურ შეფერილობასა და გამოყენების სხვადასხვა სიხშირეს იძენენ. სტატუსიან რეგიონალიზმებში შესაძლებელია გამოიყოს ისეთი, რომლებიც წარმოადგენენ საყოველთაო ნაციონალურს ერთი ვარიანტის საზღვრებში, ხოლო დანარჩენ ვარიანტებში გააჩნიათ მხოლოდ დიალექტური გავრცელება, ესე იგი ისინი, რომლებიც სხვა ვარიანტში კვალირიფიცირდება როგორც ნეოლოგიზმებად, ხოლო მეორეში-არქაიზმებად. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კანადური ფრანგულის

ვარიანტი, რომელშიც გვხვდება ისეთი ერთეულები თანამედროვე კომუნიკაციაში, რომლებიც საფრანგეთის ფრანგულში არქაიზმებადაა მიჩნეული და ხმარებიდან ამოღებულია. ამასთან, კანადურ ფრანგულში წარმოიშვა ისეთი ნეოლოგიზმები, რომელიც სამყაროს კანადურ აღქმას შეესაბამება. რასაკვირველია უმრავლესობა მათ შორის ჩამოყალიბდა ინგლისური ენის ზეგავლენით.

აფრიკის ქვეყნებში ფრანგული ენა აქტიურად გამოიყენება, მაშინ როცა ტრადიციულ კულტურაში იგი პრაქტიკულად მიუღებელია. აფრიკულ ფრანგულში ნეოლოგიზმების დიდი რაოდენობა არსებობს, რომლებიც აფრიკული კულტურის არტეფაქტს ასახავენ. მაგრამ ფრანგულ ენაში ტრადიციული კულტურიდან ნაკლები ელემენტები აღწევს.

რაც შეეხება კრეოლურ კულტურას, აქ პირიქით ფრანგული ენა დიდ ზეგავლენას განიცდის მისი მხრიდან. ეს გამოწვეულია არსებულ ტერიტორიებზე ლინგვოკულტურული სიტუაციის კონტინუუმით, რომელშიც დადგენილი საზღვრები არ არსებობს კულტურებსა და საკონტაქტო ენებს შორის. სწორედ ამის შედეგია, რომ ფრანგული წარმოადგენს სხვადასხვა სტილისტური და სოციალური ვარიანტების სისტემას.

ფრანგული ენის ტერიტორიული ვარიანტების სპეციფიკური ელემენტები ხშირად აღწევენ სხვა ფრანგულენოვან რეგიონთა სამყაროში. მაგ: აფრიკაში ვალონიზმების არსებობა დაკავშირებულია ბელგიის სამი აფრიკული ქვეყნის კოლონიზაციასთან: ზაირი, რუანდა, ბურუნდი, სადაც ვალონური თანაბრად შეღწეული. ვალონიზმების გარდა აფრიკაში გავრცელებულია კანა-

დიზიმებიც და ჰელვეციზიმებიც, რომლებმაც აქ შეაღწიეს საფრანგეთის ფრანგული ენის დახმარებით. აფრიკანიზმებიც საკმაოდაა გავრცელებული საფრანგეთსა და ბელგიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით საფრანგეთის ფრანგულიც მდიდარია ლოკალიზმებით, რომლებიც შესულია მის ლექსკურ ფონდში ფრანგული ენის მსოფლიოს სხვადასხვა ვარიანტებისაგან.

ფრანგებმა დიდი ხანია აითვისეს შვეიცარული წარმოშობის სიტყვები როგორცაა: fondue-ფონდიუ (გამდნარი ყველი), lisier-წუნწუხი, replat-პლატო. ფრანგულში კარგადაა ცნობილი ბელგიური სიტყვებიც, როგორებიცაა: lapinisme - გადაჭარბებული ნაყოფიერება, malinois- ბელგიური ნაგაზი, porion-სამთო ოსტატი, ან კიდევ კანადური ლექსიკა, როგორებიცაა: carcajou-მაჩვი, smart-ელეგანტური, მდიდრული.

იმ ლექსიკის რაოდენობა, რომლებიც კანადაში თანამედროვედაა მიჩნეული, ხოლო საფრანგეთში კი არქაული და ხმარებიდან გასულია, ძალზედ მრავალრიცხოვანია. შეიძლება ითქვას, რომ ასეულობით მსგავსი სიტყვა და გამონათქვამია კანადური ფრანგულის ლექსიკაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანადაში XVII–XVIII სს-ის საფრანგეთში მოქმედი ფრანგულია. უფრო მეტიც, კანადურ ფრანგულში არსებობს ისეთი ლექსიკა, რომელიც საფრანგეთში დიალექტიზმებად ითვლება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თავის დროზე კანადაში საფრანგეთის სხვადასხვა რეგიონებიდან: ნორმანდიიდან, ილ-დე-ფრანსიდან, პუატუდან და სხვა პროვინციებიდან მოსახლეობა ემიგრირებულნი იქნა, სადაც მხოლოდ ფრანგული ენის ადგილობრივი ფორმები არსებობდა, დღეს კი

მსგავსი ნაირსახეობა მეტყველებისა საფრანგეთში აღარ არსებობს.

აღსანიშნავია რომ, საფრანგეთისა და ბელგიის სასაზღვრო ზოლში, პიკარდიისა და შამპანის რეგიონებში, ვალონიზმებია გავრცელებული. ზოგიერთი ვალონიზმი ფრანგული ენის არქაიზმებს გამოხატავენ, ასევე არსებობს ჰელვეციზმების მცირე რაოდენობა ელზასის, ლოტარინგიისა და სავუას საფრანგეთის რეგიონებში შვეიცარიის სასაზღვრო ნაწილში.

სახასიათოა ისეთი ლოკალიზმების არსებობაც, რომლებიც ერთდროულად დამახასიათებელია მხოლოდ ბელგიის, შვეიცარიისა და კანადისათვის და არა საფრანგეთისათვის, ვინაიდან საფრანგეთში ევოლუციასთან ერთად ქრებოდა ძველი სიტყვები და წარმოიშობოდა ახალი, ამიტომაც ბევრი სიტყვა საფრანგეთის ლექსიკონში აღარაა, მაგრამ ფრანგულენოვან ქვეყნებში შენარჩუნებულია და ძალზედ აქტიურ ლექსიკასაც წარმოადგენს. მაგ: ბელგიაში ისეთი ფრანგ. სიტყვები როგორცაა *déjeuner*, *diner* დამოიყენება დილის საუზმისა და სადილის მნიშვნელობით, ხოლო ფრანგულში კი სადილისა და ვახშმის მნიშვნელობით. ამას გარდა, არსებობს ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ორი ქვეყნის კანადისა და შვეიცარიის ფრანგულისათვისაა დამახასიათებელი: *boucherie*-საქონლის სასაკლაო, *case postale*-სააბონენტო ყუთი; ან ბელგიასა და შვეიცარიაში: *auditoire*-აუდიტორია, *carrousel*-კარუსელი.

ამგვარად ერთიანი ფრანკოფონია ხასიათდება ერთდროულად ფრანგული ენის ვარიანტების ინტეგრაციითა და დეზინტეგრაციით. ამას საილუსტრაციოდ

ემსახურება ის უამრავი ნიმუში ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკო-სემანტიკური და ფრაზეოლოგიური ნასესხობებისა ფრანგული ენის სხვადასხვა ვარიანტებიდან, რომლებიც არსებობენ ფრანგულენოვანი სამყაროს ფართო ტერიტორიაზე.

ფრანგული ენა საფრანგეთში. ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საფრანგეთში.

ამჟამად ფრანგული ენა წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს ენას მსოფლიოში. საფრანგეთის მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ერთიანი სალიტერატურო ფრანგული ენა, მიუხედავად იმისა რომ არსებობს რეგიონალური ნაირსახეობებიც ფრანგული ენისა, რომლებსაც მხოლოდ რეგიონალური სტატუსი გააჩნიათ(გარდა ალზასის რეგიონისა, სადაც ფრანგულთან ერთად ოფიციალური სტატუსით სალიტერატურო გერმანული ენაც სარგებლობს).

15 მლნზე მეტი საფრანგეთის მოქალაქე გარდა ფრანგული ენისა იყენებს რეგიონალურ ენებსაც, ამიტომ ქვეყანაში ფართოდაა წარმოდგენილი ბილინგვიზმის სიტუაცია.

ფრანგული ენა საფრანგეთის ტერიტორიაზე ოფიციალური, ეროვნული ენაა, ვინაიდან მას იყენებს საფრანგეთის მთელი მოსახლეობა თავისი ტრადიციებით, ერთიანი კულტურით და სახელმწიფოებრიობით. საფრანგეთში არსებულ ეთნიკურ ნაირსახეობას ნიველირების ტენდენცია გააჩნია, შეინიშნება ფრანგული ენის გავრცე-

ლება და რეგიონალური ენების გამოყენების შემცირება, თუნდაც ეთნიკურ უმცირესობათა გავრცელების ზონაშიც.

საფრანგეთის ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონალურ ენებს შორის ანსხვავებენ ერთი მხრივ ენებს, რომლებიც როგორც ფრანგული, მიეკუთვნებიან რომანულ ენებს (ოქსიტანური და კატალანური ენები, ასევე იტალიურის კორსიკული ვარიანტი) და მეორე მხრივ, არარომანული ენებს (ბასკური, ბრეტონული და ფლამანდრიული ენები, ასევე გერმანულის ალზასური დიალექტი).

ოქსიტანური (ანუ ახალპროვანსული) ენა წარმოადგენს ძველპროვანსული ენის იმ ეტაპს, რომელიც ჩამოყალიბდა სამხ. საფრანგეთში XI-XIII სს-ში რომანული ენების ჩამოყალიბების პროცესში. ამ ეპოქაში პროვანსში კულტურის აყვავებასთან ერთად, რომელიც დაკავშირებულია ტრუბადურთა შემოქმედებასთან, რომანული ენის ადგილობრივი დიალექტების საფუძველზე ჩამოყალიბდა ერთიანი სალიტერატურო ენა - ოქსიტანური. ჩრ. საფრანგეთის ძალაუფლების გაძლიერებასთან ერთად და XIII ს-ში სამხ. საფრანგეთის დაპყრობამ გამოიწვია ტრუბადურთა კულტურის დაცემა და ოქსიტანური ენის კრიზისი. XIX ს-ში იგი დიალექტად იქცა. ამჟამად ამ ენით სარგებლობს 7-8 მლნ ადამიანი. ოქსიტანურ ენაში შედის პროვანსის, ლანგედოკის, გასკონიის, ოვერნის და ლიმუზინის დიალექტები.

კატალონური ენა წარმოადგენს რომანულ ენას, რომელიც ჩამოყალიბდა ესპანეთის კატალონიაში. 1659წ. კატალონიის ნაწილი (რუსილიონი და ჩრ. სარდინია) შევიდა საფრანგეთის საზღვრებში, ამგვარად დღეს კატალონიელები ცხოვრობენ ორ ტერიტორიაზე: ესპანეთსა

და საფრანგეთის აღმოსავლეთ პირენეის დეპარტამენტში. ამიტომაც ამ ენის ორი ვარიანტი არსებობს: ესპანური და ფრანგული.

სალაპარაკო კატალონური ენის ფრანგული ვარიანტი წარმოადგენს რუსილიონის დიალექტს. ამგვარად, საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელებული კატალონური ენა განიცდის ტრიგლოსიას: ფრანგული ენა (ოფიციალურ სფეროში), ნორმალიზებული ლიტერატურული კატალონური ენა(განათლების სისიტემაში), რუსილიონური დიალექტი კატალონური ენისა (საყოფაცხოვრებო კომუნიკაციურ სფეროში).

კორსიკული ვარიანტი იტალიური ენისა შედის რომანული დიალექტების ჯგუფში, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კორსიკის მცხოვრებლებს შორის. ამჟამად კუნძულის 200 ათასი მცხოვრები იყენებს იტალიური ენის ამ ლოკალურ ვარიანტს. XI საუკუნიდან კორსიკა იმყოფებოდა იტალიის ძალაუფლების ქვეშ, ხოლო 1768 წელს ის საფრანგეთს შეუერთდა. ამიტომაც ოფიციალურ სფეროებში ამჟამად კორსიკაში ფრანგულია წამყვანი ენა, ხოლო იტალიურის კორსიკული ვარიანტი მხოლოდ საყოფაცხოვრებო სფეროშია დაშვებული.

ეს ვარიანტი თავის დროზე ტოსკანური დიალექტის ბაზაზე ჩამოყალიბდა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი მოწყვეტილი აღმოჩნდა ერთიანი სალიტერატურო იტალიური ენისაგან და ამიტომაც მან განვითარების საკუთარი გზა გაიარა. ამჟამად კი იგი ფრანგული ენის დიდ ზეგავლენას განიცდის. *Lingua corsa*- ს არ გააჩნია ერთიანი ზედიალექტური ფორმა, ამიტომაც მისი საჯარო სფეროში გამოყენება შეზღუდულია.

არარომანული ენები.

ბასკური ენა ბასკების ენას წარმოადგენს, ხალხის, რომლებიც ცხოვრობს საფრანგეთის პირენეის დეპარტამენტში და ესპანეთის ჩრდილოეთში. ესპანეთში ბასკები ამჟამად 2 მლნ 200 ათას აღწევს, ხოლო საფრანგეთში 100 ათასს. ბასკების ენა არაინდოევროპულ ენათა ჯგუფში შედის, მან შეძლო წინააღმდეგობა გაეწია რომანიზაციისათვის და შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა. ორივე ქვეყანაში მისი რამდენიმე დიალექტი არსებობს, მაგრამ საფრანგეთში ყველაზე განვითარებული ლიტერატული ფორმით ლაზურდინული დიალექტი არსებობს. ესპანეთში ბასკურმა ოფიციალური სტატუსი მიიღო და ამჟამად აყვავების პროცესშია. საფრანგეთში არსებული ბასკურის დიალექტები მნიშვნელოვნად განსხვავდება ესპანეთის ბასკურის ზედიალექტური ფორმებისაგან.

ბრეტონული ენა გავრცელებულია საფრანგეთში, ბრეტანის ნახევარკუნძულზე, იგი მიეკუთვნება კელტურ ენებს. ამ ტერიტორიაზე ბრეტონელები დასახლდნენ V-VI სს-ში ინგლისიდან, სადაც მათ ანგლო-საქსონი ტომები ავიწროებდათ. XV ს-ში ბრეტანის საჰერცოგო შეუერთდა საფრანგეთის სამეფოს და ამ დროიდან ბრეტონული ენა მუდმივად განიცდიდა შევიწროებას ფრანგული ენის მხრიდან.

ამჟამად ანსხავებენ ფრანგულენოვან ბრეტანს, სადაც გაბატონებულია ფრანგული ენა და ქვემო ბრეტანს, ესე იგი ბრეტონულ ბრეტანს, სადაც ბრეტონული ენაა გავრცელებული. ამ ენაზე მოლაპარაკე ბრეტონელთა რიცხვი აღწევს 1 მლნ ადამიანს, თუმცა აღსანიშნავია რომ, ეს რიცხვი მუდმივად მცირდება, ვინაიდან ახალ-

გაზრდები ოფიციალურ ფრანგულს იყენებენ. ბრეტონული გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო სფეროში, სოფლად და პატარა დასახლებებში. საჯარო სფეროში კი ფრანგულია გაბატონებული.

ფლამანდრიული ენა წარმოადგენს ერთ-ერთ დიალექტს ჰოლანდიური ენისა, რომელიც გავრცელებულია ბელგიასა და საფრანგეთში. ბელგიაში ამ დიალექტზე საუბრობენ ფლანდრიაში, სადაც ასევე ფუნქციონირებს სალიტერატურო ჰოლანდიური ენაც. XVII ს-ში ფლანდრიის ნაწილი შეურთდა საფრანგეთს. მისი გავრცელების არეალი მცირეა, ჩრ. საფრანგეთში ბელგიის სასაზღვრო ზოლში. ამ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი 80 ათას ადამიანს აღწევს. ძირითადად მას სოფლის მოსახლეობა იყენებს საყოფაცხოვრებო კომუნიკაციაში. მთავარი ენა კი ფრანგულია.

გერმანული ალზასი XVII ს-ში საფრანგეთს შეუერთდა, თუმცა 1789 წლის რევოლუციამდე ეს ტერიტორია ავტონომიას ინარჩუნებდა და მოსახლეობა გერმანულ ენაზე საუბრობდა. XIX ს-ის დასაწყისში იგი საფრანგეთს შეუერთდა და იქ ფრანგული ენაც დაინერგა. 1871 წ. ეს რეგიონი გერმანიას დაუბრუნდა, მაგრამ I მსოფლიო ომის შემდეგ, 1918 წ. ის ხელახლა დაუბრუნდა საფრანგეთს. ამის შემდეგ ფრანგული ამ რეგიონის ერთადერთი ენა ხდება.

ამჟამად, ალზასელები იყენებენ გერმანული ენის ალზასურ დიალექტს მხოლოდ საყოფაცხოვრებო სფეროში, ხოლო საჯარო კომუნიკაციისას ფრანგულსა და ლიტერატურულ გერმანულ ენას. ალზასურ დიალექტზე მოლაპარაკეთა რიცხვი 1 მლნ 300 ათას ადამიანს აღწევს. ამ

რეგიონში ლიტერატურულ გერმანულ ენას ფრანგულ ენასთან ერთად ოფიციალური სტატუსი გააჩნია.

ფრანგული ენა საფრანგეთის ზღვისიქითა დეპარტამენტებსა და ტერიტორიებზე.

რეუნიონის თანამედროვე ეტაპის განვითარების საწყისი დაკავშირებულია საფრანგეთის საზღვაო დეპარტამენტის კუნძულად აღიარებით. თუ მანამდე რეუნიონის საზოგადოების დაყოფა მიმდინარეობდა ძირითადად ეთნიკური ნიშნით, ახლა ის ეყრდნობა სოციალურ-კლასობრივ დიფერენციაციის ხარისხს. მსხვილ, საშუალო და წვრილ ბურჟუაზიულ, ასევე ფერმერების, ჩინოვნიკების, შავ-მუშების, დაქირავებული გლეხებისა და სხვა ფენებზე. ამჟამად საფრანგეთთან ფართო კავშირების მეოხებით კუნძულზე გაჩნდა ფრანგული ენა მისი პარიზული ვარიანტით, ამ ენაზე მიმდინარეობდა სკოლებში სწავლება, ის გამოიყენებოდა ოფიციალურ სფეროში და ითვლებოდა სახალხო ურთიერთობის საშუალებად.

იქედან გამომდინარე რომ დასაწყისში კუნძულზე დამყარდა ადგილობრივი ვარიანტი ფრანგული ენისა, ხოლო შემდგომ რეუნიონის ფრანკო-კრეოლური ენა, მეტყველების მოცემულ ფორმებს შორის დამოკიდებულება განიხილება როგორც ორი სუბსტრატის დამოკიდებულება, სახელდობრ - ფრანგული ენის რეუნიონის ვარიანტი, რომელიც ითვლება ადგილობრივი კრეოლების მშობლიურ ენად, აქედან გამომდინარე ორივე ენა ერმანეთზე გარკვეულ გავლენას ახდენდა.

ამ ოპოზიციაში ჩართულია ზოგიერთი შეუსაბამობა მეტყველებაში. ერთ-ერთ მათგანს კრეოლიზებული

ფრანგული ენა ეწოდება, რომელიც ფორმირებული იქნა კუნძულის თეთრკანიანი მოსახლეობის მიერ, მაგრამ თანამედროვე ხანაში ამ ენის გამოყენების სოციალური საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. კრეოლიზებული ფრანგული ენა წინააღმდეგობაში მოდის კრეოლურ ენასთან, რომელსაც იყენებენ კრეოლები, ასევე ფრანგული ენის რეუნიონის ვარიანტს, რომელზეც მეტყველებენ ადგილობრივი ბურჟუაზიის, ინტელიგენციისა და სახელმწიფო მოხელეთა დიდი ნაწილი.

ამ თვალთახედვიდან გამომდინარე ენობრივი სიტუაცია რეუნიონის კუნძულზე წარმოადგენს დიგლოსიას, რომლის ორ პოლუსზე განთავსებულია რეუნიონის კრეოლური ენა და სტანდარტული ფრანგული ენა, მათ შორის არსებობს ასევე ფრანგული ენის ადგილობრივი ვარიანტი და კრეოლიზებული ენა.

რეუნიონის კრეოლური ენა

რეუნიონზე კრეოლურ ენაზე მეტყველებს სხვადასხვა წარმოშობის მცხოვრებთა 60%-მდე, ევროპიდან ჩამოსახლებულთა შთამომავლები, მეტისები, ემიგრანტები ჩინეთიდან, პაკისტანიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან, ყველა ამ ხალხს კრეოლებს უწოდებენ, იმის საფუძველზე, რომ მათ მშობლიურ ენას წარმოადგენს კრეოლური ენა. იგი გამოიყენება საყოფაცხოვრებო სფეროში, მაგრამ ის ასევე ფუნქციონირებს ეკლესიასა და რეკლამებში. დიდი ხნის განმავლობაში კრეოლური ენა ითვლებოდა მხატვრული შემოქმედების საშუალებად, კუნძულის ბევრი პოეტებისა და პროზაიკოსებისათვის, მასზე აგებულია შესანიშნავი ზეპირი ფოლკლორი და მდიდარი წერილობითი ლიტერატურა, მიუხედავად ამისა ამ დროისათვის შეინიშნება ნეგატიური

დამოკიდებულება მის მიმართ ადგილობრივი მთავრობისა და ჩინოვნიკების მიერ.

რეუნიონის კრეოლური ენა მიეკუთვნება ფრანკო-კრეოლურ ჯგუფს, რომელიც შეიქმნა დედამიწის სხვადასხვა რეგიონებში. ესპანურ-კრეოლურ, პორტუგალიურ-კრეოლურ და კრეოლურ ენათა სხვადასხვაობათა შორის გვხვდება ათამდე ფრანკო-კრეოლური ენა, ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ რეუნიონის კრეოლური ენა განვითარდა ადგილობრივი ფრანგული ზეპირმეტყველების საფუძველზე, არამხოლოდ ფერადკანიანი მოსახლეობის მონაწილეობით. ეს აძლევს უფლებას ზოგიერთ ენათმეცნიერს განიხილოს მეტყველების მოცემული ფორმა, როგორც ნახევრად კრეოლური ენა, ე.ი. როგორც ფრანგული ენის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

ფრანგული ენის ვარიანტები რეუნიონზე

ფრანგული ენით, როგორც მშობლიური ენით რეუნიონზე სარგებლობს მოსახლეობის თითქმის 40%, ეს გახლავთ ამ კუნძულის ნაციონალური ვარიანტი ფრანგული ენისა, იგი წარმოდგენილია რამოდენიმე ნაირსახეობით, რომელთა შორის მთავარი სტანდარტული ფრანგული ენაა, რეგიონალური ვარიანტი ფრანგული ენისა და კრეოლიზებული ფრანგული ენა.

სტანდარტული ფრანგული ენა რეუნიონზე წარმოდგენილია თავისი პარიზული ვარიანტით, მასში ზოგიერთი სპეციფიკური ლექსიკის ჩათვლით.

რაც შეეხება ფრანგული ენის **რეგიონალურ ვარიანტს**, იგი წარმოადგენს შედეგს ადგილობრივი ფრანგული ენის განვითარებისა, რომელიც თავისი დიალექტური ფორმით შემოტანილი იყო კუნძულზე პირველმოსახლეების მიერ.

წინათ 1960-იან წლებში იგი ითვლებოდა პრესტიჟულ ენად, რადგანაც ამ ენით სარგებლობდნენ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები და სახელმწიფო მოხელეები. ამჟამად ამ ენით სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ოფიციალურ, ისე საყოფაცხოვრებო სფეროში, როგორც ზეპირი, ისე წერიტი ფორმით. სტრუქტურულად ის ახლოს დგას სტანდარტულ ფრანგულ ენასთან, მაგრამ გაჟღენთილია ადგილობრივი სპეციფიკით, რომელიც ვლინდება განსაკუთრებით ადგილობრივ პრესაში, ამ მხრივ გამოირჩევა საფრანგეთის ფრანგული ენის არქაიზმები და დიალექტიზმები, ასევე ადგილობრივი კრეოლური ენის ზეგავლენა, ლექსიკური ნეოლოგიზმები და სინტაქსი, რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება სტანდარტს.

სწორედ ეს ენა გახლავთ ფრანგული ენის ნაციონალური ვარიანტი, რომლის განსაკუთრებულობაც ვლინდება არა ენობრივ სტრუქტურაში, არამედ გამოყენების ნორმაში. ფრანგული ენის ამ რეგიონალურმა ვარიანტმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი რეუნიონის ნაციონალური კულტურის განვითარებაში. ის არსებობდა საუკუნეების მანძილზე კუნძულის თეთრკანიან მოსახლეობაში, როგორც მეტყველების ყველაზე პრესტიჟული ფორმა და როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მთავარი ენა. ამას გარდა, სახელდობრ ამ ენამ გაუწია უდიდესი სამსახური რეუნიონის კრეოლური ენის ჩამოყალიბებას.

რეუნიონის კრეოლიზებული ფრანგული ენა, წარმოადგენს შედეგს თათრკანიანი და ადგილობრივი მოსახლეობის ხანგრძლივი ურთიერთობისა, რომელშიც შეწყობილია მრავალი კრეოლური ნიშანი და ითვლება უფრო მეტად ფრანგულის ნაირსახეობად, ვიდრე კრეოლური ენისა.

ევროპასთან ურთიერთობების გაფართოების თანამედროვე პირობებში მოსალოდნელია სტანდარტული ფრანგული ენის მნიშვნელობის გაზრდა და საჯარო ურთიერთობის სფეროში რეუნიუნისეული ფრანგული ვარიანტის შევიწროება, განსაკუთრებით კი საერთაშორისო არენაზე.

**თემა 12: ფრანგული ენის გავრცელების არეალი
ევროპაში; ფრანგული ენა ბელგიაში.**

თანამედროვე ბელგიის ტერიტორიაზე გავრცელებულია 3 ენა: ჰოლანდიური, ფრანგული და გერმანული.

ბელგიის ჰოლანდიური ენა ერთ-ერთი სახეობაა სალიტერატურო ჰოლანდიური ენისა, რომელიც გავრცელებულია ნიდერლანდებსა და ბელგიაში. ბელგიაში ჰოლანდიურ ენაზე საუბრობს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ჩრ. ბელგიაში, კერძოდ ფლანდრიაში, მაშინ როცა ფრანგულ ენას იყენებენ ვალონელი ბელგიელები(სამხ. ბელგია).

ფრანგული ენა ბელგიაში არსებობს სალიტერატურო ფორმითა და დიალექტებით. ფრანგული ენის დიალექტების ამ ჯგუფს უწოდებენ ვალონურ ენას. არსებული დიალექტები იყოფიან ვალონურ, პიკარდიულ, ლოტარინგიულ და შამპანის დიალექტებად. ქვეყანაში ცხოვრობს 10 მლნ მოქალაქე. ფლანდრიული მოსახლეობა 58,5% შეადგენს, ვალონელები-33,5%-ს, გერმანელები-0,5%-ს. რაც შეეხება ბრიუსელს იგი – ორენოვანია. ბრიუსელის მოსახლეობა საუბრობს ჰოლანდიურად და ფრანგულად.

ქვეყნის ისტორია.

რომანიზაციამდე 51 წ. ჩვ. წ. აღ-მდე თანამედროვე ბელგია დასახლებული იყო ბელგიელებით. იმ დროისათვის ბელგიის ტერიტორია უფრო დიდი იყო, ვიდრე თანამედროვე ბელგიისა. რომის იმპერიის ეპოქაში ბელგია რომანიზებული იქნა, მაგრამ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ და V ს-ში ფრანკთა მიერ ჩრ. ევროპის დაპყრობის შემდეგ ბელგია გახდა ფრანკთა სახელმწიფოს ცენტრი. ვერდენის ხელშეკრულების 843 წ. კარლოს დიდის

იმპერია დაიყო მისი შვილიშვილების მიერ სამ ნაწილად-
francia occidentalis- დღევანდელი საფრანგეთი, francia
orientalis – დღევანდელი გერმანია, francia media - ლო-
ტარინგია.

ბელგიის ტერიტორიის ისტორიული ჩამოყალიბების
ეტაპები მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება წარმოვად-
გინოთ: XV ს-ში ყალიბდება ნიდერლანდების ძლიერი სა-
ხელმწიფო, რომელიც შეიცავდა ჰოლანდიას, ბელგიასა და
ლუქსემბურგს.

1516 წ. ნიდერლანდები ბელგიასთან ერთად ხდება
ესპანეთის ძალაუფლების ქვეშ.

1579 წ. ბელგიის ჩრ. ტერიტორიები ღებულობენ
დამოუკიდებლობას, ხოლო სამხრეთი რჩება ესპანეთის
მონარქიის ძალაუფლების ქვეშ.

1713 წ. ბელგია გადადის ავსტრიის მფლობელობაში.

1795 წ. ბელგია დაიპყრო ბონაპარტისეულმა საფ-
რანგეთმა.

1815 წ. ბელგია განთავისუფლდა საფრანგეთის ბატო-
ნობისაგან და გაერთიანდა ჰოლანდიასთან.

1830 წ. ბელგიაში მოხდა ჰოლანდილების წინაა-
ღმდეგ აჯანყება და ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ბელგიაში.

რომანიზაციის დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ
ლათინურმა ენამ და რომის კულტურამ შეცვალა ეროვ-
ნული ენა და კულტურა. ვალონური დიალექტი კი
ჩამოყალიბდა რომის იმპერიის დაცემის შემდეგ VIII-IX
სს-ში. სწორედ ამ დიალექტზე იყო შედგენილი უძველესი
ადმინისტრაციული ხასიათის წერილობითი ძეგლი:
შევრის ქარტია(1194წ). XIII ს-დან ვალონური დიალექტი

ნელ-ნელა შეიცვალა ფრანციული დიალექტით, რომელიც გავრცელდა საფრანგეთის ილ-დე-ფრანსიდან. ეს დიალექტი მალე გახდა ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება ფლანდრიის მოსახლეობისათვის. ვალონური რჩებოდა საყოფაცხოვრებო კომუნიკაციის ენად, ხოლო ფლანდრიული ნაწილობრივ იყო დაშვებული ოფიციალურ სფეროში.

XVI–XVII სს-ში ბელგიაში ფლანდრიული ენისა და კულტურის ინტენსიური განვითარება შეინიშნებოდა, ეროვნული ენისადმი მეტი ინტერესი გაიზარდა, ამიტომაც ფრანგული ენა შევიწროებას განიცდიდა ოფიციალურ სფეროში. ბელგიის რომანულ ნაწილში კი ძლიერდებოდა ფრანგული ენის პოზიციები: მან შეაღწია არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლის მოსახლეობაშიც. საფრანგეთის მიერ ბელგიის დაპყრობამ ეს პოზიციები კიდევ უფრო გააძლიერა. ფლანდიური ენა 20 წლის განმავლობაში ოფიციალურად არ გამოიყენებოდა. 1815 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ერთადერთ ოფიციალურ ენად ფლანდრიული გამოცხადდა. ფრანგული კი ძირითად ენად მხოლოდ ვალონიაში დარჩა. 1830 წელს ბელგიაში 2 ოფიციალური ენა არსებობდა – ფლანდრიული და ვალონური. ამასთან ფრანგულენოვანმა ბურჟუაზიამ შეძლო ხელში ჩაეგდო ქვეყნის ყველა რეგიონის ძალაუფლება, რისი წყალობითაც ორ ქვეყანას შორის ანტაგონიზმი გაჩაღდა. ამავე წელს ნაციონალურ ენაბად აღიარეს: ფრანგული, ფლანდრიული და გერმანული, მაგრამ უმთავრეს ოფიციალურ ენად მაინც ფრანგული ითვლებოდა. სწორედ ფრანგულ ენაზეა შედგენილი ბელგიის 1830 წლის კონსტიტუცია.

ოფიციალურად ფლანდრიელებმა თავიანთი ეროვნული ენის მეორე ენის სტატუსის მინიჭებას ნაწილობრივ მიაღწიეს 1898 წელს. 1932-38 წწ-ის კანონის თანახმად ოფიციალურ ენებად აღიარებული იქნა ტერიტორიული პრინციპებით გავრცელებული ენები, ხოლო 1960 წელს ბელგიაში ზუსტი ენობრივი საზღვრები დადგინდა. XX ს-ში აფრიკაში ბელგიამ კოლონიური ტერიტორიები მიიღო (რუანდა, ბურუნდი, ბელგიური კონგო). ამ კოლონიებში გავრცელებული იყო მხოლოდ ფრანგული ენა. XX ს-ში ვალონური ამოიღეს განათლების სისტემიდან, სწავლების მთავარ ენად ფრანგული გამოცხადდა.

ბელგიური ფრანგული ენა ხასიათდება ზოგიერთი რეგიონალური თავისებურებებით. მნიშვნელოვანი განსხვავებები საფრანგეთის ფრანგულსა და ბელგიის ფრანგულს შორის არ არსებობს, თუმცა რეგიონალური გადახრები საერთო ფრანგული სტანდარტული ნორმებისაგან მაინც დაშვებულია.

რაც შეეხება ბრიუსელს, მისი მოსახლეობის უმრავლესობას ფრანგულენოვანი ბელგიელები შეადგენენ.

ფრანგული ენა შვეიცარიაში.

შვეიცარია კონფედერაციული სახელმწიფოა, რომელშიც წარმოდგენილია 4 ენა: გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული. მათ გარდა ქვეყანაში არსებობს ფრანკო-პროვანსული, ალემანური და რეტორომანული დიალექტებიც. 1995 წ. შვეიცარიის მოსახლეობა შეადგენდა 7 მლნ ადამიანს, მათ შორის გერმანულენოვანია - 63,6%, ფრანგულენოვანია - 19, 2%, იტალიური -7, 6%, რეტორომანული - 0. 6%. ამჟამად შვეი-

ცარიაში შეინიშნება უმნიშვნელო მატება ფრანგულენოვანი და იტალიურენოვანი მოსახლეობისა, ხოლო გერმანულენოვანი და რეტორომანულენოვანი მოსახლეობის რიცხვი კლებულობს. 1848 წ კონსტიტუციის თანახმად გერმანულმა, ფრანგულმა და იტალიურმა ოფიციალური სტატუსი მიიღეს, რაც დღემდე გრძელდება. მთელ კონფედერაციაში დამყარებულია ფრანკო-გერმანული ბილინგვიზმი. კანონები შვეიცარიაში ქვეყნდება გერმანულ ენაზე და ითარგმნება ფრანგულად. ქვეყნის ოთხივე ენა გამოიყენება ოფიციალურ სფეროებში თავიანთი გავრცელების არეალში.

ადმინისტრაციულად ქვეყანა 23 კანტონადაა დაყოფილი, 7 მათგანი ფრანგულენოვანია, აქედან 4 მთლიანად ფრანგულენოვანია: ვო, ჟენევა, ნეიშტელი, ჟიურა, ხოლო 3 ნაწილობრივ ფრანგულენოვანია: ვალე, 2/3 ფრიბურგისა, და 1/3 ბერნისა. შვეიცარიაში ფრანგული ენა გერმანულთან ერთად წარმოადგენს დიგლოსიას, რომელშიც ფრანგული არსებობს სალიტერატურო, სალაპარაკო და დიალექტური ფორმებით, ხოლო გერმანული სალიტერატურო და დიალექტური ფორმებით. ფრანგულენოვანი მოსწავლეებისათვის სკოლებში გერმანულია სავალდებულო უცხო ენა.

ფრანგული და ფრანკო-პროვანსული დიალექტები.

თავდაპირველად ფრანკო-პროვანსული დიალექტი საყოფაცხოვრებო სფეროში საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებდა, ხოლო სალიტერატუროდ ლათინური გამოიყენებოდა. ფრანკო-პროვანსულს “patois” (მდაბიო) სტატუსი გააჩნდა, XIII ს-დან კი პრესტიჟულ სალიტერატურო ენად საფრანგეთში ფრანგული ითვლებოდა - langue d'oïl.

თანდათან ფრანგულმა განდევნა ლათინური ყველა სფეროდან, მაგრამ ფრანკო-პროვანსული დიალექტი დიდხანს გამოიყენებოდა სოფლად.

XVI საუკუნეში კალვინის რეფორმების შედეგად ფრანკო-შვეიცარულ კანტონებში ბიბლიის კითხვა ფრანგულად ხდებოდა. XVII საუკუნეში კი შვეიცარიაში სალიტერატურო ფრანგულმა შეაღწია. ეს მოვლენები ემთხვეოდა ბელგიაში ფრანგულის გავრცელების პერიოდს, მაგრამ განსხვავდებოდა კანადაში ფრანგული ენის გავრცელებისაგან.

შვეიცარულ ფრანგულს XVII ს-დან ხოტბას ასხამდნენ და ადიდებდნენ სწავლულები. XIX ს-ში კი ფრანკო-პროვანსული დიალექტი სკოლებში შეიცვალა სალიტერატურო ფრანგული ენით. ქვეყანაში გამოჩნდა ლექსიკონები, რომელშიც სწორი ვარიანტები იყო წარმოდგენილი, ამგვარი წმენდის შედეგია, რომ დღეს ფრანკო-შვეიცარიელების მხოლოდ 2% იყენებს ფრანკო-პროვანსულ დიალექტს (ისიც ხანდაზმული ასაკის პირები).

ფრანკო-შვეიცარიული პიურიზმი.

ფრანკო-შვეიცარიელთა დამოკიდებულება ფრანგული ენისადმი ყოველთვის იყო პიურისტული. თავიდანვე დანერგილი ფრანგული ენა სალიტერატურო-სალაპარაკო ფორმით წარმოადგენდა მეტყველების მაღალ განვითარებულ ფორმას, რომელიც დიდი პრესტიჟით სარგებლობდა მოსახლეობაში. ეს ენა დამაკმაყოფილებელი იყო და არ მოითხოვდა სერიოზულ გარდაქმნებს. სწორედ ამიტომაც ის განსაკუთრებულ დაცვასა და მოვლას ითხოვდა. გერმანიზმების წინააღმდეგ ბრძოლა შვეიცარიულ

ფრანგულში პროვოცირებული იყო XIX-XX სს-ში. II მსოფლიო ომის დროს ეს პოლემიკა გაიზარდა და შვეიცარიის მოსახლეობას შორის შეხედულებები გაიყო. ამ პერიოდში გერმანული სიტყვების გამოყენება შეუძლებელი გახდა. რაც დღესაც გრძელდება. ზემოაღნიშნულიდან ნათელია, თუ რატომ არ განსხვავდება მნიშვნელოვნად შვეიცარული ფრანგული საფრანგეთის ფრანგულისაგან:

1. შვეიცარიაში ფრანგული პირდაპირ საფრანგეთიდან შევიდა.

2. ის ყოველთვის დაცული იყო ადგილობრივი ფრანკო-პროვანსული დიალექტების მხრიდან.

3. თავისი განვითარების მანძილზე იგი მუდამ ორიენტირებული იყო საფრანგეთის ფრანგული ენისაკენ.

4. განსაზღვრული დროიდან მან უკუაგდო გერმანიზმები, რომელთანაც იგი მუდმივ კონტაქტშია.

5. შვეიცარული ფრანგული არ იმყოფება პირადაპირ კონტაქტში ქვეყნის სხვა ენებთან-იტალიურთან და რეტორომანულთან.

შვეიცარიის ფრანგული შეიცავს 3-4 ათას სპეციფიკურ ერთეულს, ლექსიკურ ნეოლოგიზმებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ ქვეყნის კულტურული ცხოვრებისათვის, ასევე განსაკუთრებულ სემანტიკურ და ფრაზეოლოგიურ ელემენტებს. ეს სპეციფიკური ერთეულები შეადგენენ ბაზას შვეიცარიის ფრანგული ენის ლექსიკონისა, მათ შორის შეიძლება გამოიყოს 1987 წ. გამოქვეყნებული შვეიცარულ-რომანული ლექსიკონი Dictionnaire suisse - romand, რომლის ავტორებიც არიან ანდრე ტიზო და პიერ კნეშტი.

*თემა 13: ფრანგული ენის გავრცელების არეალი
ამერიკის კონტინენტზე*

ფრანგული ენა კანადაში.

ჩრ. ამერიკის ტერიტორიების დალაშქვრა ევროპელებმა XVI საუკუნიდან დაიწყო. ძირითადად ესენი გახლდათ ზღვაოსნები ინგლისიდან, პორტუგალიიდან და საფრანგეთიდან.

1534 წ. წმ. ლავრენტის სანაპიროზე ფრანგებმა ხის ჯვრის აღმართვით ამ ტერიტორიის კოლონიზაცია დააკანონეს. ჩასახლებულმა ფრანგებმა ააშენეს საცხოვრებელი სახლები, ადმინისტრაციული შენობები, სკოლები და სხვა, ხოლო კვებეკის დასახლებას 1608წ ჩაეყარა საფუძველი, მონრეალი კი XVII ს-ს 40-იან წლებში ქალაქად იქცა. უკვე 100 წლის შემდეგ ჩრ. ამერიკის ამ ნაწილში 40 ათასზე მეტი ფრანგი ემიგრანტი და მათი შთამომავლები ცხოვრობდნენ.

პარალელურად კანადაში ინგლისის კოლონიებიც ყალიბდებოდა. ტერიტორიული დავა 1744წ საფრანგეთსა და ინგლისს შორის ომში გადაიზარდა. 1748 წ ეს ომი ზავით დასრულდა, რომლის თანახმადაც ფრანგებმა ბევრად ნაკლები ტერიტორია მიიღეს, ვიდრე ომამდე ჰქონდათ. 1759წ. ინგლისელებმა დაიპყრეს კვებეკი, 1760წ. კი - მონრეალი. 1791წ. კანადა მთლიანად შედიოდა ინგლისის დედოფლის ძალაუფლების ქვეშ. ამის გამო კანადა პოლიტიკური, სავაჭრო, ეკონომიკური ინტერესების გამო ორიენტირებული იყო დიდი ბრიტანეთისაკენ. ამიტომაც ინგლისური გახდა ამ ტერიტორიის ოფიციალური ენა. მოგვიანებით, როცა ქვეყანაში თანამედროვე

საწარმოები განვითარდა, ინგლისური უკვე სამრეწველო ენაც გადაიქცა. რაც შეეხება ფრანგულ ენას, იგი მხოლოდ საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ენად დარჩა.

მიუხედავად ამ წნეხისა, ფრანკო-კანადელებმა შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ კულტურული ასიმილაციისათვის და შეენარჩუნებინათ თვითმყოფადი კულტურა და ენა. შეინიშნებოდა პიურისტული მიდგომები, კერძოდ ელაპარაკათ ისე როგორც განათლებული ფრანგები ლაპარაკობდნენ, ესე იგი ცდილობდნენ დაეცვათ სალიტერატურო ფრანგული ენის კლასიკური ნორმები.

კანადის თანამედროვე ენობრივი სიტუაცია.

XX ს-ის 60-იან წლებში დაიწყო ფრანკო-კანადელების ეროვნული აღმავლობა. ისინი აქტიურად აკრიტიკებდნენ ანგლო-ამერიკულ პოლიტიკას და ქვეყნის ეკონომიკას, გაღვივდა ნაციონალური სეპარატიზმისა და დამოუკიდებლობის იდეები. ამ პერიოდს ეწოდა "წყნარი რევოლუცია"- "Révolution tranquille".

ფრანკო-კანადელებმა უარი თქვეს ანგლო-ამერიკულ ორიენტაციაზე და უპირატესობას ფრანგულ კულტურას ანიჭებდნენ. ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მივიწყებული ფრანგი-კანადელების დიალექტი "ჟუალი". მათ აღიარეს, რომ თუ ისინი ფრანგულის ამ ვარიანტზე ლაპარაკობდნენ, ესე იგი ეს მათი მშობლიური ენა იყო. ბრძოლის შედეგად ფრანკო-კანადელებმა შეძლეს ძალიან მალე ფრანგული ენისათვის საერთო სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭების მიღწევა. 1969-1974წწ. მიიღეს ფედერალური კანონი, რომლის თანახმადაც ფრანგული ოფიციალურ ენად გამოცხადდა კვებეკში და იგი

სავალდებულო ენად გამოცხადდა ეკონომიკურ სექტორში, ვაჭრობაში, სოციალურ სფეროში(ეტიკეტებზე, აფიშებზე, განცხადებებში, საგზაო ნიშნებზე და ა.შ.).

1977წ. კვებეკის პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი “ფრანგული ენის ქარტია”, რომელიც ადასტურებდა ფრანგული ენის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას სახელმწიფო და ადმინისტრაციულ სფეროებში. 1980 წ. კი ქვეყანაში მიღებული კონსტიტუცია ადასტურებს ფრანგული და ინგლისური ენების ოფიციალურ თანასწორობას კანადაში.

კანადა საფრანგეთის შემდეგ მეორე დიდი ფრანგულენოვანი ქვეყანაა მსოფლიოში. 26 მლნ კანადის მცხოვრებთა შორის ფრანგული 6 მლნ-თვის მშობლიური ენაა. ფრანკო-კანადელები ცხოვრობენ აღმოსავლეთ კანადაში: კვებეკის პროვინციაში(80%), ნიუ-ბრანსუიკში(40%) და ონტარიოში(12%). ფრანკო-კანადელებს შორის ანსხვავებენ კანადელებსა და აკადიელებს. აკადიას ეკუთვნის კანადის აღმოსავლეთი პროვინციები: ნიუ-ბრანსიუკი და ახალი შოტლანდია. კვებეკი დღეს ორენოვანია (ინგლისური და ფრანგული), ესე იგი ადგილი აქვს დიგლოსიას. იმ პროვინციებში, სადაც ეს ენები მჭიდრო ურთიერთკავშირშია, ისინი ერთმანეთზე განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენენ.

სალიტერატურო ფრანგულს კვებეკელი ინტელიგენცია იყენებს, ხოლო ჟუალიუს დაბალი ფენა და მონრეალის მოსახლეობა.

XX საუკუნეში კანადაში ფრანგული ენის განვითარების შემდეგი ტენდენციები წარიმართა:

1. ევროპული სტანდარტებისაკენ ორიენტაცია

2. კანადის ფრანგული ენის მდაბიომეტყველებისადმი (ხალხური) ლოიალური დამოკიდებულება

3. მდაბიომეტყველების ევროპის სტანდარტებთან შერწყმა.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ კანადაში აირჩიეს ფრანგული ენის გავითარების მესამე გზა. ამჟამად კი კანადაში ყალიბდება ფრაგულის ისეთი ვარიანტი, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ-საკომუნიკაციო და საერთაშორისო ურთიერთობის საშუალებას.

1970-80-იან წლებში კანადაში დაიწყო მთელი რიგი ღონისძიებები ფრანგული ენის სრულყოფის მიმართულებით. მთავარი ყურადღება მიმართული იყო როგორც სალიტერატურო, ასევე ზეპირმეტყველების გამდიდრებისათვის. მთავარი ბრძოლა წარიმართა ანგლიციზმებისა და მდაბიომეტყველების წინააღმდეგ. მიზანი გახდა ფრანგული ენის ნორმალიზება და მსოფლიო სტანდარტებთან გათანაბრება. ამ მხრივ წარიმართა ადგილობრივი მეცნიერების მთელი რიგი კვლევები, ქვეყნდებოდა მისაღებ სიტყვათა და გამოთქმათა სიები. XVII ს-ში ბელგიელმა მღვდელმა პოტიემ კანადაში ყოფნის დროს შეადგინა კანადიზმების გრძელი სია, ხოლო კანადელმა მეცნიერებმა მხოლოდ XIX ს-ში მისცეს ამ კვლევას დესკრიპციული ხასიათი. იმ დროის შრომებს შორის გამოირჩევა ოსკარ დანის “ფრანკო-კანადური გლოსერები”(1880) და სილვია კლაპენის “ფრანგულ კანადური ლექსიკონი”(1894).

XXს-ში დაიწყო კანადური ფრაგულის ნამდვილი სამეცნიერო კვლევები, ამ მიზნით ეწყობოდა ექსპედიციები ფრანგულენოვან პროვინციებში, მთავარი ამოცანა

მეცნიერებისა გახდა კანადის ფრანგული ენის ატლასის შედგენა. ათასობით დაგროვილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეადგინეს “კვებეკის ფრანგული ენის თეზაურუსი” – Trésor de la langue française au Québec”.

ამჟამად მეცნიერთა ამ ჯგუფს ხელმძღვანელობს კლოდ პუარე. ამ ჯგუფის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად კანადაში ჩნდება მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული შრომები და ანალიტიკური დოკუმენტები. ბოლო დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუბლიკაციად ითვლება პუარეს “Dictionnaire historique de la langue française au Québec”.

ფრანგული ენა ლუიზიანაში.

ლუიზიანა შეერთებული შტატების სამხრეთი შტატია, რომლის მოსახლეობაც უმეტესად ფრანკოფონებს წარმოადგენს. 1682 წელს ამერიკელმა მკვლევარმა, რობერ კავალიე დე ლა სალმა ეს ტერიტორია გამოაცხადა საფრანგეთის მონარქიის საკუთრებად. ლუდოვიკო XIV-ს საპატივცემულოდ მას ლუიზიანა უწოდეს. როგორც ვიცით დიდ ბრიტანეთთან მარცხის შემდეგ საფრანგეთმა კოლონიების ორი მესამედი დაკარგა. დამარცხების შემდეგ უმრავი ფრანგი დაბრუნდა ევროპაში, ზოგმა ბრიტანეთის ერთგულების ფიცი მიიღო, ხოლო ის ვინც არ დაემორჩილა დიდი ბრიტანეთის ბატონობას დეპორტირებულნი იქნენ 1755წ. ლუიზიანის აღმოსავლეთ ნაწილში. 1763წ. პარიზის გადაწყვეტილების მიხედვით აღმოსავლეთ ლუიზიანა გადაეცა ბრიტანელებს, ხოლო დასავლეთი ნაწილი ესპანელებს. აღსანიშნავია, რომ ლუიზიანის ესპანურ ნაწილში ლოიალური მმართველობის წყალობით ფრანგული ენა და კულტურა შენარ-

ჩუნდა. 1800წ. ნაპოლეონის წყალობით ლუიზიანა საფრანგეთს დაუბრუნდა, მაგრამ 1803წ. სერიოზული ფინანსური პრობლემების გამო ნაპოლეონმა ეს ტერიტორია შეერთებულ შტატებს 15 მლნ დოლარად მიჰყიდა. ამგვარად გახდა ლუიზიანა ამერიკის XVIII შტატი, რამაც ორჯერ გაზარდა მისი ტერიტორია..

XIXს-ში ლუიზიანაში ჩამოყალიბდა მოსახლეობის 3 ძირითადი ჯგუფი:

1. კოლონიური ფრანგები, რომლებიც საუბრობდნენ ფრანგული ენის ადგილობრივი ვარიანტით.

2. აკადიელები, რომლებიც საუბრობდნენ მათ მიერ შემოტანილი ფრანგულით და რომელსაც ისინი კაიუნის უწოდებდნენ.

3. შავკანიანი მონები, რომლებიც ლაპარაკობდნენ კრეოლურ ენაზე, რომელიც ჩამოყალიბდა ლუიზიანაში სხვადასხვა ენოვან მონებში აფრიკული და ფრანგული ვარიანტებით.

1921წლის კონსტიტუციით ფრანგული ენა გაძევებულად გამოცხადდა ლუიზიანის სკოლებიდან. ამ ასიმილაციის შეჩერება შეძლეს მხოლოდ ქვეყნის შიგნით აკადიელმა პლანტატორებმა და შავკანიანმა მონებმა სამხ. ლუიზიანაში. XX ს-ის 40-60 –იან წლებში ფრანგული გამოიყენებოდა მხოლოდ უფროს თაობაში, ხოლო ახალგაზრდობა უკვე ინგლისურენოვანი ამერიკელები ხდებოდა. ამის ფონზე დაიწყო ფრანგული ენის დაკარგული პოზიციების აღსადგენი მოძრაობა. შეიქმნა ორგანიზაცია – CODOFIL-COUNCIL FOR THE DEVELOPMENT OF FRENCH IN LOUISIANA. ამ ორგანიზაციის მთავარი მიღწევა სკოლებში ფრანგული ენის სწავლების შეტანა

იყო. თანდათან ეს მოძრაობა გაფართოვდა და პოპულარული გახდა ადგილობრივი ფრანგულის ვარიანტის ორიენტირება ევროპული სტანდარტებისაკენ. 1983 წ. საბჭომ მიაღწია იმას, რომ დაწყებით კლასებში სტანდარტული ფრანგული ისწავლებოდა, რამაც ერთგვარი სიძნელები შექმნა, ვინაიდან ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ სტანდარტულ ფრანგულს, სახლში კი საუბრობდნენ ფრანგულის ლოკალური ვარიანტით. მიუხედავად ამისა, ამ ორგანიზაციის საქმიანობის წყალობით ლუიზიანაში საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი კაიუნის ენისა და კულტურის აღორძინებას.

ამჟამად წამყვანი ენა ამ რეგიონში ინგლისურია, ხოლო ფრანკოფონები იყენებენ კაიუნს, რომელსაც გამოყენების მიხედვით მეორე ადგილი უკავია რეგიონში. ეს ერთადერთი ვარიანტია იქ ფრანგული ენისა, ხოლო ლუიზიანის კრეოლური ენა კრეოლურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და არა ფრანგული ენის ვარიანტებს.

კაიუნს იყენებს 200 ათასი ლუიზიანელი ფრანკოფონი, რომელთა წინაპრები აკადიიდან დასახლდნენ XVIII ს-ში. კაიუნი მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგადფრანგული სტანდარტისაგან. გამოკვლევების მიხედვით 1980 წ. ლუიზიანაში 29% ფრანკოფონი იყო, 1990წ. კი – 40%. ლუიზიანის ფრანკოფონთა 33% საუბრობს სტანდარტული ფრანგულით, 58% კაიუნით და 9% კრეოლური ენით.

ამგვარად, ლუიზიანაში კაიუნი გადადის ფრანგული ენის ადგილობრივ დიალექტში, ხოლო სალიტერატურო ფრანგული ორიენტირებულია პარიზის ფრანგული ენისაკენ.

თემა 14: ფრანგული ენა ალჟირში.

ალჟირში კოლონიზაციის დროს ფრანგული ენა ზეპირმეტყველებითი ფორმით არსებობდა. მას დაბალი ფენის ფრანგი კოლონისტები იყენებდნენ. ამ მდაბიომეტყველებას pataouète -ს უწოდებდნენ. ის ხასიათდებოდა ლოკალური ლექსიკით, რომელიც შეიცავდა ალჟირის ხალხთა ენებიდან ნასესხობებს. ფრანგული ენის ეს ვარიანტი თანაარსებობდა ფრანგული ენის სალაპარაკო-სალიტერატურო ვარიანტთან, რომელსაც იქ მცხოვრები ფრანგების უმრავლესობა იყენებდა, ხოლო სტანდარტულ ფრანგულს იყენებდა მხოლოდ ადგილობრივი ინტელიგენცია და მაღალი რანგის ჩინოვნიკები.

კოლონიზაციის დროს, კოლონისტების მეტყველებასთან ერთად ვითარდებოდა ფრანგული ენის არაბულ-ბერბერული ვარიანტი. ფრანგული ენის ათვისებისას ალჟირის არაბული ენა აქტიურად სესხულობდა ფრანგულ ლექსიკას და პირიქით ფრანგული არაბულს.

კოლონიური ალჟირის ფრანგული ენა წარმოადგენდა არა მხოლოდ სოციოლინგვისტურ, არამედ კულტურულ რეალობასაც. ეს ენა ალჟირის შესანიშნავი პოეზიისა და პროზის შექმნის საშუალება იყო, რომელმაც აითვისა არაბულ-ბერბერული კულტურის ბევრი ელემენტი.

თანამედროვე ენობრივი სიტუაცია.

ალჟირის თანამედროვე ენობრივი სიტუაცია წარმოდგენილია შემდეგი ენებისა და მისი ვარიანტების ურთიერთკავშირით:

– ალჟირელების მშობლიური ენებია: ტამაზიგბტი (ბერბერთა ენა), არაბული ენის ადგილობრივი დიალექტი, არაბული ენის ლიტერატურული ვარიანტი.

– უცხო ენებია: ფრანგული, ინგლისური, ესპანური.

ტამაზიგბტი სამართლიანად მიეკუთვნება სუბსტრატთა რიცხვს დღევანდელი ალჟირის ენობრივ სიტუაციაში.

არაბული ენა სოციოლინგვისტურ პლანში წარმოადგენს რთულ სტრუქტურას. ერთი მხრივ, ეს კლასიკური არაბული ენა დაკავშირებულია წმ. ყურანის ტექსტთან და ისლამურ რელიგიასთან. VII ს-ის ამ ენას დიდი ცვლილებები არ განუცდია თავისი განვითარების გზაზე. მეორე ნაირსახეობა არაბული ენისა ალჟირში წარმოდგენილია მისი სალიტერატურო ფორმით. ლიტერატურული არაბული ჩამოყალიბდა როგორც საყოველთაო ფორმა არაბული სახელმწიფოების კლასიკური არაბული ენის მოდერნიზაციის შედეგად. ლიტერატურული არაბული ენა ვითარდებოდა ფრანგულ ენასთან მჭიდრო კავშირში. დღეს, სწორედ არაბული ენის ეს ფორმაა წარმოდგენილი ალჟირის რადიოსა და ტელევიზიაში, ასევე განათლების სისტემაში, მეცნიერებასა და პოლიტიკაში, დიპლომატიურ და ადმინისტრაციულ სფეროებში.

მესამე ნაირსახეობა არაბული ენისა წარმოდგენილია სალაპარაკო დიალექტით. მეტყველების ეს ფორმა წარმოადგენს მშობლიურ ენას ქვეყნის მოსახლეობის 85%-თვის. ბევრ ალჟირელს საშუალება არ აქვს მიიღოს განათლება სალიტერატურო არაბულ ენაზე ან ფრანგულ ენაზე, ამიტომაც სწორედ არაბული დიალექტია ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება, მიუხედავად იმისა

რომ სალიტერატურო და დიალექტურ არაბულს შორის დიდი განსხვავებაა.

თანამედროვე ენობრივი პოლიტიკა.

1962 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ნაციონალურ ენად არაბული ენა გამოცხადდა, ხოლო ფრანგული I უცხო ენად. თუმცა ფრანგულ-არაბულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მომდევნო წლებში უფრო გართულდა სიტუაცია ფრანგულთან დაკავშირებით 1968 წლის დეკრეტში მთავრობა ავალდებულებდა უმაღლეს ჩინოვნიკებს არაბული ენის ათვისებას. 1976 წლის “ნაციონალური ქარტიის” მიხედვით კი არაბული ენა ყველა სფეროში დაინერგა, ხოლო 1991 წლის მთავრობის დადგენილებით აიკრძალა ნებისმიერი უცხო ენის გამოყენება სახელმწიფო მართვის სფეროებში. არაბიზაციისა და ფრანციზაციის მომხრეთა შორის წინააღმდეგობა ოპოზოციაში გადაიზარდა. ამ ორი იდეურ-პოლიტიკური ძალების ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული ალჟირში ფრანგული და არაბული ენების მომავალი. მთავრობის დადგენილების თანახმად ალჟირის ენებს გამოეყო შემდეგი პროცენტული კვოტები

ოფიციალურ სფეროებში:

ლიტერატურული არაბული - 52,10

არაბული ენის დიალექტი - 7,24

ტამაზიგხტი - 2,34

ფრანგული - 32,47

ინგლისური - 5,84

რეალურ ცხოვრებაში კი შეიმჩნევა შემდეგი გადახრები ოფიციალური ციფრებიდან:

ლიტერატურული არაბული – 21,90

არაბული ენის დიალექტი – 50,40

ტამაზიგხტი - 9,40

ფრანგული – 16,10

ინგლისური – 2,20

როგორც ვხედავთ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურულ არაბულს, დიალექტურსა და ფრანგულს.

ფრანგული ენის ალჟირული ვარიანტი.

ფრანგული ენა თანამედროვე ალჟირში წარმოდგენილია დიგლოსიით, დღეს ფრანგულს ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 23 მლნ ადამიანი იყენებს. ფრანგული ენის ცოდნის მაღალი დონე აღინიშნება მხოლოდ ადგილობრივ ინტელიგენციაში, მწერლებში, მასწავლებლებში, მაღალი რანგის ჩინოვნიკებში. ფრანგულ ენაში ალჟირიზმები მრავლადაა. არსებობს:

– ლექსიკური ალჟირიზმები (ნეოლოგიზმები და ნა-სესხებები).

– სემანტიკური ალჟირიზმები (მნიშვნელობათა შერწყმა, შევიწროება და გაფართოება, სემანტიკური ტრანსფორმაციები).

– გრამატიკული ალჟირიზმები (ლექსიკური ერთეულების გრამატიკული კატეგორიების შეცვლა, მორფო-სინტაქსური სტრუქტურის გარდაქმნა).

თავისებურებათა ეს ტიპები იოლად გვხვდება ბეჭდვით ტექსტებში (მასმედიაში, მხატვრულ ლიტერატურაში, ოფიციალურ დოკუმენტაციაში), ასევე ალჟირელების მეტყველებაში, მოსწავლეებში, სტუდენტებში, მასწავლებლებში და ა.შ. 2002 წლის გამოცემულ წიგნში “*Le français en Algérie*” და *Lexique et dynamique des langues*,

წარმოდგენილა დაახლოებით 1,5 ათასი ალჟირიზმი. როგორც წესი ეს სიტყვები დახასიათებელია ადგილობრივი რეალიებისათვის და არა ფრანგულენოვანი მოსახლეობისათვის.

სახასიათოა ისიც, რომ ალჟირში იქმნება სპეციფიკური ლექსიკა, რომლებსაც საფუძვლად უდევს ფრანგული ტრადიციული სიტყვათწარმოების ფორმები: სუფიქსაცია და პრეფიქსაცია, ვინაიდან თითოეული ენა ცდილობს მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი დაიკავოს საზოგადოების მაღალ ეშელონებში.

თემა 15: ფრანგული ენა აფრიკის კონტინენტზე

ფრანგული ენის განვითარების ისტორიული პირობები აფრიკაში

თანამედროვე კონტაქტების დასაწყისი ევროპასა და აფრიკას შორის მიეკუთვნება XV-XVIII საუკუნეებს, როცა ევროპელებმა „აღმოაჩინეს“ ახალი კონტინენტი, შემდეგ კი დაამყარეს აფრიკელებთან სავაჭრო ურთიერთობები და ჩაუყარეს საფუძველი მომავალ კოლონიურ სისტემას. რაც შეეხება ურთიერთობის ენას ევროპელებსა და აფრიკელებს შორის, საწყის პერიოდში ისინი ყალიბდებოდა ე.წ. პიჯინების დახმარებით, რომლებიც წარმოადგენდა პორტუგალიური, ესპანური, ინგლისური და ფრანგული ენების გამარტივებულ ვარიანტს. მეტყველების ეს ფორმები ყალიბდებოდა ევროპული ენების საფუძველზე, რადგან კომუნიკაციის საშუალებების არჩევანი, რომელიც დამოკიდებული იყო პარტნიორებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათზე, თავის მხრივ განპირობებული იყო ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების განსხვავებულობით ევროპელ და აფრიკელ ხალხებს შორის. ევროპელების ურთიერთობები აფრიკელებთან პრიმიტიული პიჯინების დახმარებით გრძელდებოდა XIX საუკუნის დასაწყისამდე, ანუ იმ დრომდე, სანამ აკრძალბოდა მონათვაჭრობა. ევროპელების ურთიერთობა აფრიკელებთან გახდა უფრო ცივილიზებული და აფრიკაში გაიხსნა სკოლები.

მონათვაჭრობის აკრძალვასთან ერთად დაიწყო შავი კონტინენტის ცალკეული ტერიტორიების კოლონიზაცია. სანაპიროზე დამკვიდრებისა და კონტინენტის სიღრმეში

შელწევის მცდელობა განსაკუთრებით აქტიური გახდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ამავე დროს მწვავედ დადგა გავლენის სფეროების საკითხი. ოდესღაც მძლავრი პორტუგალია ცდილობდა შეენარჩუნებინა და გაეფართოვებინა თავისი კოლონიები დასავლეთ და სამხრეთ აფრიკაში. დიდმა ბრიტანეთმა, რომელმაც დაიპყრო უდიდესი ტერიტორიები სამხრეთ აფრიკაში, გაავრცელა თავისი გავლენა დასავლეთ სანაპიროზეც. საფრანგეთმა დაიპყრო მცირე ტერიტორიები ალჟირში და მდ. სენეგალის სანაპიროზე. შემდეგი ოთხი ათეული წლის განმავლობაში ევროპული სახელმწიფოები ახალ ნაბიჯებს დგამდნენ თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად სანაპიროზე და შექმნეს მრავალი ბაზა კონტინენტის სიღრმეში შესაღწევად.

პირველი ფრანგული გენერალ-გუბერნატორობა აფრიკაში ჩამოყალიბდა 1895 წელს, 1904 წლიდან კი ფრანგულმა დასავლეთ აფრიკამ დაიწყო თავისი ოფიციალური არსებობა როგორც 5 კოლონიის ფედერაციამ ფრანგული კოლონიური იმპერიის შემადგენლობაში.

ფრანგული კოლონიური მართვის დახასიათება

ფრანგული მმართველობის ადმინისტრაციული სისტემა აფრიკაში იყენებდა ე.წ. პირდაპირი მართვის მეთოდს, რომლის არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე ფრანგული მმართველობა ანადგურებდა აფრიკულ სახელმწიფოებრიობას, ანგრევდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სტრუქტურას. ამ პრინციპების თანხვედრით ფრანგული პოლიტიკა ეყრდნობოდა მხოლოდ ევროპული კულტურის განვითარებას, ქრისტიანული სარწმუნოების პროპაგანდას, სასკოლო საგნების სწავლას

ევროპულ ენებზე და სხვა. თვითმყოფადი აფრიკული კულტურა იგნორირებული იქნა.

ასეთივე მეთოდით სარგებლობდნენ ბრიტანული, გერმანული და ბელგიური ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ბელგიური კონგოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო უფრო მსუბუქი მმართველობა, ვიდრე ფრანგულ კოლონიებში.

სასკოლო განათლება.

ფრანგულ კოლონიებში სასკოლო განათლება მიმდინარეობდა მხოლოდ ფრანგულ ენაზე. ეს არჩევანი განპირობებული იყო რამდენიმე მოტივით, უმთავრესი მათ შორის იყო ის, რომ თავად საფრანგეთში ფრანგული ენა ვითარდებოდა სხვა ენების ხარჯზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საფრანგეთის საგარეო ენობრივი პოლიტიკა იმეორებდა მის შიდა პოლიტიკას. ამავე დროს ევროპელების მიერ წამოყენებული იქნა ასიმილაციის იდეა, რომელიც ფრანგული კულტურის, ფრანგული ენის განვითარებით იმედოვნებდა ადგილობრივი მოსახლეობის ფრანგებად ჩამოყალიბებას.

ფრანგული კოლონიური სისტემის ჩამოყალიბების მომენტში, აფრიკულ სკოლებში სწავლობდა დაახლოებით 2 500 ადამიანი, მისიონერულ სკოლაში კი - 3 000. ფრანგულ დასავლეთ აფრიკაში სკოლების რიცხვის გაფართოება შეიძინევა XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა გაიზარდა მოთხოვნა, როგორც ნასწავლ სამუშაო ძალაზე, ასევე ადმინისტრაციულ მოსამსახურეებზე ადგილობრივი მოსახლეობიდან.

მაგრამ ევროპულ ენებზე სწავლა არ იყო ერთადერთი ვარიანტი: დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და ბელგიის კო-

ლონიებში, სასწავლო პროცესებში ფართოდ გამოიყენებოდა ადგილობრივი აფრიკული ენები. ფრანგული ადმინისტრაცია კი პრინციპულად უარყოფდა ადგილობრივ ენებზე სწავლის შესაძლებლობას.

ამჟამად, ბევრი აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ენობრივი პოლიტიკა აფრიკაში იყო ნაკლებად ეფექტური, ვიდრე ის, რომელიც ეყრდნობოდა ადგილობრივი ენების გამოყენების საშუალებას. განათლების დონე ფრანგულ კოლონიებში იყო ყველაზე დაბალი. თუ დიდი ბრიტანეთის ზოგიერთ კოლონიაში, სადაც ინგლისურ ენასთან თანაბრად ისწავლებოდა აფრიკული ენები (განსაკუთრებით დაწყებით სკოლებში), განათლების დონე 1958 წელს ღწევდა 52%-ს, ფრანგულ დასავლეთ აფრიკაში კი განათლების დონე შეადგენდა მხოლოდ 9%-ს. ამ სიტუაციამ გამოიწვია განათლების დონის განსხვავება აფრიკის სხვადასხვა რეგიონში, რაც განსაკუთრებით გამოჩნდა აფრიკის ქვეყნების განთავისუფლების შემდეგ. 1966 წელს საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში განათლების დონე თუ შეადგენდა 5%-ს, ყოფილი ბრიტანეთის კოლონიებში ეს ციფრი შეადგენდა 50%-ს, ზოგჯერ კი 60%-ს.

ასეთი განსხვავება განპირობებული იყო იმით, რომ სწავლება მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით დაწყებით ეტაპზე არის უფრო ბუნებრივი და მისაღები, ვიდრე სწავლება უცხოურ ენაზე. კოლონიურ აფრიკაში დაწყებით სკოლებში უცხოურ ენაზე სწავლებამ გამოიწვია მოსწავლეთა მასიური ჩამორჩენა. ფრანგულ დასავლეთ აფრიკაში დაწყებითი სკოლის დამთავრების ატესტატი მიიღო მხოლოდ 10,2 ათასმა 246,4 ათასი მოსწავლიდან.

ელიტარული ორენოვნება.

ფრანგი კოლონიზატორები არ მიისწრაფოდნენ აფრიკელების მასობრივ განვითარებაზე, რადგან საერთო განათლებას შეიძლება გამოეწვია სოციალური აფეთქება. ამას გარდა, სკოლებში ძირითადად იღებდნენ აფრიკული ელიტის-ადგილობრივი მაღალი ფენის, მსხვილი ვაჭრების, სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს.

ფრანგული კოლონიების მოსახლეობა ამის შედეგად დაიყო ორ ჯგუფად: ერთი მხრივ - განათლებული აფრიკული ელიტა, რომელიც ფლობდა ლიტერატურულ ფრანგულ ენას და მეორე მხრივ - მოსახლეობის უმრავლესობა, რომელმაც არ იცოდა ლიტერატურული ფრანგული.

ამრიგად, ფრანგულ-აფრიკული ორენოვნება გახდა ელიტარული. ენობრივი ელიტარულობა კანონდებოდა ევროპული ენების ათვისებით, ჩაცმის ევროპული მანერებით და ქცევის წესების დაცვით. ამ გამოცდის შემდეგ აფრიკელები იღებდნენ ან ვერ იღებდნენ „მოქალაქის“, „ცივილიზებული“ ადამიანის სტატუსს.

ფრანგულ-აფრიკული ორენოვნება რთულდებოდა იმით, რომ ფრანგული ენა აღიარებული იყო, როგორც ფრანგული კოლონიების ერთადერთ ოფიციალურ ენად. ეს ნიშნავდა, რომ ყველა კანონი, დოკუმენტი და დადგენილება გამოიცემოდა მხოლოდ ფრანგულ ენაზე, აფრიკელებს მეპატრონესთან უნდა ელაპარაკათ მხოლოდ ფრანგულად.

რაც შეეხება ადგილობრივ ენებს, საფრანგეთის ადმინისტრაცია მათ იგნორირებას უკეთებდა და მათთან მიმართებაში არ ეწეოდა არავითარ ენობრივ დათმობას. ფრანგების აგდებული დამოკიდებულება აფრიკელი ხალხების ენებისადმი აიხსნებოდა აფრიკული ენების სიმრავლით,

აგრეთვე ადგილობრივი ენების განუვითარებლობით, მაგრამ ზოგიერთ რეგიონში კოლონიური მმართველობა დაუპირისპირდა არა მხოლოდ მრავალენოვნებას, არამედ ერთენოვან და მონოეთნიკურ სიტუაციას. ასეთი იყო მდგომარეობა მადაგასკარში. მიუხედავად ამისა, მალაგელები ფლობდნენ ფრანგულ ენას უფრო უკეთესად, ვიდრე ფრანგებმა იცოდნენ მალაგური.

ბრიტანულ და გერმანულ კოლონიებში ენობრივი პოლიტიკა ვითარდებოდა არა უცხოური ენის ძალდატანებითი შესწავლით, არამედ ადგილობრივი ენების წახალისებით. ასევე ბელგიურ კოლონიებში ადგილობრივი ენები ფართოდ გამოიყენებოდა დაწყებით სკოლებში. თვითონ ბელგიელები, როგორც წესი, კარგად ფლობდნენ ერთ ან რამდენიმე ადგილობრივ ენას და აფრიკელებთან ერთად მათ ენაზე ურთიერთობდნენ. ბელგიურ კოლონიებში ფრანგული ენა გამოიყენებოდა სკოლებში საშუალო საფეხურიდან, სადაც მიღება იყო შეზღუდული. ამ განათლების მიღება შეეძლო მხოლოდ აფრიკელი ელიტის წარმომადგენელთა შვილებს, რაც იწვევდა მასების გაუცხოებას ოფიციალურ - ფრანგული ენასთან.

ენობრივი სიტუაცია

აფრიკის კონტინენტი ხასიათდება იმით, რომ აქ არსებობს ენები, რომლითაც სარგებლობს რამდენიმე ეთნოსი. არსებობს ისეთი ხალხებიც, რომლებიც იყენებენ არა ერთ, არამედ ორ ენას. ასევე თანაარსებობს მრავალი დიალექტიც, ენებისა და დიალექტების თანაარსებობა ართულებს მათ მართვას.

ენობრივი თავისებურებების გამო აფრიკულ სამყაროში გამოიყოფა ჰომოგენური და ჰეტეროგენური სახელმწიფოები.

ჰომოგენური სახელმწიფოებია: ბურუნდი (კირუნდიული ენა), რუანდა(რუანდული ენა), მადაგასკარი (მალაგიური ენა).

ჰეტეროგენული სახელმწიფოებია: კოტ დივუარი(60-მდე ენა), კამერუნი (100-მდე ენა, ნიგერიული და ჩადის დიალექტები), კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (800-მდე ენა).

ამ ორ პოლუსს შორის არსებობს სახელმწიფოები, სადაც ერთი ან რამდენიმე ენაა. ესენია: ტოგო (50-მდე ენა), გვინეა (30-მდე ენა), სენეგალი (30-მდე ენა), ბურკინა ფასო (70-მდე ენა), მალი(25-მდე ენა).

ევროპიდან იმპორტირებული ენები, უმთავრესად ინგლისური, ფრანგული და პორტუგალიური, ფართოდ გამოიყენება როგორ საკომუნიკაციოდ, ისე ყოფით ცხოვრებაში. აფრიკული კონტინენტის მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობს ლიტერატურული ფრანგულით, თუმცა არსებობს მოსახლეობის ნაწილი, რომლებმაც საერთოდ არ იცის ფრანგული.

ენობრივი პოლიტიკა თანამედროვე აფრიკაში

აფრიკის ქვეყნების უმეტესობა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ძალიან ჩამორჩენილები იყვნენ. პრობლემად რჩებოდა ეროვნული ენის საკითხი. ენად ირჩეოდა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის ენა, ხოლო მცირე ეთნიკური ჯგუფების ენები გაქრობის საფრთხის წინაშე დადგა, ამიტომაც კომუნიკაციის საყოველთაო ფორმად უპირატესობა მიენიჭა ევროპულ ენას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აფრიკის კონტინენტის საერთაშორისო არენაზე გამოყვანის საქმეში და ევროპული

კულტურის გავრცელებაში. აფრიკის ევროპიზაციის შედეგად მისი ერთი ნაწილი გახდა ინგლისურენოვანი და მეორე ნაწილი რომანულენოვანი, ხოლო აფრიკულ ენას საერთაშორისო ენის სტატუსის ფუნქცია არ გააჩნია.

ფრანგული ენა და ადგილობრივი აფრიკული ენები.

კოლონიალიზმის პერიოდის ფრანგულ ენაში ნაკლებად შეიმჩნეოდა აფრიკული ენების გავლენა.

ეს ფაქტი განპირობებული იყო პირველ რიგში საფრანგეთის ადმინისტრაციის მიერ გატარებული მკაცრი ლინგვისტური პოლიტიკით, რის საფუძველსაც წარმოადგენდა ზრუნვა ფრანგული ენის სიწმინდისათვის, მისი დაცვა სხვა ენებისაგან; ამ პოლიტიკით საფრანგეთის ადმინისტრაცია სრულ იგნორირებას უკეთებდა ადგილობრივ ენებს.

მართალია, კოლონიზატორული ხელისუფლება უარყოფითად იყო განწყობილი ადგილობრივი ენებისადმი, მიუხედავად ამისა, მაინც შერწყმული იყო, ლოიალური დამოკიდებულებით, არავტოქტონური ენებისადმი. ჯერ კიდევ ძველ დროს, როდესაც პირველი კონტაქტები მყარდებოდა ფრანგებსა და აფრიკელებს შორის, ამ ადგილებში ეს ხერხდებოდა ადრე ჩასახლებული პორტუგალიელების მეშვეობით, რომელთა ენა აფრიკის ტერიტორიაზე გამდიდრდა ზოგიერთი ისეთი სიტყვებით, რომლებიც პორტუგალიური წარმოშობისაა.

თანამედროვე დამოუკიდებელ აფრიკაში, ზედამხედველობა და კონტროლირება ფრანგული ენის მდგომარეობის იმათი მხრიდან, ვინც ძველის მიმდევრები იყვნენ, ისინი ვინც უცხოურ სიტყვათა სესხების წინააღმდეგნი იყვნენ, მათი პუირისტული მდგომარეობა შესუსტდა და აფრიკის

ფრანგულში მნიშვნელონად გაიზარდა ადგილობრივი ენებიდან სიტყვათა ნასესხობები.

საერთო ჯამში აფრიკანიზმები ფრანგულ ენაში დღევანდელ დღეს 25%-ს აღემატება.

ეს განპირობებულია ძირითადად, შემდეგი ფაქტორებით: პირველ რიგში აფრიკული ენების შეჭრა ფრანგულ ლექსიკაში დაკავშირებულია უპირველესად, ადგილობრივი რეალიების ადეკვატური აღნიშვნის აუცილებლობასთან, მეორე - ეს დაკავშირებული იყო ასევე ემოციური შეფასებების ადეკვატური აღნიშვნის აუცილებლობისათვის აფრიკელი ფრანკოფონების მიერ.

გასაგებია, რომ სწორედ ამ ფაქტორების მოქმედებას არ შეუძლიათ შეეხონ ფრანგული ენის ლექსიკური სტრუქტურის საწყისებს. ნიშანდობლივია, რომ სიხშირე ნასესხები სიტყვების ხმარებისა არაერთგვაროვანია აფრიკელების სხვადასხვა სოციოლექტებში. ადგილობრივი ფრანგული ენის ვარიანტები სხვადასხვა სოციოლექტებში სხვადასხვანაირია. ხშირი გამოყენება ნასესხები სიტყვებისა შეინიშნება ნაკლებად წერა-კითხვის მცოდნე აფრიკელებში, რომელთაც არა აქვთ ფრანგული ენის დიდი მარაგი, ამიტომაც მათთვის აუცილებელია ნასესხები სიტყვების ხარჯზე კომპენსირება გააკეთონ.

განახლებული აფრიკელების მეტყველებაში მშობლიური ენის სიტყვები ნაკლებად იხმარება. ორივე შემთხვევაში აქ თავს იჩენს არა სამეტყველო, არამედ ენობრივი დეფიციტი.

ფრანგული და არაბული ენები.

არაბული ენისა და არაბული კულტურის გავლენა ძველადაც და ახლაც ცხოველმყოფელ გავლენას ახდენს აფრიკული ქვეყნების ლინგვოკულტუროლოგიურ მდგომა-რეობაზე, იმ ქვეყნებისა, რომლებიც მდებარეობდნენ საჰარის ჩრდილოეთსა და სამხრეთში.

ტროპიკულ აფრიკაში არაბული ენა -არის, თითქმის გამონაკლისის გარდა ისლამური რელიგიის ენა, რომელსაც სხვადასხვა ინტენსიობით იყენებდნენ ყოველდღიურობაში აფრიკელთა სხვადასხვა ტომები. ამასთანავე არაბულმა ენამ აქ, ისე მყარად ვერ გაიმყარა პოზიციები, როგორც ისლამმა და გახდა მშობლიური ენა მცირე ავტოქტონური მოსახლეობისა. ისლამისაგან განსხვავებით ტროპიკული აფრიკის რეგიონებში, სადაც სხვა რელიგიაცაა გავრცელებული, არაბული ენა ვერ აძევებს სხვა ადგილობრივი მცხოვრებლების ავტოქტონურ ენებს და არც იმპორტირებულ ევროპულ ენებს.

რაც შეეხება ფრანგული და არაბული ენების თანაარსებობის პირობებს ტროპიკული აფრიკის ქვეყნებში, აქ მას ხშირად გააჩნია შუამავლის როლი, რომელიც ავტოქტონური აფრიკული ენების მეშვეობით ახერხებს ამას.

ტროპიკული აფრიკის ფრანგულ ენაში ნათლად ჩანს არაბული სიტყვები და გამონათქვამები, რომლებიც მათში შეიჭრა ტროპიკული ხალხების ენებიდან. მსგავსი სიტუაციაა ჩადში, სადაც მოსახლეობის მესამედი დასახლებულია არაბებით, მიუხედავად ამისა აქ არაბული ენა ფრანგულთან მიმართებაში სუბსტრატის როლში გამოდის, რაც არ ნიშნავს

იმას, რომ ფრამგული ენის ჩადის ვარიანტში არაბულის ელემენტები უფრო მეტია, ვიდრე ფრანგულის.

ფრანგული და ინგლისური ენები აფრიკაში.

ჯერ კიდევ კოლონიამდელ დროში შეიმჩნეოდა აფრიკაში ინგლისური ენის გავლენა მეტყველების ლოკალურ ფორმებზე. ამის შედეგად აფრიკელთა ავტოქტონურმა ენებმა, აფრიკაშივე ჩამოყალიბებულმა ლოკალურმა ვარიანტებმა ევროპული ენებისა, შეისისხლხორცეს განსაზღვრული ნაწილი ბრიტანული ლექსიკისა.

დღევანდელ დღეს ინგლისური ენიდან ლექსიკური და სესხების პროცესი აფრიკაში, შესამჩნევად გააქტიურდა, ამაში ხელი შეუწყო მსოფლიო გლობალიზაციის პროცესმა და კიდევ კონტაქტების გააქტიურებამ თვითონ აფრიკელ ხალხთა შორის.

განსაკუთრებით მრავლადაა ინგლისურიდან ნასესხები სიტყვები თანამედროვე ფრანგულენოვან ტოგოში, სადაც ინგლისურის გამოყენება არამარტო ფრანგულში, არამედ ტოგოელების მშობლიურ ენებშიც მრავლადაა, რაც განპირობებულია ახალგაზრდების სნობიზმით, რომლებიც ცდილობენ დინამიურები და თანამედროვენი გამოჩნდნენ.

აქედან გამომდინარე სიტყვები იხმარება არამარტო ინგლისური სალიტერატურო ენიდან, არამედ ინგლისური პიჯინიდანაც, რომელიც გავრცელებულია მეზობელ ქვეყნებში.

ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში ხშირად გვხვდება ლექსიკური წარმონაქმნები ინგლისური სიტყვის boy-ს საფუძველზე, რაც აფრიკაში ითარგმნება როგორც „მსახური, მოსამსახურე ქალი“. ამ ლექსიკას გააჩნია სხვადასხვა ჰიბრიდები, მაგალითად: “boy-lavadaire” -მრეცხავი ქალი, boy-

cuisiner-მზარეული, სახლის მოსამსახურე, boy-marmiton-მზარეული, boy-moke – მოსამსახურე, boy-moussso - მოახლე, boy-de table- მოსამსახურე, რომელიც დაკავებულია საკვების მომზადებითა და მისი სერვირებით.

სიტყვა boy-სთან ერთად აფრიკულ ფრანგულში მნიშვნელოვანია ინგლისური სიტყვის man - ის გამოყოფა. ასე მაგალითად მრავალ ფრანგულენოვან აფრიკის ქვეყნებში ტაქსის მძღოლებს ეძახიან taximans ან taximens.

სენეგალში ხშირია ადგილობრივი ტომების ენებიდან ლექსიკური ერთეულების შერწყმა ინგლისურ სიტყვებთან, მაგალითად sirouman ნიშნავს ტაქსისტს, რომელსაც უკანონოდ გადაჰყავს მგზავრები, იგი ნაწარმოებია ვოლოფის ენიდან, რომელშიც sirou ფოცხვერს ნიშნავს, ასეთივე ნაწარმოები სიტყვა bouki-საგან, რომელიც მაიმუნს ნიშნავს, ხოლო მთლიანობაში სიტყვა boukiman - ნიშნავს სპეკულიანტ-გადამყიდველს. ასეთივე მოდელითაა ნიგერიაში ნაწარმოები სიტყვა ჩაის გამყიდველი: chaïman, théman, ხოლო კოტ დივუარის ფრანგულში ვხვდებით djigboman ან djiboman-ს ექიმის მნიშვნელობით. ამავე ქვეყანაში man ცნობილია როგორც სიტყვა მეგობარი, ახლობელი, მოკეთე.

ტიპიურია ფრანგულენოვანი აფრიკული ქვეყნებისათვის სესხება ინგლისური ენიდან იმ ლექსიკისა, რაც ფეხბურთს შეეხება. ერთის მხრივ ეს განპირობებულია აფრიკელების სპორტის ამ სახეობის გატაცებით, მეორე მხრივ იმ ფაქტით, რომ ფეხბურთის სამშობლო იყო ბრიტანეთი და საფერხბურთო ინგლისურმა ტერმინოლოგიამ თავიდანვე მოიკიდა ფეხი მსოფლიოს სხვადასხვა ენებში.

ფრანგული ენის ევროპულ ვარიანტებში ყოველთვის შეიმჩნეოდა ლტოლვა ინგლისური ტერმინოლოგიის საკუთარით შეცვლით. თუმცა აფრიკაში ზოგიერთი ინგლისური სიტყვები წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ ფრანგულ საფეხბურთო ტერმინოლოგიასთან და ისევ აგრძელებენ მათ ხმარებას იმ ფორმით, როგორც ეს იყო თავდაპირველად მიღებული ფრანგული სტანდარტებით საფრანგეთის ტერიტორიაზე. ინგლისური ენისა და აფრიკული ფრანგული ენის კონტაქტს განაპირობებს უამრავი სესხების თავისებურებანი.

პირველ რიგში აფრიკის კონტინენტზე ფრანგული და ინგლისური ენები კონტაქტში იმყოფებიან, როგორც არანაციონალური, ანუ აფრიკელებისათვის როგორც არა მშობლიური ვარიანტები.

მეორედ, ფრანგული ენის კონტაქტი ინგლისურთან აფრიკის ტერიტორიაზე დაიწყო ჯერ კიდევ ადრე, კოლონიალურ პერიოდამდე. ამავე დროს ინგლისურ ენაში სიტყვების სესხების ნაკადი ფრანგულ ენაში აფრიკის ტერიტორიაზე შესანიშნავად გამლიერდა, ყველაზე მეტად კი თანამედროვე ეტაპზე.

ბიბლიოგრაფია:

1. ალოსოვა თ.1987: Алисова Т., Репина Т., Таривердиева М.. Введение в романскую филологию. М., ВШ.
2. ანს ჟ. 1974: Hanse J. Nouvelle chasse aux belcigismes. Bruxelles.
3. „ახალი საზღვარგარეთის ლინგვისტიკაში“ 1988: «Новое в зарубежной Лингвистике» Вып. XXI: Новое в Современной Индо-европейстике, М., 1988: «Прогресс».
4. ბურსიე ე. 1952: Бурсье Э., Основы романского языкознания. М.
5. გაკ ვ. 1986: Гак В.А. Введение во французскую филологию. М.
6. გაკ ვ. 2001: Гак В.А. Французский язык в современном мире// Россиская франкофония.М., Вып. 2.
7. გამყრელიძე თ. 1984: ინდოევროპელები, ქართველები და სემიტები (“მნათობი”, 1984, №6 გვ. 131-153).
8. გოლუბევა-მონატკინა ნ. 2001: Голубева-Монаткина Н.И. Язык, культура, политика: от франкофонии к франкофонии // Россиская франкофония.М., Вып. 2.
9. დებოევ ვ. 1996: Дебоев В. М. Словарь особенностей французского языка в Алжире. Иваново.
10. დეკლოშ რ. 2001: Declоче R. La Belgique et les langues. La Belgique: un pays modelé par (ses) les langues// Российская франкофония. М.

11. დოპან ა. 1979: Doppagne A. Belgicisms de bon aloi. Bruxelles, 1979.
- 12.
13. ვედენინა ლ. 1988: Веденина Л. Г. Особенности французского языка. М.
14. ვალდმენ ა. 1993: Valdmen A. Le français en Louisiane// Le français dans l'espace francophone. T.2.Paris.
15. ვოლფ ე. 1983: Вольф Е. М. Формирование романских литературных языков//Португальский язык. М.
16. ორდან ო. 1971: Йордан Й. Романское языкознание. Историческое развитие, течения, методы. Пер. с рум.,М.
17. კამპრუ შ. 1974: Camproux Ch. Les langues romanes, Paris, 1974.
18. კლოუკოვი ვ. 2003: Клюков В.Т. Quéffelec A., Derradji Y., Debov V., Smaali-Dekdouk D., Cherrad-Benchefra Y. Le français en Algérie. Lexique et Dynamique des langues. Bruxelles: Duculot, 2002 (рецензия на книгу)// Вопросы языкознания. № 2.М.
19. კლოუკოვი ვ. 1999: Клюков В.Т. Французский язык в мире и его территориальные варианты// Вопросы романо-германского языкознания. № 13. Саратов.
20. კნეჩტ პ. 1996: Knecht P. La Suisse romande: aspects d'un paysage francophone conservateur// La français dans l'espace francophone. T. 2. Paris.
21. კორბეი ჟ. 1976: Corbeil J.-Cl. Origine historique de la situation linguistique québécoise// Langue française. № 31. Paris.
22. კრასოვსკაია ნ. 2000: Красовская Н. В. Черты сходств и различий существования территориальных вариантов романских языков в мире// Романо-германская филология. Саратов, Вып.1.

23. კურილოვიჩ ჟ. 1977: Kurylovicz J., Problèmes de linguistique indo-européenne (“ Polska Academia Nauk. Komitet Językoznawczy. Prace Językoznawczy, 90,” wrocław).
24. მაშონი პ. 2001: Machonis P.A. Le français aux Etats-Unis: la Louisiane// Российская франкофония. Вып. 2.М.
25. მაკეენკო ი. 1998: Makeenko I.A. Diversité, pluralité des parlers de la France métropolitaine// Средкурсы по романской филологии. Саратов.
26. მორე ჟ. 1993: Maurais J. Etat de la recherche sur la description de la francophonie au Québec//Le français dans l’espace francophone.Т.1. Paris.
27. ნებიერიძე გ. 1987: ენათმეცნიერების შესავალი. განათლება, თბილისი.
28. ოდრი ჟ. 1981 Haudry J., Les Indo-Européens, Paris, “Presses Universitaires de France
29. პიკონ მ. 2000: Picone M.D., LaFleur A. La néologie et les anglicismes par tranches d’âge en français louisianais// Contacts de langues et identités culturelles. Prespectives lexicographiques. Québec.
30. ჟანდრონ ჟ. 1976: Gendron J. –D. La situation du français comme langue d’usage au Québec. // Langue française. № 31. Paris.
31. რეფეროვსკაია ე. 1980: Реферовская Е. А. Формирование романских литературных языков//Французский язык. Л.
32. რეფეროვსკაია ე. 1972: Реферовская Е. А. Французский язык в Канаде. Л.
33. რომანული ენების შედარებით-შეპირისპირებითი გრამატიკა 1972: Сравнительно-сопоставительная грамматика романских языков. Проблема структурной общности. М.

34. სემერენი ო. 1980: Семереньи О., Введение в сравнительное языкознание (Перевод с немецкой) М. «Прогресс».
35. სერგეევ ფ. 2001: Сергеев Ф. П. Языковые ситуации и языковая политика в странах мира. Волгоград, 2001.
36. სტეპანოვ გ. 1979: Степанов Г. В., К проблеме языкового варьирования// Испанский язык Испании и Америки. М., 1979.
37. ფხაკაძე ი. 2000: რომანული ფილოლოგია (სალექციო კურსის ჩანაწერების ქსეროასლი), თბილისი, თსუ.
38. შიშმაროვ ვ. 1972: Шишмарев В. Ф. История итальянского языка.// Избранные статьи. Л., 1972.
39. ძველი რომის ისტორია 1981: История Древнего Рима/Под ред. В.И. Кузищина.-М
40. ჯაში ქ. 2010: რომანული ისტორიული ენათმეცნიერება. „მწიგნობარი“ თბილისი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. თემა 1. რომანული ენათმეცნიერების ჩამოყალიბება: პირველი რომანული გამოკვლევები. ზოგადი ისტორიული მიმოხილვა. გვ. 6

2. თემა 2: ისტორიულ–შედარებითი მეთოდი. ისტორიულ შედარებითი მეთოდის მიზანი, ფუძე–ენის კვლევა. გვ.12

3. თემა 3: ენათა ინდოევროპული ოჯახი. ინდოევროპული (უძველესი) გრამატიკული წყობის ზოგადი მიმოხილვა. პირის ნაცვალსახელები ინდოევროპულ ენებში. გვ.16

4. თემა 4: რომანიზაცია. გვ. 25

5. თემა 5: უძველესი რომანული პერიოდი; გერმანელთა ლაშქრობანი; სლავთა მიმოქცევა. გვ. 36

6. თემა 6: ლათინური ენა, ხალხური და კლასიკური ლათინური; ხალხური ლათინურის წყაროები; ლათინური ენის უპირველესი გრამატიკები; ლათინური ენის ლექსიკა. გვ.43

7. თემა 7: ესპანური და პორტუგალიური ენების ზოგადი დახასიათება. გვ. 55

8. თემა 8: იტალიური ენა (ზოგადი მიმოხილვა). გვ. 60

9. თემა 9: ძველფრანგული და პროვანსული ენები ძველფრანგული. გვ. 63

10. თემა 10: ფრანგული ენა მსოფლიოში და მისი ტერიტორიული ვარიანტები. გვ. 68

11. თემა 11: ფრანკოფონია. გვ. 71

12. თემა 12: ფრანგული ენის გავრცელების არეალი ევროპაში; ფრანგული ენა ბელგიაში. გვ. 81

13. თემა 13: ფრანგული ენის გავრეცელების არეალი ამერიკის კონტინენტზე ფრანგული ენა კანადაში. გვ. 86

14. თემა 14: ფრანგული ენა ალჟირში. გვ. 91

15. თემა 15: ფრანგული ენა აფრიკის კონტინენტზე. გვ.

94